საქართველოს


განათლების


ამბავი

14

განათლების სამინისტროს გამოცემა

მეცნიერება და ტექნიკა





მონოტრიპლანი:

პროექტი მასაჩუზეტის ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფ. **ედვარდ უორკერისა**. გამოგონების ავტორია გერმანელი **არმან დემუტი**, რომელიც ცნობილია ავიაციის საქმეში.

მონოტრიპლანზე გამართულია რვა ძრავი (მოტორი) პაკარდის სისტემისა თითო 800 ძალიანი; ოთხი ერთის მხრით და ოთხი მეორე მხრით. ეროდროულად მუშაობს მხოლოდ ოთხი მოტორი, მეორე ოთხი კი სათადარიგოდაა ყოველ შემთხვევისათვის.

მონოტრიპლანი სულ ლიოონისაგან უნდა აშენდეს. მისი სიგრძე უდრის 21 საჟენს.


ეს ჰიდრო-აეროპლანი თავისუფლად ინაცარდებს, როგორც ჰაერში, ისე ზღვაზე. წყალში ჩაწვება სამი საჟენის სიღრმეზე.

პროექტით გათვალისწინებულია, რომ მონოტრიპლანი წაიყვანს 500 მგზავრს და 150 ფ. ტვირთს. ნიუ-იორკიდან ლონდონამდე გზას მოუნდება სულ 18 საათი.



ლამპა, რომელიც ჩდილს არ აჩენს.

ხმარობენ ქირურგიულ ოპერაციების დროს, ლაბორატორიებში, საავადმყოფოებში და სხ. დიდ სინათლიან ლამპის ზევიდან გაკეთებული აქვს ლითონის საფარი (აბაჟური), რომლის შიგნით დალაგებულია მოვერცხლილი რეფლექტორები. თვით ლამპის ირგვლივ კი გაკეთებულია ცილინდრისებური და პრიზმისებური ლინზა, რომელიც გადახეხს ლამპის სხივებს და უგზავნის ზემოხსენებულ რეფლექტორებს. აქედან კი სხივები მიემართებიან ქვევით და ანათებს ზოგან ისე, რომ ჩრდილს არ აჩენს.



წერილებზე მარკების დამკვრელი მანქ

ერთ საათში ამზადებს 3—4 ათას წერილს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ განყოფილების პროფესიონალ. კვალიფიკაციის ამაღლების მრგანთ

რედაქციის მისამართი: კალოუბნის ქუჩა № 3. განათლების მუშაკთა ცენტრალური სახლი ტელეფონი 8—40


№ 14 მარტის 31 № 14

14003

ლაზაძე.

73 დღე...

ასე მცირედ ხანს გასტანა იმ გიგანტიურმა მოვლენამ, რომელსაც პარიზის კომუნა ეწოდება. 1871 წლის 18 მარტი უკვდავი და მებრძოლებიდან წარუხოცელი დატოვა მთელი ქვეყნის ჩაგრულთ ლეგიონებისათვის, ვინაიდან ამ დღიდან დაიწყო ეპოპეია პროლეტარიატის იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, რომელიც 73 დღის შემდეგ მშრომელ მასათა წამების, ხვრეტის და ცლეტის ტრაღედიით უნდა დამთავრებულიყო.




პარიზის კომუნა.

კომუნარების მიერ დაკავებული ერთ-ერთი ფორტი. წინა რიგში სდგას კომანდირი იპოლიტე იუნო, რომელმაც სახელი გაითქვა კომუნის დაცვაში.

ვერსალის ჯალათმა პროლეტარიატის სისხლით გააწითლა მდინარე სენა იმის გამო, რომ პლებეიმ ხმა აიმაღლა სოციალურ უსამართლობისა და ეროვნულ გამეცდელობის წინააღმდეგ. მუშის ხელფასი იმ დროს იმდენად მცირე იყო, რომ საარსებო მინიმუმის მინიმუმსაც კი არ უდრიდა, და უმუშევრობა—სიმშილისაგან თავის დასაღწევად პროლეტარიატს მხოლოდ ერთი გზა დარჩა—გზა რევოლუციონურ ბრძოლისა და სოციალისტურ რეფორმებისა. განსაკუთრებული ჰკუა და პოლიტიკური [illegible] არ იყო საჭირო, რომ ძირ-მომპალი წყობილების [illegible] 12. საუკუნეში რევოლუციის თავიდან ასაშორებლად. [illegible] საჭირო თითქმის უმოტივოდ ომს უცხადებს [illegible] ბონაპარტისათვის საბედისწერო ომის დაწყება [illegible] შოვინისტურმა პოლიტიკამაც, რომლის თანახმად საფრანგეთი აღდგენილ უნდა ყოფილიყო 1814 წლის საზღვრებში. ტერიტორიალურ ექსპანსიის იდეისათვის ომი ახალი [illegible] ერდის აღარ შეუძლებელი იყო ნაპოლეონისათვის. [illegible] 1851 წლის ფარგლებში საფრანგეთის იმპერია დიდხანს ვერ იარსებებდა"-ო. ამბობს ენგელსი და აი კიდევაც იწყება ცეცხლთან თამაში. როგორც ვიცით, ეს ფარსი დიდხანს არ გაგრძელებულა და 1870 წლის 2 ენკენისთვეს მეფე თავის ჯარებით ჩაჰბარდა პრუსიელებს.

სედანთან მომხდარი კაპიტულიაცია, პრელუდია იყო ბრძოლათა იმ სერიების, რომელიც პარიზის ფორტებზე აენთო და პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ჩაესვენა. მეფის კაპიტულაციას მოჰყვა საფრანგეთის რესპუბლიკად აღიარება, 14 ენკენისთვეს 1876 წ., მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო წყობილების რეფორმატორი მუშათა კლასი იყო, რესპუბლიკის სათავეში ტიერი და ღენერალა ტროშიუ მოექცნენ. რატომ მოხდა ასე? მარქსი შემდეგნაირად ხსნის ამ ფაქტს: „საფრანგეთის რესპუბლიკად აღიარების მომენტში პროლეტარიატის წინამძღოლნი ბონაპარტის ციხეებში იყვნენ გამოწყვდეულნი, პრუსიელები კი ტრიუმფალურ მარშით მიდიოდენ პარიზისაკენ, და აი ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ მუშათა პარიზს მხოლოდ ის-ღა დარჩენოდა, რომ სახელმწიფოს მესაჭეობის ფუნქციები ამ პირთათვის დაეთმო იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელნი ძალა-უფლებას გამოიყენებდენ მხოლოდ ხალხის თავდაცვის საქმისათვის"-ო. ამ რიგად შეიქმნა ის ფაქტიური „ეროვნულ თავდაცვის მთავრობა", რომელიც სინამდვილეში „ხალხის ინტერესების გამყიდველი მთავრობა" იყო. ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ მთავრობის სათავეში მოექცა კლასიური ტრანი—ტიერი, რომელიც თავის პრაქტიკაში არ იყო მოკლებული ბრძოლის მაკიაველისებურ მეთოდებსაც. ამ ვამპირის უზუს-

ტეს დახასიათებას შემდეგი სიტყვებით იძლევა მარქსი: „ტიერი არის ის კაცუნა—გოლიათი, რომელიც ნახევარ საუკუნის მანძილზე აჯადოებდა საფრანგეთის ბურჟუაზიას, ვინაიდან ტიერის პიროვნება უსრულესი გამოხატულება იყო ამ ბურჟუაზიის კლასობრივ გახრწნილების. ტიერი ისეთივე ბინძური ადამიანია კერძო ცხოვრებაში, როგორც საზოგადოებრივშიაც"-ო. განა დასაშვები არის ის აზრი, ამგვარად დახასიათებული პროლეტარიატის მოსისხლე მტერი არ შეეცდებოდა გამოეყენებინა თავის ოფიციალი მდგომარეობა და ყოველ ხელსაყრელ წუთში გილიოტინაზე არ აეყვანა ხალხის ინტერესები, რათა ამით თავის კლასიური პოზიციები გაემაგრებია? ცხადია, რომ დაუშვებელია, და აი ამ კლასობრივ პატრიოტიზმის საუკეთესო ილუსტრაციაა ის ყალთაბანდობა, რომელსაც ტიერის მთავრობა იჩენდა ხალხის შეიარაღების საკითხში. მარქსი ამბობს: „პარიზის დაცვა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი შეიარაღებულ იქნებოდენ მუშები. რადგან მხოლოდ ამათგან შეიძლებოდა ნამდვილი სამხედრო ძალის შექმნა. პარიზის შეიარაღება კი—რევოლუციის შეიარაღებას უდრიდა. და მპყრობელებზე პარიზის გამარჯვება ნიშნავდა ფრანგი მუშის ფრანგ კაპიტალისტზე გამარჯვებას"-ო. ლოღიკურია, რომ ტიერი ოპოზიციაში ედგა შეიარაღების იდეას, თუმცა ამან ვერაფერი დააკლო დაწყებულ საქმეს და პროლეტარიატის კატეგორიული მოთხოვნით ჩამოყალიბდა 250 ათასიანი ეროვნული გვარდია. ამის შემდეგ ტიერს ერთი გზა დარჩა—გზა გერმანეთის წინაშე კაპიტულაციისა და ბისმარკის მიმართ სერვილისტურ პოლიტიკის წარმოების. გერმანულ მილიტარიზმის წინაშე ქედის მოხრას ვერ შეურიგდა ეროვნულ გვარდიის ცენტრალური კომიტეტი და ამიერიდან ერის სვე-ბედის მატარებელი ის შეიქმნა. ტიერმა კი, კომუნართა დაუდევრობის გამო ვერსალში ამოჰყო თავი და დაუღალავ მზადებაშია, რათა ბისმარკის ჭუსლით თავი გაუქყლიტოს პარიზის გმირებს, კლასობრივ ინტერესთა იდენტიურობამ დაამეგობრა ტიერი და ბისმარკი და ეროვნულ ანტაგონიზმის წარსული დავიწყებას მიეცა. თუმც ტიერმა თავი შეაფარა ვერსალს, მაგრამ კომუნართა ეს შეცდომა გამოსწორებულ იქნებოდა, რომ ისინი მყისვე გადასულიყვნენ შეტევაზე და გაენადგურებიათ ვერსალელები, რადგან ამ სამხედრო უმოქმედობის შედეგი იყო ის, რომ ბოლოს პარიზი კომუნართა სისხლში იხრჩობოდა. პარალელურად ამისა საჭირო იყო სახელმწიფო ბანკის ქონების კონფისკაცია, ბეჭედითი თავისუფლების აღკვეთა იმ რეაქციონერთათვის, რომელნიც გველივით სისინებდნენ ყოველ კუთხეში. საჭირო იყო ძალდატანებაც, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი იყო საკაცობრიო იდეალის—კომუნიზმის—რეალიზაცია. შესაძლებელი იყო კი შეუცდომლად საქმის წაყვანა? ცხადია არა, ვინაიდან ეს იყო ისტორიის უპრეცენდენტო მოვლენა. ეს იყო პირველი ცდა მტრებით გარშემორტყმულ ქალაქში კომუნის დაწესებისა იმ ენტუზიასტთა მიერ, რომელნიც განუზომელ კოლოსებად წამოიჭრებიან ხოლმე ჩვენს წარმოდგენაში. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნა იყო ერთად-ერთი ელასტიური ფორმა მმართველობის, მაშინ როდესაც ყველა წარსული პოლიტიკური წყობილება, პიროვნების უაღრესად მჩაგვრელი და მის უფლებათა მაქსიმალურად შემყვნელი ინსტიტუტი იყო. მარქსი სწერს: „კომუნის საიდუმლოება იმაშია, რომ ის იყო მუშათა კლასის მთავრობა"-ო. კომუნა ის სტადიაა საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაში, როდესაც კლასთა ანტაგონიზმს აშკარა პოლიტიკური ფორმა მიეცა და შესაძლებელიც იყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება. ჩვენ გვჯერა, რომ გამარჯვებული კომუნა მოახდენდა ამ განთავისუფლების აქტს, მაგრამ პარტიულ სიშორეთა და ზემოდ დასახელებულ მიზეზთა გამო ჩვენ მოწმენი ვართ მხოლოდ მისი ტრაგედიის. პროლეტარიატის მთლიან რევოლუციონურ პარტიის არ ყოლა იყო ის ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომელმაც საშუალება მისცა გალიფეს მოეკლა წყურვილი იმ სისხლით, რომელიც მდინარედ გასდიოდა დაჭრილ გმირთა სხეულს. პარიზის კომუნა უდიდეს მნიშვნელობის აქტია შემდეგ ხანის რევოლუციათათვის. პარიზის ბარიკადებზე ბრძოლის 73 დღემ ნათელჰყო კლასობრივ ბრძოლის ის მეთოდები, რომლის გარეშეც ილიუზიად იქცევა ისეთი დიდი საქმე, როგორიცაა კლასიურ საზოგადოების ტრანსფორმაცია უკლასო სოციალისტურ წყობილებად.



კომუნარების ძმათა სასაფლაო

პარიზის კომუნარების ძვლები ამოკრეფილი სხვადასხვა საფლავებიდან და დაგროვილი აქ, პარიზის „კატაკომბებში.

პარიზის კომუნის უდიდესი დამსახურება საერთოდ რევოლუციათა წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა იგრძნო პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა სოციალიზმისკენ გარდამავალ ეპოქისათვის. განა მხოლოდ ამით ამოიწურება მისი მნიშვნელობა? ცხადია რომ არა! განა შეიძლება კომუნის წმინდა მორალურ მნიშვნელობის მხარეთა შესახებ დადუმება? ყოველი მუშა და ინტელიგენტი, რომელსაც კეთილშობილურ თავგანწირვის პატივისცემის უნარი შენარჩუნებია, მოწიწებით და განუსაზღვრელ სიყვარულით მოიგონებს იმათ, ვინც გილიოტინაზე ბედაყად ავიდა და თავი გასწირა მშრომელთა ინტერესებისათვის. უკანასკნელ თაობათა რევოლუციონურ მოღვაწეობისათვის კომუნართა წარსული ის სტიმულია, რომელიც რევოლუციონურ ნაპერწკალს ხანძრად აქცევს და უშიშარ მებრძოლთ, დომბროვსკისა და დელეკლიუზის მზგავსად, უყოყმანოდ აგებებინებს მკერდს მტრის ტყვიისაკენ. ვით უმცროსმა უმფროსს, ჩვენც უნდა მოუსმინოთ დიდებულ კომუნართ, მაგრამ ჩვენი ვალია ავიცდინოთ ის შეცდომები, რომელმაც დაასაფლავა პროლეტარიატის პირველი დიქტატურა, ამხ. ლენინი ასე სწერდა ამის შესახებ: „ჩვენ უნდა მივბაძოთ არა მათ შეცდომებს (როგორიცაა ბანკის ნაციონალიზაციის არ ჩატარება, შეტევაზე არ გადასვლა და სხვა), არამედ იმ გამარჯვებით ნაბიჯებს, რომელნიც მოქმედების სწორ გეზს გვაძლევს"-ო. (ტ. მე-6 გვ. 282—
რუსეთის პროლეტარიატმა სწორედ გაითვალისწ
ზის კომუნის ყველა უარყოფითი და დადები
და ამის შედეგიც იყო ის, რომ მისი ბრძოლ
ლე გამარჯვებით დამთავრდა. და აი კომუნ
56 წლის თავზე, ვიგონებთ რა გონების და
ზეკაცთ, გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ
ტურ მომავლისათვის მებრძოლნი შეუდრეკლად
კომუნართა მიერ დასახულ მიზნისაკენ ბ. თუ საჭი
კომუნის ეოლონტების მზგავსად სკუთარ სისხლით აღ
დავენ ქვიტკირის კედელზე: „გაუმარჯოს კომუნას"!-ო.

გუსტავ ინარის წერილიდან *)

ამხ. ინარი მოგვითხრობს, თუ რა მონაწილეობას ღებულობდა ის კომუნის აჯანყებაში. „მე—ამბობს ინარი—ვმუშაობდი მაშის სახელოსნოში. ამ დღეს, ე. ი. 18 მარტს, გამოვედი ქუჩაზე, რომ გამეგო ახალი ამბები. დავინახე თეთრი აფიშები, რომლითაც მთავრობა მოუწოდებდა „პატიოსან მოქალაქეთ“, რომ ბინიდან არავინ გამოსულიყო. აქვე იყო ჩახსენები, რომ მთავრობა იწყებს ზარბაზნების ჩამორთმევას. მე გავექანე მაშინ სახელოსნოსაკენ, ავიღე რევოლვერი და გავიქეცი მონმანტრისკენ, სადაც უკვე ბრძოლა სწარმოებდა. კოლანკურის მოედანზე შეუერთდი ბრბოს, რომელიც გაიძახოდა: „ვაშა რესპუბლიკას“-ო. ამ დროს რეგულიარულ ჯარების ნაწილები შეუერთდენ ეროვნულ გვარდიელებს. რაც უკვე ნიშნავდა რევოლუციის გამარჯვებას. ჯარების მთავარ-სარდალი, ღენერალი ვინუმ მისი მტაბით გაიქცა. ღენერალ ლაკონტუსი და კლემანტო კი ტყვედ ჩაუვარდა ჯარებს და გვარდიელებს, და დახვრიტეს.

ამხ. ინარის სიტყვით, ეს აჯანყება იყო ნამდვილი სამოქალაქო ომი.

აი რას მოგვითხრობს ის ამის შესახებ. „ამ დროს მე ვიყავი 21 წლის, და არავის ვიცნობდი გავლენიან კომუნართა შორის. მე დავდიოდი კრებებსა და მიტინგებზე და აქ მე ერთი ყველას წინაპირდეგ მოვითხოვდი გადამჭრელ ზომების მიღებას ვერსალის მიმართ. მე მიპასუხებდენ, რომ ეს ნიშნავს სამოქალაქო ომის დაწყებასო. დიახ—ვუპასუხებდი მე ჩვენ სამოქალაქო ომის პირობებში ვიმყოფებით“!

პარიზის დაცვა

ამბობს ინარი წარმოებდა სექტორებათ. ჩვენი ღენერლები იყვენ ახალგაზრდები, თუმცა მათში ერია უფრო ხნიერებიც და პოლონეთის 1863 წლის აჯანყების მონაწილენი. ამათ შორის საუკეთესო იყო ღომბროვსკი, რომელიც მოჰკლეს 26 მაისს. პარიზის გარშემო სწარმოებდა შეუწყვეტელი ბრძოლა, სანამ კომუნის ერთ გამყიდველის დახმარებით ვერსალის ჯარები არ შემოვიდენ პარიზში 26 მაისს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნართა შორის იბრძოდენ ქალებიც. რომელნიც უშიშრად უშვერდენ გულს მტრის ტყვიას. ამხ. ინარი ამბობს: „ჩვენ გარშემორტყმული ვიყავით და უნდა დაგვეხია უკან. ჩვენ რიგებში მდგომი ვიღაც ქალი უარს ამბობს დახევაზე, და წითელი დროშით ხელში რჩება ბარიკადებზეო“.

27 მაისს პარიზი ხანძარ მოდებულია.

„28 მაისს—განაგრძობს ინარი—მე ცოტა წავიძინე, ვინაიდან მეტად დაღლილი ვიყავი. ძილში მესმის საყვირის ხმა. მე მივრბივარ დანიშნულ ადგილზე. ვეკითხები ამხანაგებს, თუ რამდენი ვართ. რა ვქნათ? დავეშვათ ქალაქისაკენ? ანგულემის ქუჩაზე კიდევ არის უკანასკნელი ბარიკადა. ვისვრით ტყვიას, მაგრამ რა საჭიროა? ყველაფერი დამთავრებულია. კომუნამ განისვენა!

კომუნა დაიღუპა, მაგრამ კომუნიზმი სცოცხლობს!

კომუნა დაიღუპა, მაგრამ კომუნიზმი აღსდგა ნამწვავებისაგან. იმის სული სცოცხლობს მოსკოვში და მე ერთმა მონაწილეთაგანმა პარიზის კომუნისა მოვედი აქ, რომ შეძლებისდაგვარად განვაგრძო ბრძოლა-ო. ათავებს თავის მოგონებას ამხ. ინარი.

*) ამხ. გ. ინარი არის პარიზის კომუნის მონაწილეთაგანი. 1 თითქმის 80 წლის მოხუცია იმყოფება რუსეთში. მისი მოპარიზის კომუნის შესახებ მოთავსებულ იყო ჟურნალ „Эхо“-ში, საიდანაც მოგვყავს ძლიერ შემოკლებით.

ლ. ბზვანელი.

სუფთა წერა და წერითი ვარჯიშობანი შრომის სკოლებში

სადისკუსიო.

ღღევანდელს ჩვენს შრომის სკოლებში სახოგადოდ წერას სრულებით ყურადღება არ ექცევა და ყველაზე უფრო მოიკოჭლებს ეს საგანი. თითოეული მოსწავლე თავისი შეხედულებით და გემოვნებით სწერს: ზევიდან იწყებს ასოს, თუ ქვევიდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან, წალმა თუ უკუღმა—მისთვის სულ ერთია, ოღონდ კი ნიშნით გამოხატოს რომელიმე ხმა და მიიღოს ასო.

დღეს შრომის სკოლებში კურსდამთავრებულთ, რომელთაც მიუღიათ საშუალო განათლება ათი წლის განმავლობაში, სრულიად არ ეხერხებათ სუფთად და გასაგებად წერა. მათი ხელი დამახინჯებულია, წასაკითხავად ძნელია და ყოველგვარ სისუფთავესა და სილამაზეს მოკლებულია. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ხნის განმავლობაში თავის ჭკუაზე სწერდენ, მათთვის არავის [illegible] 12. ებია და უსწავლებია, თუ როგორ და საიდან [illegible] ყოს ამა თუ იმ ასოს დაწერა. საშუალო სკო[illegible]ს დამთავრების შემდეგ მოხვდებიან უნივერსიტეტში, თუ გამოვლენ ცხოვრებაში, მათ რჩებათ დამახინჯებული ხელი წერაში. მათი ნაწერი მოგაგონებს დახედვისათანავე ისეთი ადამიანის ნაჯღაბნს, რომელსაც თავისით შეუსწავლია სადღაც მიყრუებულ სოფელში წერა; მას სრულიად არ ემჩნევა სკოლაში სწავლა, გარკვეული ხელი, წინად ძველ სკოლებში თავიდანვე,—განახლებულსა და გაეროვნებულ სკოლებშიაც დღიდან ნაციონალიზაციის მოხდენისა, ადგილი ქონდა სუფთა წერის შესწავლას; პირველი განყოფილებიდანვე შეტანილი იყო გაკვეთილების კვირეულ განრიგებაში სუფთა წერის საკუთარი საათები, რომლის სწავლება დავალებული ჰქონდა ხატვის მასწავლებელს, ან განსაკუთრებით მოწვეულ პირს, კალიგრაფს, რომელთაც ეძლეოდათ შესაფერისი ჯამაგირი. ოთხი წლის განმავლობაში მოსწავლეები ვარჯიშობდენ კალიგრაფიაში და შემდეგ მათ გამოყვებოდათ შემუშავებული და გარკვეული ხელი წერაში: ამავე დროს ეჩვეოდენ სუფთად ჩქარ წერასაც.

დღევანდელ შრომის სკოლებში არსად სუფთა წერის სწავლებას ადგილი არა აქვს: ცალკე საათები მისთვის არ არის დანიშნული: კვირეულ განრიგებაში არის შეტანილი 4—5 ქართული ენის გაკვეთილი. და ამ გაკვეთილების დროს უნდა შეისწავლოს მოსწავლემ როგორც კითხვა, ისე წერა, გრამატიკული კანონები. მსჯელობა

და აზრების დალაგება. გაკვეთილების ამ რიცხვიდან კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ თუ შეხვდება მოსწავლეს ამ საგანში მუშაობა და ისიც 40—30 წუთს; სწერს დაფიდან, ან წიგნიდან, ან მასწავლებლის კარნახით, თუ ზეპირად თავისით და ამ დროს სრულებით შეუძლებელია ყურადღება მიექცეს ასოების მოყვანილობას და სილამაზეს; მასწავლებელი კმაყოფილდება მით, თუ მოსწავლე როგორმე წინადადებას დასწერს და ზარის დარეკამდი წერითი ვარჯიშობისათვის გათვალისწინებულ მასალას მოასწრებს. მასწავლებელს არ შეუძლია ამ გაკვეთილზე მთელ კლასს, რომელიც შესდგება 50—60 მოსწავლისაგან, თვალყური ადევნოს და რომელსამე მოსწავლეს გაუსწოროს არასწორედ დაწერილი ასო.

მოსწავლეთა უმრავლესობას ოჯახში, ან კერძო პირებთან შეუსწავლიათ ქართული წერა-კითხვა უკუღმართი მეთოდით, დამახინჯებულად და ასეთი ცოდნით შემოსულან დაბალ ჯგუფებში; აქ მათ თავიდან ხელ-ახლა ასოების წერას ვინ დააწყებინებს და ეს უკუღმართი ხელი წერაში რჩება ბავშს, ასე განაგრძობს შემდეგშიაც იგი წერას. უწინ მასწავლებელს, როდესაც რვეულების გასწორებისათვის ჯილდო ეძლეოდა, მოსწავლეთა რვეულები სახლში მიჰქონდა და გასწორების დროს იგი აქცევდა ყურადღებას, როგორც ორთოგრაფიულს, ისე კალიგრაფიულ შეცდომებსაც და არასწორედ დაწერილ ასოებს დაუწერდა რამდენჯერმე: შემდეგ საკლასო დაფაზე გადმოწერდა ასეთ ასოებს და დაანახებდა მოსწავლეებს, თუ საიდან და როგორ უნდა დაიწყოს ამა თუ იმ ასოს დაწერა; მერმედ მას დააწერინებდა გასწორებულად 6—8 ჯერ და ამგვარი საშუალებით და წესებით შეასწავლიდა ასოების სწორედ დაწერას.



მშრომელ ქალთა დღე კომპარტიის მოსკოვის კომიტეტში.

ნაციონალურ უმცირესობათა დელეგატ ქალების პრეზიდიუმი.

დღეს, როგორც საკუთარი საათები წერისათვის გამორიცხულ იქნა გაკვეთილების განრიგებიდან, აგრეთვე რვეულების სწორებასაც სათითოეულად ადგილი აღარა აქვს; კლასში ორი-სამი რვეულის გადათვალიერებას გაკვეთილის დროს და საერთოდ შეცდომების მოძებნას და საკლასოდ გასწორებას სათანადო შედეგი და ნაყოფი არ მოაქვს, თუმცა დღეს ზოგი მასწავლებელი ასეთი მეთოდით სწორებას აძლევს უპირატესობას და გვირჩევს შემოღებულ იქნას რვეულების საკლასოდ სწორება. სუფთა წერის გაკვეთილების დროს შესაძლებელია ასეთი მეთოდის მიღება და მუშაობა, თუ მთელი კლასი ერთსა და იმავე ასოებს, ან წინადადებას, ან რომელიმე შემუშავებულ მასალას სწერს, ე. ი. თუ ყველას ერთნაირი სამუშაო აქვს მიცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ მოსწავლეს სათითოეულად სჭირდება რვეულის გადათვალიერება და ამისთვის დღეს ხომ დრო აღარ რჩება მასწავლებელს. აი ეს არის მიზეზი, რომ დღეს ჩვენს საშუალო სკოლებში კურსდამთავრებულმა ახალგაზრდებმა სუფთად, ლამაზად და გარკვეულად წერა არ იციან.

ახლა აუაროთ გვერდი ამ კალიგრაფიას და მივაქციოთ ყურადღება წერის იმ მხარეს, რომელიც შეასწავლის ჩვენს მოსწავლეებს აზრების სწორედ გამოთქმას და დალაგებას, ე. ი. რამდენად შეუძლიათ მათ რომელსამე თემაზე დამოუკიდებლად პასუხის მიცემა და წერითი სამუშაოს შესრულება. თანახმად პროგრამებისა, ქართული ენის მასწავლებელს ევალება სამშობლო ენის საშუალებით თანდათან განავითაროს მოსწავლე, რისთვისაც მწერალთა სხვადასხვა ნაწარმოებიდან უნდა ამოარჩიოს ლიტერატურული წიგნები, რომელთა შესწავლის შემდეგ მიაწოდებს მოსწავლეებს სხვადასხვა ხასიათის წერით სავარჯიშოებს; ეს ხდება უფროს ჯგუფებში.

არც ასეთი მუშაობის წესიერად და მეთოდიურად შესრულებისათვის საკუთარი საათები არ არსებობს; ესეც შედის განსაზღვრულ გაკვეთილთა რიცხვში და შესაძლებელია როგორმე მოახერხოს ორ კვირაში ერთხელ; რაც უნდა დამუშავებული მასალა აიღოს მასწავლებელმა, საკლასო მუშაობა 40 წუთის განმავლობაში ვერ სრულდება მოსწავლეების მიერ და ყოველთვის დაუთავებელი რჩება; რაც დაუწერიათ, ისიც უმეტეს ნაწილს უაზროდ და გაუგებრად დაუწერია, ენა დამახინჯებულია, სასვენ ნიშნებს ძვირად შეხვდებით; ხშირად რვეულის ნახევარ გვერდს გადაიკითხავ და წერტილსა და მძიმეს ვერ ნახავთ; რა არის ამის მიზეზი? ყოველივე ეს უნდა მივაწეროთ შემდეგ გარემოებას: თითოეულ მოსწავლეს ყოველ წელიწადს სხვადასხვა სკოლაში შეხვედრია გადაჯგუფება და ამ ხნის განმავლობაში მას სულ სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლიდა ამ საგანს. მთელი კლასი შესდგება სხვადასხვა სკოლის ჯგუფებიდან გადმოსული მოსწავლეებისაგან, უმრავლესობას წინა ჯგუფის პროგრამა გავლილი და შეთვისებული არა აქვს, მე-6, 7, 8, 9 ჯგუფის მოსწავლეებმა რიგიანი კითხვა არ იციან, ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანის დროს წლის თავზე ქართული ენის სუსტად ცოდნისათვის მოსწავლე არ დაუბრკოლებიათ და შეღავათიანად გაუშვიათ, სახელმძღვანელო საკითხავი წიგნი ვერ უშოვნია და ან არ შეუძენია.

ამას უნდა დაუმატოთ კიდევ ის მოელენა, რომ 30—40 მოსწავლის ნაცვლად დღეს თითოეულ ჯგუფში ხან 55—60 მოსწავლე და ყველა სხვადასხვა სკოლებიდან გადმოსროლილნი. ასეთ პირობებში, როგორ გინდათ შეაჩვიოთ მოსწავლეები სწორად აზრების დალაგებას, რიგიანად წერითი ვარჯიშობის შესრულებას!? დაიკითხა მასწავლებელმა კლასში რვეულები, უნდა გადაიკითხოს, ან სად აქვს ამის დრო: დ გადაიკითხა, რომელი საშუალებით გაეცნოს ამ მოწაფის ნაშრომს და ან როგორი შედეგი ე მუშაობას, თუ არ მიუთითა შეცდომებზე და ა წორა? ამ შემთხვევაში სამი-ოთხი მოწაფის ნა საკლასოდ გასწორება გაკვეთილზე ვერ უშველის სა

იმიტომ, რომ თითოეულს მათგანს მიცემულ თემაზე პასუხი თავისებური ენით აქვს დაწერილი და თავისებურად დალაგებული. მეექვსე, მეშვიდე, თუ მერვე ჯგუფის მოსწავლის საკლასო შრომა რომ გადაიკითხოთ, მას უნდა 5—6 წუთი. მაშ 60 მოსწავლის ნაწერის გადათვალიერებას სჭირდება მთელი 4—5 საათი ორ კვირაში ერთხელ, თვეში კი ერთ ჯგუფს 8—10 საათი; და თუ სავნის მასწავლებელი ხარ, მაშინ ხუთ ჯგუფთან გაქვს საქმე და უნდა დახარჯო თვეში 40—50 საათი; ასეთი შრომისათვის კი მასწავლებელს დღეს არაფერი არ ეძლევა. ამიტომ გაკვეთილების შემდეგ როდესაც ბრუნდება სახლში, სხვა სამუშაოს დაეძებს, რათა ჯამაგირი შეივსოს და რეულებისათვის ვეღარ იცლის.

ჩვენ შეგვიძლია კიდევ სხვა მიზეზებიც ჩამოვთვალოთ, მაგრამ რაც დავასახელეთ, ისიც საკმარისია დღევანდელი ჩვენი სკოლების ზემოხსენებულ ნაკლთა აღსანიშნავად. მწარე შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე, მშობლებზე ასეთი მოვლენა; სასოწარკვეთილებაშა ვარდებიან ისინი, როდესაც ხედავენ, რომ მათმა შვილებმა საშუალო სკოლა დაამთავრეს და უბრალო განცხადების დაწერა აზრიანად და დალაგებით არ შეუძლიათ:

საჭიროა ჩვენი დღევანდელი სკოლის ამ მტკივნეულ ადგილს მიექცეს მომავალი სასწავლო წლიდან მაინც სათანადო ყურადღება.

აუცილებლად ოთხწლედში უნდა იქნეს შემოღებული ოთხი წლის განმავლობაში სუფთაწერის გაკვეთილები ცალკე; მეხუთე ჯგუფიდან შესაძლებელი იქნება წერითი ვარჯიშობის რიგიანად ჩატარება, რისთვისაც ზედა ჯგუფებში როგორც ქართულის, ისე რუსული ენის გაკვეთილებს, უნდა მოემატოს კიდევ თითო გაკვეთილი მაინც; მასწავლებელს უნდა მიეცეს რეულების სწორებისათვის განსაზღვრული საათები და ამ საათებისათვის განაკვეთის მიხედვით ჯილდო; ბოლო უნდა მოეღოს ყოველ წელიწადს გადაჯგუფება-გადმოჯგუფებას; შედგენილი უნდა იქნეს თითოეული ჯგუფისათვის პროგრამების მიხედვით სახელმძღვანელოები, რათა საკითხავი წიგნი ყოველ მოსწავლეს ექნეს; ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, სხვა საგანთა შორის მიეცეს უპირატესობა მით, რომ ამ საგანშიაც ყველგან მოეთხოვოს გამოცდა მოსწავლეებს; ქართული ენის გაკვეთილები ყოველ ფგუფში სხვადასხვა მასწავლებელს არ უნდა მიეცეს; მეოთხე ჯგუფიდან შვიდწლედებში ერთ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მინდობილი, შესაძლებელია მერვე და მეცხრე ჯგუფებში მეორე მასწავლებელი დაინიშნოს. მასწავლებელი უნდა გაჰყვეს მოსწავლეს ჯგუფიდან ჯგუფში, რათა კარგად გაიცნოს და დაუკვირდეს თავის მოსწავლეს.

განათლების მუშაკთა კონფერენციებზე ხშირად ბევრს ვლაპარაკობთ სხვადასხვა საკითხების შესახებ და დღევანდელი ჩვენი სკოლების ასეთი ნაკლისათვის ჯერ არ მიგვიქცევია ყურადღება და არ გამოგვითქვამს საერთო აზრი. ბოლოს უნდა ავლაპარაკდეთ ამ საკითხების გარშემო.

ქ. კარტოზია.

მტკივნეული საკითხთაგანი ჩვენი სკოლისა.

„ისწავლე და ასწავლე“—აი ლოზუნგი რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს რევოლუციით განახლებული მასწავლებელი. დანგრეულია ძველი მონობის და გაბეპირების სკოლა. ააშენე ახალი ცოცხალი სკოლა! აი წითელი ოქტომბრის დავალება მასწავლებლისადმი.

ძველი სკოლის დანგრევასთან ერთად განადგურდა უმოქმედო მასწავლებლობაც, რომელნიც იყვნენ უბრალო აღმასრულებელნი, გარეშე ყოველგვარი შემოქმედებითი უნარისა. (რასაკვირველია არ ვგულისხმობ რევოლუციონურ მასწავლებლობას და ყველა იმათ, ვინც ღირსეულად ატარებდენ პედაგოგის სახელს).

უწინ სკოლის პროგრამა იმავე დროს წარმოადგენდა სამუშაო გეგმას; მასწავლებელს არ უხდებოდა ანგარიშის გაწევა და შესწავლა თავის მხარის თავისებურობისა; ერთი სიტყვით, თუ მასწავლებელს არ შეჰქონდა ამ „დაბეჭდილ და ნაბრძანებ“ პროგრამებში არავითარი ცვლილებები, ის მხოლოდ აღმასრულებელი იყო.

დღეს კი—აგეგმვას პედაგოგიური მუშაობისა ახალი პროგრამებით სარგებლობის დროს აქვს გადამწყვეტი [illegible] ნიშვნელობა. წლიური სამუშაო გეგმის გამომუშავება ეს [illegible] მოტივია ჩვენი ნაყოფიერი მუშაობისათვის; არა იმი[illegible] 12-მ პროგრამები ახალია და გადასვლა ყოველ [illegible] ნებრივად რთული და ძნელია, არამედ იმიტომ, [illegible] 0 ი ყურადღება ექცევა ადგილობრივ მხარის [illegible] შესწავლას. რასაკვირველია, თანდათანობით [illegible] ი შრომა და ცდები მოსპობს ბევრ სიძნელეს, [illegible] აინც მასწავლებელს ყოველთვის მოუხდება მის [illegible] ორგანიზაციული მუშაობა, რადგანაც მორალუ[illegible] არაფერია და, თუ ამ აზრს მივიღებთ,—შრომის ობიექტი და სამეურნეო საზოგადოებრივი ცხოვრებაც არ იქნება უცვლელი,—ისიც განიცდის ევოლუციას.

შრომის სკოლის ახალი პროგრამები, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, აშენებულია მხარის და შრომა—მოქმედიანობის, წარმოების შესწავლაზე; შრომის სკოლა ბავშთა ორგანიზაციაა, აშენებული შრომის შესწავლის საფუძველზე, მასში მონაწილეობის მიღებით. და რომ ეს გავატაროთ ჩვენს სკოლებში, საჭიროა წინასწარ გავარკვიოთ, თუ როგორი თემების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ მხარეში. შეუძლებელია მექანიკურად ამოსწეროთ პროგრამებიდან რომელიმე თემა, აიღო მასალები „წიგნებიდან და არითმეტიკული კრებულიდან“ და შეუდგე მუშაობას. სამუშაო გეგმა უნდა იქნეს გამომუშავებული წლის დასაწყისში. არა ნაკლებ ყურადღება—მისაქცევია ბავშების და აგრეთვე მშობლების ინტერესზე; ერთის სიტყვით ყველაფერს დასაწყისში უნდა მიაქციო ყურადღება; უნდა იყო სრულიად ადგილობრივი კაცი; თემის ყოველგვარ წვრილმანსაც უნდა იცნობდე მუშაობის დაწყებამდე, თუ რომელი მხარე ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი ცხოვრებიდან შეიძლება უკეთ გამოყენებული იქნას პედაგოგიური მუშაობისთვის, რომელს მოეკიდებიან ბავშები უფრო ხალისიანად როგორ შეხვდებიან მშობლები და საერთოდ მოსახლეობა სწავლების ასეთ სისტემას და სხვა—მრავალი საკითხებია რომელიც შესწავლილ უნდა იქნას.

სამუშაო გეგმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმ მხრითაც, რომ ის ეხება არა მარტო მასალის შერჩევას, არამედ მეთოდებსაც ამ მასალის დამუშავებისა. გარეშე ზემოთქმულისა პედაგოგიური მუშაობა წარმოადგენს ყიალქანო გემს აბობოქრებულ ზღვაში. ბევრს ეს ძალიან

კარგად აქვთ შეგნებული, მაგრამ მაინც რაღაც მიზეზების გამო გვერდს უხვევენ ამ უდიდეს საკითხს და ისე ეპოტინებიან და თითქოს „ამუშავებენ კომპლექსებს“. ასე ექსპრომტად მუშაობის დროს რასაკვირველია ნაყოფი არ იქნება დადებითი. თუ ჩვენ დღეს „არა ვართ კმაყოფილი“ ახალი მეთოდებით და სწავლების სისტემით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უვარგისია. მიზეზი ამისა მხოლოდ ჩვენი შესაფერისად მოუმზადებლობაა. ჯერ თვით უნდა შევისწავლოთ შევიგნოთ ძირ-ფესვიანად პრინციპი ახალი სისტემისა და შემდეგ მოვიდოთ ხელი მუშაობას — გარკვეულ და გეგმიან მუშაობის შედეგიც მაქსიმალური იქნება.

ზოგიერთი ჩვენგანი უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მოწყვეტილი ვართ ძველს მზა-მზარეულ გეგმებს, ვერ ვამუშავებთ ახალს და ტრაღიზმიც ამაშია; ამიტომაა, რომ ზოგიერთები გაიძახიან — „ვაი შენ და კომპლექსიო!“

რაშია ხსნა? ნუ თუ მართლაც პრინციპი სწავლების უვარგისია? არა პროგრამები და სქემები თავისთავად კარგია, მხოლოდ საჭიროა მისი შეესება ადგილობრივი პირობების მიხედვით. და რომ ეს შეესძლოთ, საჭიროა სწავლა, შეგნება და ათვისება მისი დედა აზრისა, უნდა ვისწავლოთ, რომ ვასწავლოთ! კარჩაკეტილობით და ინდივიდუალური შრომით ახალ სკოლას ვერ შევქმნით, საჭიროა კოლექტიური შრომა, — მუშაობა წრეებში, გაერთიანებულის ძალით სამუშაო გეგმების გამომუშავება, გაზიარება ამხანაგებთან მიღწევების, მუშაობაში ნაკლულოვანებათა და დაბრკოლებათა გარჩევა და სხვა.

აუცილებელია აგრეთვე დაარსებულ იქნას ყოველ კუთხეში მხარეთ-მესწავლის წრე, რომლის მიზანი იქნება ცხოვრების ადგილობრივი პირობების შესწავლა და მასში მონაწილეობის მიღება. ყველაფერს ამას შესძლებს მხოლოდ კოლექტივი და კოლექტიური შრომა, რაც სამწუხაროდ ძალზე სუსტია ჩვენს მივარდნილ სოფლებში და რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

სოსო მელიქიშვილი

საბავშვო ბაღის ირგვლივ.

ვიზანი გაცილებით უფრო ადრე უნდა იცოდეს „ადამიანმა ვიდრე მიზნის მისაღწევი გზები“ — ამბობს ჟან ბაული.

ვისაც სურს რაიმე შექმნას, ან რაიმეს მიაღწიოს, მან ჯერ თავის სურვილი უნდა განსაზღვროს, მიზანი უნდა დაისახოს.

მოქანდაკემ დასაწყისშივე უნდა იცოდეს, თუ რის გამოქანდაკება უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მან მუშაობა არ უნდა დაიწყოს სატეხით და ჩაქუჩით.

პირველ ყოფილ საზოგადოებაში უფროსი მოდგმა წრთვნიდა უმცროსს.

მეთევზეები ზრდიდენ მეთევზეებს
მწყესმსები-მწყემსებს
მიწის მუშა შრომის მოყვარე გლეხებს.
ანტიურ ქვეყნებში ბრძანებლებისათვის და მხედრებისათვის სულ სხვა აღზრდის მიზნები იყო დასახული.

ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში, ინდოეთში და საზოგადოდ ყველგან აღზრდა-განათლება ბატონობის და სიძლიერის იარაღს წარმოადგენდა, ამიტომ განათლების მიღება ხალხისათვის მიუწდომელი, აკრძალული იყო.

მართალია საშუალო ხანებში აღზრდის მიზნები სულ სხვადასხვა იყო სასულიერო წოდებისათვის და რაინდთათვის, მაგრამ ყოველივე ამას ერთი მიზანი ჰქონდა: აღეზარდა ხალხის გონების და სულის ბატონები.

აქედან ცხადია თუ როგორი მიზნები უნდა დაესახა ნიკოლოზის მთავრობას: იგი ზრდიდა შრომის მოყვარე (რა თქმა უნდა თავის სასარგებლოდ) ქვეშევრდომთ, გაგებულ გლეხობას, მარჯვე და მოხერხებულ ხელოსნებს და ვაჭრებს, მართლმორწმუნე ქრისტიანებს, ჩინოვნიკებს, რათა მათი საშუალებით მოეგროვებინათ მეტი ხარკი და ბეგარა თავის კეთილდღეობისათვის.

მაგრამ რუსეთის დიდმა რევოლუციამ სამუდამოდ დაასამარა ნიკოლოზის მთავრობასთან ერთად აღზრდის ასეთი მიზნები და სრულიად ახალი მოთხოვნილებანი წამოგვიყენა.

ჩვენ რა ხალხი უნდა მოვამზადოდ და რისთვის. რა უნდა მივცეთ ჩვენ ბავშვებს, რომ მათ თავი მომზადებულად იგრძნონ განახლებულ ცხოვრებისათვის.

ჩვენ უნდა აღვზარდოთ მებრძოლი მუშათა კლასის იდეალების განსახორციელებლად. მაგრამ არა მარტო მებრძოლი, არამედ იგი მშენებელიც უნდა იყოს ახალი ცხოვრებისა. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისეთი მომაკალი თაობა, რომელიც შესძლებს მონაწილეობა მიიღოს პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობაში, რომელიც შესძლებს ამ სახელმწიფოს შექმნას.

ჩვენ უნდა აღვზარდოთ სიცოცხლით სავსე, ჯან-მრთელი, შრომის მოყვარე და უნარიანი, სოციალური ინსტიქტებით გამსჭვალული ორგანიზაციული მუშაობისათვის დახელოვნებული პიროვნება.

ჩვენ უნდა გამოვზარდოთ მაშენებელი სოციალისტურ საზოგადოებისა.

ამას მოითხოვს ჩვენი განახლებული ცხოვრება, ამას უნდა ემსახურებოდეს ჩვენი სკოლა.

მაგრამ საიდან დავიწყოთ ჩვენი ამგვარი ფართე სოციალური მუშაობა, რომ ჩაეყაროს საფუძველი ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმიანობას.

ჩვენი აზრით ეს როლი საბავშო ბაღმა უნდა იკისროს.

ადამიანის ხასიათის ძირითადი თვისებები ისახება საბავშო ბაღის (3-7 წ.წ.) ჰასაკში). ამ ჰასაკში ყალიბდება საზოგადოების წევრის არსი.

ამისათვის ჩვენი ვალია შეუქმნათ მათ ზედ მიწევნითი ხელსაყრელი პირობები; მათი ცხოვრება ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იგი პირდაპირ გამომდინარეობდეს ბავშვის, როგორც ფიზიოლოგიურ და ფსიქიურ თვისებებიდან, ისე მის სოციალურ ბუნებიდან, რათა გავამაგროთ და განვავითაროთ ყოველივე ის, რაც საბავშო ბაღის ჰასაკის ბავშვებში ისახება. აქედან აშკარაა-თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია საბავშო ბაღსა, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ყოფილა მისი როლი.

შლეგერი ამბობს: „საბავშო ბაღს სრული უფლება აქვს ცნობისა და არსებობისა. იგი ფუძეა სოციალური აღზრდისა საბავშო ბაღი იძლევა იმას, რის მოცემაც შეუძლია იდეალურ ოჯახ“-ს მაგრამ, უკეთუ ბაღში ობას არ შეუფარდებთ მის მოთხოვნილებებს, უნდა, სასურველს მიზნებს ვერ მივაღწევთ.

ჩვენ უნდა შევისწავლოთ ბავშის ზრდის შეუქმნათ შესაფერი გარემო ცხოვრების ნორმა რობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშის ზრდას და წინმსვლელობას.

ამ მიზნების მისაღწევად კვლევა-ძიება, შესწავ

ბავშვის ცხოვრების ყველა სფეროს ანალიზი და ფრთხილი შეგნებული მასში მონაწილეობა აუცილებელია.

ენერგიული ზრდა საბავშო ბაღის ჰასაკის ბავშვების სხეულისა და ქსოვილთა, განსაკუთრებით ნერვიული სისტემისა, ადვილად მიღება ყოველგვარ გადამდებ სენისა, სწრაფი დაღლა კუნთებისა და ნერვებისა, წაბაძვა და ადვილად შთაგონება, სიჭარბე გრძნობისა და წარმოდგენისა, მოითხოვს მათ აღზრდის დროს სულ სხვა, განსაკუთრებულ მიდგომას, ვიდრე სასკოლო ჰასაკის ბავშის აღზრდა-სწავლება. საბავშო ბაღის მუშაობის გეგმის პირველ რიგში ჰიგიენა და ფიზიკური აღზრდა უნდა იდგეს.

ნორმალური კვება, სათანადო მოვლა, სინათლის და ჰაერის სიუხვე — აუცილებელია.

ყოველგვარი იძულებითი, ერთფეროვანი ფიზიკური და გონებრივი შრომა, რომელიც არ შეეფერება ბავშის არც ძალღონეს და არც სურვილს, უკუგდებული უნდა იქნეს.

ყოველივე მუშაობა უნდა გამომდინარეობდეს ბავშის ბუნებრივ მოსწრაფებიდან.

წინააღმდეგ შემთხვევაში ხანგრძლივი მუშაობა გეგმით, ან შაბლონით ადვილად გამოიწვევს ნერვების დაღლილობას და იგი მიზეზი შეიქნება მომავალი დაავადებისა ნევროსტენიით და ისტერიით.

საბავშო ბაღში ბავშთა აღზრდის მთავარ საშუალებად თამაში უნდა ჩაითვალოს. იგი წარმოადგენს ბუნებრივ ფორმას ბავშის საქმიანობისას და საუკეთესო სკოლას მიჩვენების შესაძენად. დისციპლინის შექმნის და სოციალურ გრძნობათა გასავითარებად. საშენებელი თიხა, ქვიშა, მასალა, ქალალდი, ფერადები, წებო და სხვა აუცილებელია.

ამას უნდა დაუმატოდ მათი ექსკურსიები ბუნებაში და საზოგადოებაში. უნდა გადაუშალოთ მათ ბუნება და გარემო, რათა დაიკმაყოფილოს ბავშმა ის უხვი ცნობის მოყვარეობა, ის ლტოლვა კვლევისა და შესწავლისადმი, რომლითაც დაჯილდოებულია ბავში ამ ჰასაკში, და მის სხეულის ზრდასთან ერთად, ის თანდათან გამდიდრდეს გამოცდილებით, რაიც უნდა დაედვას ქვად და ქვითკირად მის შემდეგი საჭირო ცოდნათა შეთვისებას.

როგორი უნდა იყვეს ჩვენი, პედაგოგების, საბავშო ბაღის ხელმძღვანელების როლი ამგვარ მუშაობაში?

მთელი რეჟიმი საბავშო ბაღისა, დაწყებული კვებიდან და დათავებული დასვენებით, ტანსაცმელით, გასეირნებით და თამაშით, უნდა ეიქონიოდ დაკვირვების ქვეშ, რაშიაც უნდა გვეხმარებოდეს აგრეთვე ბაღის ექიმი. ამ ჰასაკში, ვიმეორებთ, ბავშის ორგანიზმი სწრაფ ითვისებს ამა თუ იმ გადამდებ სენს და უმნიშვნელო დარღვევასაც კი ჰიგიენურ მოთხოვნილებათა ხანდახან შეუძლია ბავშის სუსტ ორგანიზმს სერიოზული ზიანი მიაყენოს.

საბავშო ბაღის ჰასაკის ბავშებს მეტად უყვართ უფროსების წაბაძვა. ისინი ცდილობენ ყველაფერში თავის მახლობელთ წაბაძონ. ამ შემთხვევაში ფრიად დიდ როლს თამაშობს მათ ცხოვრებაში პედაგოგის პიროვნება, მისი ყოფა-ცხოვრება, მეტყველება, ჩვეულებები და ა. ამიტომ ბაღისათვის საჭიროა ისეთი ხელმძღვანელი, [illegible] აღჭურვილია წასაბაძი თვისებებით.



საბჭოთა კავშირის პავილიონი ლეიპციგის ბაზრობაზე.

სოციალურ გრძნობათა განვითარების სფეროში ხელმძღვანელმა ბავშები უნდა მიიყვანოს იქნობამდე, რომ თვითეულ მათგანმა, დაბოლოს, იგრძნოს საერთო ცხოვრების საჭიროება, რომ ისინი შეადგენენ ერთ მთელს, და გარეგანი წესიერება გამომდინარეობდეს არა ხელმძღვანელის მოთხოვნილებიდან, არამედ მათ შეგნებიდან, რომ ეს აუცილებელია ერთად ცხოვრებისათვის.

ხელმძღვანელი მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ ბავშთათვის მუშაობის ნორმალური პირობები არ დაირღვეს, ბავშების შერჩევა აუცილებელია, დეფექტიურ ბავშს ნორმალ საბავშო ბაღში ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ბავშთა საზოგადოება ბავშებმა უნდა შეიმცნოს არა როგორც ბრბო, არამედ როგორც ამხანაგთა წრე. ამას მძლავრად უნდა ხელის შეწყობა, სათანადო მიდგომა, ბავშების სიყვარული და მოვალეობის ცოდნა. მეცნიერული ფართე მომზადება.

აი რას ამბობს: ბლონსკი: „ხელმძღვანელს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოჰკიდოს ხელი მუშაობას, როდესაც მის ნებისყოფას სიყვარული და რწმენა განაგებს: ეს სიყვარული სამ გვარია: სიყვარული ბავშისადმი, სიყვარული კულტურისადმი და სიყვარული პედაგოგიკისადმი. მთავარია პირველი სიყვარული".

ვიმეორებთ, საბავშო ბაღში მუშაობის დროს დიდი სიფრთხილე გვმართებს. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაზე.

აღძრულ საკითხისადმი სწორი მოდგომა საბავშო ბაღს შეასრულებინებს თავის დანიშნულებას.

ბავშის აღზრდას აქ დაედება რა ფუძედ თვის მოქმედება, ბუნებასთან სიახლოვე, სოციალურ გრძნობათა განვითარება და ცხოვრებისათვის საჭირო და სასარგებლო მიჩვევების გამომუშავება, საშუალება მიეცემა მას თავისუფლად განავითაროს თავისი სულიერი და ფიზიკური ძალები, რაიც სოციალურ აღზრდას მკვიდრ საძირკველს ჩაუყრის.

ი. ჯიშკარიანი.

მათემატიკის საფუძვლები

კუთხესა და განყენებულ რიცხვთა შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება და ამ უკანასკნელის სამკუთხედთა გადასაწყვეტად გამოყენება.

მეთოდიური ცდა.

წერილი მეორე.


შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

კუთხესა და განყენებულ რიცხვს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების აღმოჩენის სიძნელე სწორედ კურსის ამ ადგილზე უნდა იქმნეს სათანადოდ გაშუქებული: ხაზი უნდა გაესვას იმ სინამდვილეს, რომ ეს დამოკიდებულება არ არის უშუალო, რის გამო მის გამოაშკარავებას ადამიანმა მოანდომა მრავალი საუკუნეების განმავლობაში შემოქმედებითი დიდძალი ენერგია და ბოლოს კუთხის მხოლოდ სწორკუთხიან სამკუთხედში მოქცევით და ამგვარად მიღებული სამკუთხედის ხაზოვანი ელემენტების გამოყენებით მან, ადამიანმა, ზემოდ აღნიშნულს დამოკიდებულებას ადვილად შესაგნები და დასრულებული სახე მისცა.

კუთხიდან ორი ნაკვეთის შეფარდების საშუალებით განყენებულ ნაწევარზე გადასვლა ადამიანმა ბრწყინვალედ გამოიყენა სამკუთხედის გვერდების ურთიერთ დამაკავშირებელ საშუალებად და ამ გზით შექმნა მათემატიკური ცოდნის ის დარგი, რომელსაც ჩვენ ტრიგონომეტრიის სახელდებით ვიცნობთ.

§ 2. მახვილი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქცია: სინუსი — sinus'ი.

დავუბრუნდეთ პირველს სწორკუთხიან ABC სამკუთხედს, რომელიც მოქცეულია წინა პარაგრაფში და აღვნიშნოთ მისი კუთხეები ბერძნული ანბანის ასოებით*).



ამის შემდეგ განყენებული ნაწევარი $\left(\frac{3}{5}\right)$ წინა პარაგრაფში, 37^0-ის კუთხესთან დაკავშირებით განხილული, მთელი თავისი რთული მათემატიკური შინაარსით $\sin 37^0$-ის სიმბოლოს ქვეშ მოვაქციოთ და ასე ამგვარად $\frac{3}{5}$ და $\sin 37^0$-ის თანასწორობის ნიშნით შევაერთოთ, რაც შემდეგს თანასწორობას მოგვცემს:

$$\frac{3}{5} = \sin 37^0 \quad . \quad . \quad . \quad I$$

ასე რომ, ერთი მხრით გვექნება:

$\frac{3}{5} = \sin 37^0$, ე. ი. $\frac{3}{5}$ არის $\sin 37^0$-ის,

მეორე მხრით კი $\frac{3}{5}$ გვეუბნება, როგორც ორ ნაკვეთთა (AB და BC) ჯერადი შეფარდების მნიშვნელი და ამის გამო გვაქვს:

$$\frac{3}{5} = \frac{AB}{BC} \quad . \quad . \quad . \quad . \quad II$$

რაც აღებული სამკუთხედის სამ ელემენტს ურთიერთ უშუალოდ აკავშირებს: AB, BC და $\frac{3}{5}$.

ამ ორ უკანასკნელ თანასწორობათა პირველი ნაწილების თვალსაჩინო ერთიდაიგივეობა კი, ჩვენ საბოლოოდ გვაძლევს შემდეგს უეჭველ მწკრივს:

$$\sin 37^0 = \frac{AB}{BC} = \frac{3}{5} \quad . \quad . \quad . \quad III$$

აქ საჭიროა ითქვას, რომ უკანასკნელი მწკრივის სიმბოლო — ასახვას, $\sin 37^0$, მათემატიკურად მთლიანი და განუკვეთელი შინაარსი აქვს და ამის გამო მისი დამწერლობაც განუკვეთელად უნდა მიეღოთ $\sin 37^0$ ის სახით.

ამ ასახვას, ჩვეულებრივად, დროის და ადგილის მოსაგებად, ე. ი. საქმის გასაადვილებლად, მათემატიკა, ასე ვთქვათ, შიგნიდან შემდეგნაირად ჰკვეცავს: $\sin 37^0$.

ხანდისხან კი ამ შეკვეცასაც უმოკლეს სახეს აძლევს $\sin 37^0$.

ამ ორგვარ შეკვეციდან ჩვენ პირველი შეკვეცა მიეიღოთ და უკანასკნელი მწკრივი შემდეგნაირად ავსახოთ.

$$\sin 37^0 = \frac{AB}{BC} = \frac{3}{5} .$$

თუ ჩვენ $\sin 37^0$-ის განსაზღვრას ვაწარმოებთ ამ უკანასკნელი მწკრივის მეორე წევრის მიხედვით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ **კუთხის სინუსი ამ კუთხის მოპირისპირე კათეტის ჰიპოტენუზასთან ჯერადი შეფარდებაა.**

ეს იქნება, ასე ვთქვათ, ფორმალური განსაზღვრა გარე-საჩინო ნიშნების მიხედვით, არსებითად კი, ე. ი. სინამდვილეში $\sin 37^0$ განყენებული ნაწევარია $\left(\frac{3}{5}\right)$, რომლის კავშირი, როგორც ორ მონაკვეთთა შეფარდების მნიშვნელის, სათანადო 37^0-ის შემცველ კუთხესთან იგულისხმება სწორკუთხიანი სამკუთხედის აგებით, სადაც უმცირესი ნაკვეთი კუთხის მოპირისპირე კათეტია, უდიდესი კი ჰიპოტენუზა.

ამას გარდა, $\sin 37^0$-ს, ე. ი. $\frac{3}{5}$-ს, შეგვიძლია მივცეთ შემდეგი დიდად საგულისხმიერო განმარტებაც:

თუ გავიხსენებთ ზემოდ შენიშვნაში მოქცეულ მასალას და დავუბრუნდებით უკვე წინად მიღებულ შეთანასწორებას:

$$\frac{AB}{BC} = \frac{3}{5} ,$$

მაშინ საერთოდ გასაგები შეიქმნება, თუ ვიტყვით, რომ $\frac{3}{5}$ რიცხვული ახასიათებს 37^0-იანი კუთხის მოპირისპირე კათეტისა, როდესაც სიგრძის საზომ ერთეულ[illegible] ტენუზაა მიჩნეული.

აქედან კი ცხადია, თუ რომელიმე სწ[illegible] სამკუთხედში ჰიპოტენუზას მივიჩნევთ სიგრძ[illegible] ერთეულად და მის შემწეობით გავზომავთ, რა[illegible] ლია, იმავე სამკუთხედის კათეტს, მაშინ **კათეტი[illegible] ხველი განყენებული ნაწევარი მიიღებს ტრიგ[illegible] ტრიულ შინაარსსაც,** ე. ი. მისი განხილვა კათეტის მო[illegible]

*) მათემათიკაში ხშირად ხმარებაშია შემდეგი ბერძნული ასოები: α — ალფა, β — ბეტა, γ — გამმა, δ — დელტა, λ — ლამბდა, μ — მი, ρ — რო, π — პი, φ — ფი, ψ — ფსი.

აქ უნდა ითქვას, რომ ბერძნული ასოების ბეჭდვითი და წერითი დამწერლობა ერთი და იგივე სახისაა.

პირისპირე კუთხესთანაც დაკავშირებით შესაძლებელი იქნება.


ასე რომ განყენებული ნაწევარი $\frac{3}{5}$, ჩვენ მიერ შესასწავლად აღებულ მაგალითში, ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მათემატიკური შინაარსით გვევლინება:

37°-ის შემცველ კუთხესთან დაკავშირებით **ის** ამ **კუთხის სინუსია,**

AB და BC ნაკვეთებთან **ის** მათი **ჯერადი შეფარდების მნიშვნელია** და ბოლოს,

ABC სწორკუთხიან სამკუთხედთან დაკავშირებით **ის,** ჰიპოტენუზით გაზომილი, 37°-იანი კუთხის მოპირისპირე **კათეტის რიცხვული ასახვაა.**

§ 3. სწორკუთხიანი სამკუთხედის გადაწყვეტა გეომეტრიული ხერხით.



ავიღოთ წინა პარაგრაფში მოთავსებული ABC სწორკუთხიანი სამკუთხედი და მისი გვერდების რიცხვულ განყენებულ ასახვად, თუგინდ mm-ის მიხედვით, მივიჩნიოთ ჰიპოტენუზისათვის a, AB კათეტისათვის c, AC კათეტისთვის კი b, მაშინ თანახმად პითაგორის თეორემისა, რომელიც გვეუბნება, რომ ყოველს სწორკუთხიან სამკუთხედში ჰიპოტენუზის კვადრატი კათეტების კვადრატთა ჯამს უდრისო, ჩვენ გვექნება შემდეგი თანასწორობა:

$$a^2 = b^2 + c^2 \quad . \quad . \quad . \quad I$$

ამასთან თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ყოველს სწორკუთხიან საკუთხედში მახვილ კუთხეთა ჯამი 90° უდრის, მაშინ ჩვენ მეორე თანასწორობასაც მივიღებთ:

$$\alpha + \beta = 90^0 \quad . \quad . \quad . \quad II$$

ამ ორ გეომეტრიულ თანასწორობას თუ შემოვუერთებთ მესამე თანასწორობასაც:

$$\frac{AB}{BC} = \sin\alpha \quad . \quad . \quad . \quad III,$$

რომელსაც ჩვენ წინა პარაგრაფში გავეცანით, მაშინ ჩვენ გვექნება **სამი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არსებული თანასწორობა,** რომელთა საშუალებით სწორკუთხიანი სამკუთხედის უცნობი ელემენტების ამოცნობა შედარებით ადვილად წარმოებს.

ამისათვის საკმარისია სწორკუთხიანი სამკუთხედის **ხუთი** ელემენტიდან: α, β, a, b და c-ან, მხოლოდ ორი ელემენტის ცოდნა-მოცემა, რომელთა შორის ერთი ელემენტი აუცილებლად გვერდი უნდა იყოს და მართლაც:

უკანასკნელი III-ე თანასწორობიდან ჩვენთვის ცხადია, რომ ის სწორკუთხიანი ABC სამკუთხედის ორის გეომეტრიული ელემენტის, AB კათეტის და BC ჰიპოტენ[illegible] ერთი ტრიგონომეტრიული ელემენტის, [illegible]ულიად გარკვეულ დამოკიდებულებას წარ[illegible]

[illegible]ებასაშუალებას გვაძლევს, თუ ორი მათგანი მო[illegible] სამკუთხედის მესამე ელემენტი **გეომეტრიული** [illegible]ველთვის სრული სისწორით გამოვიცნოთ:

[illegible]მართლაც, თუ არსებობს

$$\frac{AB}{BC} = \sin\alpha,$$

მაშინ აქედან აუცილებელია შემდეგი თანასწორობების არსებობაც:


$$AB = BC \cdot \sin\alpha \quad . \quad . \quad . \quad . \quad 1.$$

$$BC = \frac{AB}{\sin\alpha} \quad . \quad . \quad . \quad . \quad 2.$$

$$\sin\alpha = \frac{AB}{BC} \quad . \quad . \quad . \quad . \quad 3.$$

ეს კი ზემოდმოყვანილი პირველი თანასწორობის მიხედვით გვეუბნება, რომ აგების, ე. ი. ფარგლის და სახაზავის, საშუალებით AB კათეტის ნაკვეთის საპოვნელად საკმარისია ჰიპოტენუზის ნაკვეთის მოპირისპირე კუთხის სინუსზე გამრავლება. ასე რომ,

I. ამ საკითხს თუ დავუკავშირებთ ამ პარაგრაფშივე მოცემულს ABC სწორკუთხიან სამკუთხედს, მაშინ მოცემული ჰიპოტენუზის ნაკვეთად უნდა მივიჩნიოთ:



ნაკვეთი, sinα-დ კი $\frac{3}{5}$; რადგან α ამ შემთხვევაში 37°-ის შემცველია.

ასე რომ, ამ შემთხვევაში თვით (I) თანასწორობა სათანადოდ შემდეგს სახეს მიიღებს:

$$AB = BC \times \frac{3}{5}, \text{ აქედან}$$

$$AB = \frac{BC}{5} \times 3,$$

ე. ი. AB კათეტის მისაღებად მოცემული ჰიპოტენუზის BC ნაკვეთი უნდა გავჰყოთ ხუთ თანასწორ ნაკვეთად და ერთი მათგანი სამჯერ მოვზომოთ.


აქ გავიხსენოთ, რომ ნაკვეთის რამდენიმე თანასწორ ნაწილად გაყოფას **გეომეტრია** ადვილად ახერხებს იმ თეორემის მიხედვით, რომელიც გვეუბნება:

„თუ კუთხის ერთერთ გვერდზე მოვზომავთ რამდენსამე თანასწორ ნაწილს და მათი ბოლოებიდან მეორე გვერდის გადამჭრელს პარალელურ ხაზებს გავავლებთ, მაშინ მეორე გვერდზედაც ურთიერთ თანასწორ ნაკვეთებს მივიღებთ“.


ასე რომ BC ნაკვეთის ხუთ თანასწორ ნაწილად გაყოფა უნდა ვაწარმოოთ შემდეგი სახით:

BC ნაკვეთის ერთერთ ბოლოდან გავავლოთ BK ხაზი და ამ ხაზზე მოვზომოთ ხუთჯერ შეურჩევლად აღებული ერთი გარკვეული ნაკვეთი და მეხუთე ნაკვეთის ბოლო M წერტილი შევუერთოთ სწორი ხაზით C წერტილს.

ამის შემდეგ დანარჩენი ნაკვეთების ბოლოებიდან: M_1, M_2, M_3, M_4-დან MC-სადმი პარალელური ხაზების გავლებით, BC ნაკვეთი თავისთავად—მექანიკურად, ხუთ ურთიერთ თანასწორ ნაწილად გაიყოფა.



ახლა თუ ავიღებთ BC ნაკვეთის ერთერთ ნაწილს და მოვზომავთ მას სამჯერ, მივიღებთ უცნობ AB კათეტის გარკვეულ ნაკვეთს:




II ამგვარისავე **გეომეტრიული ხერხით** ჩვენ ზემოდ მოყვანილი მეორე შეთანასწორების საშუალებით, თუ მას დავუკავშირებთ იმავე სამკუთხედს, შეგვიძლია უცნობი BC ჰიპოტენუზის პოვნა, თუ, რასაკვირველია, ნაკვეთის სახით მოცემულია AB კათეტი და α კუთხის სინუსი.

და მართლაც: რადგან მეორე შეთანასწორებაში,

$$BC=\frac{AB}{\sin\alpha},$$

ჩვენ მიერ აღებულ სამკუთხედთან დაკავშირებით, AB ნაკვეთია მოცემული შემდეგი



მონაკვეთის სახით, სინუსი კი $\frac{3}{5}$-ია, რადგან α ამ შემთხვევაში 37°-ის შემცველია, ამის გამო საძიებელი BC ჰიპოტენუზა თანახმად შეთანასწორებისა AB ნაკვეთის $\frac{3}{5}$-ზე გაყოფით მოინახება, ე. ი.

$$BC=\frac{AB}{3}\times 5$$


ეს უკანასკნელი კი გადაწყდება იმავე გეომეტრიული ხერხით და საშუალებით, რა ხერხითაც და საშუალებით ამგვარივე საკითხი ჩვენ წინა შემთხვევაში გადავწყვიტეთ:

AB ნაკვეთის სამს თანასწორ ნაწილად გაყოფით და ერთერთ ამგვარად მიღებული ნაწილის ხუთჯერ გადაზომვით, ჩვენ ჰიპოტენუზისთვის სათანადო BC ნაკვეთს მივიღებთ.


III რაც შეეხება მესამე შეთანასწორებას:

$$\sin\alpha=\frac{AB}{BC},$$

ეს ჩვენ უნდა გავიგოთ ამგვარად: თუ გეომეტრიულად ნაკვეთების სახით მოცემული გვაქვს ABC სამკუთხედის კათეტი და ჰიპოტენუზა, საპოვნელად კი მიჩნეულია $\sin\alpha$, მაშინ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ $\sin\alpha$ იმავე დროს ორ ნაკვეთთა ურთიერთ ჯერადი შეფარდების მნიშვნელობაა და ამით სრულიად გასაგებად გავხადოთ, რომ ეს საკითხი თავის გადასაწყვეტად ბოლოს და ბოლოს ორ მოცემულ ნაკვეთთა ურთიერთ



და



შეფარდების მნიშვნელის პოვნას თხოულობს.

ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, უუდიდეს საერთო საზომის მონახვას მოითხოვს,

შემდეგ კი ნაპოვნი საზომის საშუალებით და თანასწორობის სახით ორის მოცემული ნაკვეთის სათანადოდ აღნიშნავს

და მხოლოდ ამის შემდეგ მიღებულ თანასწორობათა წევრ-წევრად და შესაბამად ერთმანეთზე გაყოფას,

რაც, ჩვენ მიერ აღებულ შემთხვევაში, $\sin\alpha$-ისთვის $\frac{3}{5}$-ს მოგვცემს.

ეს უკანასკნელი კი იმის მომასწავებელია, რომ $\alpha=37^0$, ე. ი. თვით მახვილი კუთხე 37°-ის შემცველია.

ასე და ამგვარად ზემოდ მოყვანილ თანასწორობათა მიხედვით ჩვენ სამსავე შემთხვევაში სამკუთხედის საძიებელი ელემენტების პოვნა სახაზავის და ფარგლის საშუალებით ვაწარმოეთ, ე. ი. **ყოველს ცალკე შემთხვევაში საკითხს აგებითი ხერხით ვწყვეტდით.**

თავისთავად ცხადია, რომ ეს ხერხი გეომეტრიულ ხერხად უნდა მივიჩნიოთ.


§ 4. სწორკუთხიანი სამკუთხედის გადაწყვეტა გაზომვა-გამოანგარიშების ხერხით.

I . . . . შემთხვევა: AB **კათეტის ამოცნობა.**

თანახმად პირველი შეთანასწორებისა:

$$AB=BC.\ \sin\alpha,$$

უცნობი AB ნაკვეთის საპოვნელად უნდა გაიზომოს მოცემული



ნაკვეთი, რაც, ე. ი. გაზომვა, ჩვენ აღებულ შემთხვევაში მოგვცემს 40 მილიმეტრს, ე. ი. აღმოჩნდება, რომ

$$BC=40\ mm.$$

აქ თუ გავიხსენებთ, რომ მსჯელობას ვაწარმოებთ სწორკუთხიანის ABC სამკუთხედის ელემენტებთან დაკავშირებით, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ $\sin\alpha$-დ $\frac{3}{5}$-ი უნდა მივიჩნიოთ.

ასე რომ პირველი შეთანასწორება AB ნაკვეთის საპოვნელად გამოყენებული შემდეგს სახეს მიიღებს:

$$AB=40mm\times\frac{3}{5}$$

აქედან კი, რადგანაც $40\ mm.\times\frac{3}{5}=24\ mm.$, AB ნაკვეთისთვის გვექნება:

$$AB=24\ mm.$$

თუ მიღებული პასუხის სისწორის შესამოწმებლად ზემოთ, გეომეტრიული ხერხით, ნაპოვნს AB ნაკვეთს გავზომავთ, მაშინ ჩვენ უშუალოდ დავრწმუნდებით, რომ ის სწორედ გამოანგარიშებითი ხერხით ნაპოვნის 24 mm-ის შემცველია.

აქედან **ცხადად სჩანს**, გეომეტრიულთან შედარებით, **გამოანგარიშების ხერხის ყოველმხრივი უპირატესობა.**

II . . . შემთხვევა BC **ჰიპოტენუზის ამოცნობა.**


იგივე ითქმის მეორე შეთანასწორების მიხედვით BC ნაკვეთის ამოცნობის შესახებაც:

$$BC=\frac{AB}{\sin\alpha}$$

აქაც გამოანგარიშების ხერხით საკითხის გადაწყვეტა გაცილებით უფრო ადვილი იქნება, ვიდრე გეომეტრიული ხერხით.

და მართლაც:

გეომეტრიულად მოცემულის



ნაკვეთის უშუალო გაზომვა, რაც ჩვენ 24 mm. მოგვცემს, და იმის გათვალისწინება, რომ $\sin\alpha$ ამ შემთხვევაში $\frac{3}{5}$-ია, ჩვენ უცნობ BC ნაკვეთისთვის შემდეგ[illegible] რობას მოგვცემს:

$$BC=\frac{24\ mm}{3},\ \text{აქედან კი}\ BC=\frac{24\ m}{5}$$

$$BC=40\ mm.$$

ასე რომ, თუ სწორკუთხიან სამკუთხედში კათეტი 24 mm ის შემცველია და მისი მოპირისპირე კუთხის sinus'ი $\frac{3}{5}$-ი, მაშინ ჰიპოტენუზა აუცილებლად 40 mm-ის შემცველი იქნება.

III . . . . შემთხვევა: **sinα-ის და მაშასადამე α კუთხის ამოცნობა.**

რაც შეეხება მესამე შეთანასწორების საშუალებით:

$$\sin\alpha=\frac{AB}{BC},$$

sinα-ის პოვნას, ეს გეომეტრიულთან შედარებით გამოანგარიშების ხერხით გაცილებით უფრო ადვილად ხერხდება: ამისთვის საკმარისია გეომეტრიულად მოცემულის

A 24 mm B და B 40 mm C

ნაკვეთების გაზომვა და ამგვარად მიღებულის არითმეტიკული მნიშვნელობების მოცემულ შეთანასწორებაში ჩასმა.

მაშინ, რადგან AB ნაკვეთისთვის უშუალო გაზომვა 24 mm-ს მოგვცემს, BC ნაკვეთისთვის კი 40 mm-ს, მესამე შეთანასწორება sinα-ის გამოსაანგარიშებლად შემდეგს სახეს მიიღებს:

$$\sin\alpha=\frac{24\text{ mm}}{40\text{ mm}},$$

აქედან კი მნიშვნელის და მრიცხველის 8 mm-ით შეკვეცის შემდეგ sinα-თვის საბოლოოდ გვექნება:

$$\sin\alpha=\frac{3}{5},$$

ეს კი იმის მომასწავებელია, რომ $\alpha=37^0$.

ამ უკანასკნელ მაგალითზე ჩვენ აღმოვაჩინეთ **სინუსის გამოანგარიშების ახალი, ადვილი ხერხი:**

საკმარისი ყოფილა სწორკუთხიან სამკუთხედში კუთხის პირისპირ მდებარე კათეტის და ჰიპოტენუზის მილიმეტრით გაზომვა და ამგვარად მიღებულის სახელდებული რიცხვების ერთისა მეორეზე შეკვეცით ანუ შეუკვეცელად გაყოფა.

IV . . . . შემთხვევა: β **კუთხის ამოცნობა:**

ზემოდ მოყვანილი მასალის გათვალისწინებით, ჩვენთვის ცხადია, რომ გადასაწყვეტად აღებულის მეორე მახვილის β კუთხის საკითხიც ადვილად წყდება: ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ წინა პარაგრაფის დასაწყისში მოყვანილი მეორე შეთანასწორება, რომელიც გვეუბნება, რომ ყოველს სწორკუთხიან სამკუთხედში მახვილ კუთხეთა ჯამი 90^0 შეადგენს, ე. ი. $\alpha+\beta=90^0$, საიდანაც β-ასთვის გვაქვს:

$$\beta=90^0-\alpha$$

აქ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ $\alpha=37^0$, მაშინ ცხადია, რომ $\beta=53^0$, რადგანაც 90^0-37^0 სწორედ ამ 53^0 უდრის.

ეს უკანასკნელი რიცხვი კი, ე. ი. 53^0, რომელიც **გამოანგარიშებით არის ნაპოვნი**, შეიძლება სწორკუთ[ხედზე] ტრანსპორტირით უშუალოდ შევამოწმოთ, რომ ის სრული სისწორითაა [მო]გებული და მართლაც 53^0 უდრის.

[V] . . . . შემთხვევა: AC **კათეტის ამოცნობა.**

[ბო]ლოს, სამკუთხედის უკანასკნელი ელემენტის, კათეტის, არითმეტიკული მნიშვნელობის გასაანგარიშებლად, ჩვენ უნდა გავიხსენოთ გეომეტრიიდან პითაგორის თეორემა, რომელიც გვეუბნება, რომ ყოველ სწორკუთხიან სამკუთხედში ჰიპოტენუზის კვადრატი კათეტთა კვადრატების ჯამს უდრისო და მისი საშუალებით საძიებელი AC კათეტი, არითმეტიკულად x-mm-ით ასახული, წინა პარაგრაფში მოყვანილს პირველ შეთანასწორებაში მოვაქციოთ:

$$a^2=x^2+c^2 \quad . \quad . \quad . \quad . \quad . \quad I$$

ამის მიხედვით, თუ გავიხსენებთ, რომ AB და BC შესაბამად 24 mm და 40 mm უდრის, მაშინ ჩვენთვის გასაგები იქნება ზემოდ მოყვანილი შეთანასწორების შემდეგი სახეც:

$$40^2=x^2+24^2,$$

რომლის გადაწყვეტა x-ისთვის გარკვეულს არითმეტიკულ მნიშვნელობას მოგვცემს.

და მართლაც, თუ

$40^2=x^2+24^2$, მაშინ აქედან

$x^2=40^2-24^2$

$x^2=1600-576$

$x^2=1024$

$x=\sqrt{1024}$

$x=32$, ე. ი.

AC=32 mm.,

რაც ჩვენ მიერ აღებულს ABC სამკუთხედზე უშუალოდ ზომითი შემოწმებითაც მართლდება!

ასე და ამგვარად სწორკუთხიანი სამკუთხედის **ერთერთი გვერდის** და მისი **ერთერთი მახვილი კუთხის სინუსის*) მოცემით** ჩვენ მოვახერხეთ ყველა დანარჩენი ელემენტების: **ორი გვერდის და ერთი კუთხის, გამოანგარიშებით პოვნა.**

ეს კი სწორედ ის არის, რასაც **მათემატიკა გამოანგარიშების საშუალებით სწორკუთხიანი სამკუთხედის გადაწყვეტას უწოდებს.**

მეცნიერების ის დარგი, რომელიც ამგვარი გადაწყვეტისათვის საჭირო საშუალებასა და ხერხსაც იძლევა **ტრიგონომეტრიადაა** ცნობილი.

ეს უცხო სიტყვა ბერძნულია—შემდეგი ორი მცნების შემცველი:

τρίγωνον—ტრიგონონ—სამკუთხედი და

μετρέω—მეტრეო—ვზომავ.

აქ ხაზგასასმელია, რომ ყოველი ბრტყელი პირშეკრული მრავალკუთხედი დიაგონალების საშუალებით სამკუთხედებად შეიძლება დანაწილდეს, ამგვარად მიღებული სამკუთხედები კი სიმაღლით ორ სწორკუთხიან სამკუთხედად დაიშლება.

აქედან ცხადია, თუ როგორ მიუდგება ტრიგონომეტრია ყოველგვარ ბრტყელ მრავალკუთხედს: დაიწყებს სწორკუთხიანი სამკუთხედით და დაასრულებს მრავალკუთხედით.

*) სინუსის მაგივრად, რასაკვირველია, შეიძლებოდა 37°-ანი კუთხის მოცემა—ეს ხომ იგივე იქნებოდა, რადგანაც ჩვენ მაშინ სათანადო მიდგომით სინუსსაც ადვილად ვიპოვიდით და ამგვარად ფორმულების მიხედვით სამკუთხედის დანარჩენ ელემენტებსაც გამოვიანგარიშებდით!

გეომეტრიაც სწყვეტს სამკუთხედის საკითხს, მაგრამ თითქმის*) მხოლოდ აგების წესით, რაც მოითხოვს ხაზოვანი ელემენტების მასშტაბით გაზომვას, კუთხეებისას კი ტრანსპორტირით.

აქედან ცხადია, ანაგების სისწორე დამოკიდებულია ამ სახაზავი იარაღების ვარგის-უვარგისობისაგანაც და აგრეთვე თვით მხაზველის ორგანოების სისაღისაგანაც, რაც ყოველ საქმიანობას საეჭვოდ ქმნის, მით უფრო, რომ გეომეტრია დაახლოებითაც ვერ ახერხებს დაშვებულ შეცდომის გამოანგარიშებას, ეს მაშინ, როდესაც **ტრიგონომეტრია სულ ადვილად ამყარებს გარკვეულ დამოკიდებულებას სამკუთხედის კუთხეთა და ხაზოვან ელემენტთა შორის და მხოლოდ შემდეგ სამ შეთანასწორებათა მარტივ სისტემის მიხედვით და გამოანგარიშების წესით მისს სრულ გადაწყვეტას აწარმოებს.**

სწორკუთხიანი სამკუთხედის სისწორით გადაწყვეტას კი მეცნიერებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მრავალი საკითხი მექანიკისა, ფიზიკისა, ასტრონომიისა, გეოდეზიისა და სხვა მეცნიერული დარგებისა ხშირად სწყდება მხოლოდ და მხოლოდ სამკუთხედთან დაკავშირებით!

ან. ღვინიაშვილი.

საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა.

(1883—1924 წლამდე)

საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვის ცდა მოხდა: **პირველ** ქართულ ექვსკვირიან საბიბლიოთეკო კურსებზე. აქ მსმენელებს დღიდან საბ. ლიტერატურის ჩანასახისა გადაეშალათ მისი რაობა.

დღეს იგი იბეჭდება ოდნავი შევსებით იმ მოსაზრებით, რომ მგონი დროა საბავშო ლიტერატურის 40—43 წლის არსებობა აღინიშნოს.

ვინც ჟურ: „საქართველოს განათლების მუშაკ"-ს თვალყურს ადევნებს, 1925 წ. № 1-ში წაიკითხავდა ჩვენს წერილს: „საბავშო ლიტერატურის ამოცანებ"-ს, რომელიც ხსენებულ ლექციების შესავალს წარმოადგენს. ჩვენ მას აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ დაუმატებთ, რომ უდავოა ლიტერატურა საბავშო იქნება თუ სადიდო თანამედროვე ცხოვრებას მისდევს, თანამედროვე სულისკვეთების აღმსახველია, თანამედროვე აზროვნების გამომსახველია, მისი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელია.

თუ საბ. ლიტერატურასაც ამ მხრივ მიუდგებით, დავინახავთ, რომ ე. წ. ძველი საბავშო ლიტერატურა სრული გამომხატველი დამაკმაყოფილებელი იყო მაშინდელი როგორც ოჯახის, ისე პედაგოგიკის თვალთახედვისა ბავშის სულიერ საზრდოდ.

საბავშო ლიტერატურა მეტად სათუთი და ნაზი დარგია ხელოვნებისა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ აღმზრდელობაში და საზოგადოდ ერის კულტურისათვის. საბ. ლიტერატურაა ადამიანის ნორჩ და სიმწიფის ხანაში აღმზრდელი, რომლის წყალობითაც მომავალი პიროვნების ნამდვილი მოქალაქეობა, სწორი ნიადაგი და საკუთარი მსოფლმხედველობა უნდა გამოიჩინოს.

დღეს ბევრი საბავშო წიგნები გაჩნდა ბაზარზე. გამოცემა ლამაზი, შესაფერისად დასურათებული, სოც. აღმზრ. მთავარმმართ. სალიტერატურო-სამხატვრო სექციაც დიდ ყურადღებას აქცევს და მის სიმრავლეს ხელს უწყობს, მაგრამ ამავე დროს მაინც ვერ დაინტერესდა ჩვენი საზოგადოება ფართედ საბ. ლიტერატურით, მისი სვე-ბედით. სრულიადაც არ კმარა მარტო გამოცემა. საჭიროა წიგნები ბავშებში იყოს, მან ნახოს, წაიკითხოს, შეიძინოს. ამ მხრივ არავითარი ხელის შეწყობა არა აქვს არც მასწავლებლობისაგან (რომელიც ყველაზე მეტად უნდა იყოს იმ ლიტერატურით დაინტერებული), არც მშობლებისაგან (რომელთაც თავიანთი ბავშის გონებითი წინსვლა უნდა აინტერესებდეთ) და არც თვით მოზარდი თაობისაგან, რომელსაც გარედ გასვლა უნდა უხაროდეს იმიტომ, რომ თავისი საზრდო—წიგნი, ახალი და შესაფერისი იყიდოს, წაიკითხოს და იმსჯელოს. ასეთი რამ დღეს საპატიებელი არ არის, რადგანაც დღეს ბავში ყურადღების მთავარი ცენტრია, მას გამოზრდა უნდა ახალი ნერვებით, ახალი ტვინით, ახალი ფიზიკური სიჯანსაღით, ახალი მისწრაფებებით.

ამისათვის კი საჭიროა ამ მთავარი ცენტრის გონებითი საზრდოს გასინჯვა, პარალელები ძველი საბავშო ლიტერატურისა დღევანდელ ლიტერატურასთან. მაშინ ნათელი იქნება ყოველივე განსხვავება, რაც კი იქნება მათ შორის და იგი ე. ი. ძველი თუ ჩასაბარებელია, ჩაბარდეს ისტორიას და თუ მით ვისარგებლებთ, გამოვიყენოთ მისი მასალა ახალი იერით, ახალი ენით, ახალი სურათებით.

I

ჩვენი საბავშო ლიტერატურის ისტორია მხოლოდ მას შემდეგ იწყება, რაც საყმაწვილო ჟურნალების გამოცემა დაიწყო. თუმცა ასეთი ჟურნალები მრავალრიცხოვანი არ იყო, მაგრამ მათ დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საბავშო ლიტერატურის განვითარებაში, ჩვენი ბავშებისა და საზოგადოების წინაშე.

ამ ისტორიის თარიღი 1884 წლით აღინიშნება. მაგრამ ამ თარიღამდე ბავშთა სამეფო სრულიად არ იყო მიტოვებული და მაშინდელმა ბეჭდის მესვეურებმა გამოსცეს საბავშო წიგნები. მაგრამ ეს გამოცემანი მეტად მცირე იყო, როგორც რაოდენობის მხრივ, ისე შინაარსის მხრივაც, ბავშისათვის ხშირად შეუფერებელი. საკმარისია სანიმუშოდ მოვიხსენიოთ ზოგიერთები.

1880 წლამდე ბავშთათვის გვხვდება უფრო ანბანი, შედგენილი პედაგოგებისა და სხვათა მიერ. სჩანს აგრეთვე ნათარგმნი მოთხრობანიც. ავიღოთ თუნდაც ასეთი წიგნი: „ანბანი და სასარგებლო წურთვნანი ყმაწვილთათვის" თარგმანი ოუსულიდან. სათაური ამ წიგნს აქვს მსხვილი შრიფტით. ამას მოსდევს კორპუსით: „მოვედით შვილნო, ისმინეთ ჩემი; შიში უფლისა გასწ... (ფსალ. XXX, 12) ეს წიგნი გამოცემულია 1...

მისი შინაარსი შეეხება მაცხოვრის ... ცხადია, თუ ასეთი წიგნები მრავლად იყო, ... ტურულს როლს ითამაშებდა! გარდა იმისა ... ფალათი" დააშინებდა, თუ პატარა თაგის უფ... ჯავრებდა. ნათარგმნია თუ არა ეცდები იაკ. გ... ლის მიერ.

*) ვამბობთ თითქმის, რადგანაც გეომეტრიას არ აქვს საშუალება სამკუთხედის კუთხეები და გვერდები ერთმანეთის უშუალოდ დაუკავშიროს შეთანასწორების სახით.

1880 წ. გამოცემულია ქართველ ქალების მიერ ნათარგმნი „**მოთხრობანი**". აქ მოყვანილია:

1. სოფელი ტრეპპი პოლ გეიზესი.
2. ანტუან მატიე—მისივე (ღარიბების ცხოვრებიდან).
3. მკერვალი ქალი—ვაგნერისა.

ეს წიგნი უფრო ყრმათათვის არის გამოსადეგი, ვიდრე პატარებისათვის. მაგრამ თვით მათთვისაც მასალის მხრივ ყოვლად უმნიშვნელო და უხალისო წასაკითხია (გარდა მკერვალი ქალი—სა). შინაარსის შეუთვისებლობასთან ერთად, ამ წიგნში მკითხველი იმდენს უცხო ქვეყნების და საკუთარ სახელებს შეხვდება (გამოსათქმელად ძნელს), რომ მას ბავში გულს ვერასოდეს დაუდებს და ვერც გარკვევით ამოკითხვას და გამოთქმას შესძლებს.

ამავე წელს გაზ. „ივერია"-დან ცალკე ამოიბეჭდა აკაკის: „ალექსი", გალექსილი ზღაპარი ყმაწვილთათვის. ეს ნაწერი ახლაც ბევრს გაახსენდება თავისი მეტად ადვილი შესათვისებლობით და ლამაზი ლექსთაწყობით.

1881 წ. გამოიცა: „გაზაფხული"—ყრმათათვის საკითხავი წიგნი. აქ შედის რ. ერისთავის: ბზობა და აღდგომა და ორი სხვა მოთხრობა.

1883 წ. კი ზ. ჰიჭინაძე ცდილა ბავშებისათვის გამოეშვა წიგნი, ე. წ. „საყმაწვილო ბაღი". აქ მოთავსებულია ერთი პიესა, მეტად მშვენიერი, რუსულიდან გადმოკეთებული, სათაურით: „აღდგომის შაბათს" (სურათი ბავშების ცხოვრებიდან). შინაარსი მეტად მარტივია. მთავარი მომქმედნი პირნი არიან—და-ძმა; ერთაეად ჩხუბობენ იმაზე, თუ ვინ მეტ სათამაშოებს ამტვრევს და თვითეული მათგანი სცდილობს თავის გამართლებას სხვადასხვა საბუთებით, როგორც მაგ; პატარა თამრიკო: ქალები სათამაშოებს არ ამტვრევენო. აქვე შეხვდებით სხვა ნათარგმნს მოთხრობებსაც და, სხვათა შორის, ნიკ. ლომაურის ზოგიერთ საბავშო ლექსებს. (მის მთლიან შემოქმედებაზე ქვევით). მთელი წიგნი მასალების მხრივ ზოგად ხალისს წარმოადგენს ბავშებისათვის.

მოყვანილი წიგნებიც სრულიად საკმარისია, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა იმ შინაარსსა და გემოვნებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ ჩვენ მიერ მიჩნეულ თარიღამდე, თუმცა ამ თარიღის შემდეგაც არ შეწყვეტილა, ცოტა არ იყოს, შეუფერებელ წიგნების ბეჭდვა.

მაშინ, როცა საბავშო ჟურნალებს რამოდენიმე წლის ისტორია მაინც ჰქონდა, 1897 წ. გამოვიდა წიგნი: „ბავშების მოკეთე" ანუ ანბანი, შედგენილი ალექს. ნათაძის მიერ. 33 გვ. ამ წიგნისა უჭირავს ანბანს, დიდი შრიფტით, მერე კი დაყოფილია დარგებად, კითხვა-პასუხით. ასეთებია.

1. სასწავლო ნივთები და სათამაშოები.
2. ხის ავეჯი და ჭურჭელი.
3. საჭმელი და სასმელი.
4. ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საცვალი.
5. იარაღი და შენობა.
6. შინაური და გარეული ცხოველები.
7. ოთხფეხი ცხოველები და ფრინველები.
8. ბალახის და ხორცის მჭამელი ცხოველები.
9. შინაური, მტაცებელი და მგალობელი ფრინველები.
10. თევზები, ქვეწარმავლები და მწერები.
11. ბალახები, სოკოები და ყვავილები.
12. ჭირნახული და ბოსტნეული.
13. ხეხილი, ხეები და ჩირგვები.
14. ნებაქვირფასი და უბრალო ლითონები, ქვები და [illegible].
15. ადამიანი, ცხოველები, მცენარენი და მიწალები.
16. დღე-ღამის ნაწილები, კვირის დღეები და წელიწადის დრონი.
17. თვეები გაზაფხულისა, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრისა.
18. ზომები სიგრძისა, სიმძიმის და დროსი.
19. ნაწილები სახლისა, მცენარისა და ცხოველისა.
20. ნაწილები კაცის სხეულისა.
21. ნათესაობა და თავისტომობა.
22. ადამიანები წლოვანობით და საქმიანობით.
23. ქალაქები და მდინარეები.
24. ხუთი გრძნობანი.
25. დღესასწაულები.
26. ხმები და მოძრაობა ცხოველებისა.

თვითეული მოთხრობის ბოლოში მოყვანილია რომელისამე ლოცვის სიტყვები, მაგ: ლექსს „ჯეჯილი-"ს ბოლოში უწერია: „პური ჩვენი არსობისა" და სხვა.

გარდა ამისა, შევხვდებით ზოგიერთ სურათებს, მეტადრე მაცხოვრის ცხოვრებიდან, მაგ. ბავშებს როგორ ესაუბრება იგი; აგრეთვე როცა პირჯვარს გადასახავს ქვეშ უწერია: „მშვიდობა ყოველთა".

ცხადია, ეს წიგნები ახლა საარქივოთაც არ გამოდგება და ჩვენთვის ხომ არავითარი ღირებულება და მნიშვნელობა აღარა აქვს. მაგრამ თავის დროზე, ალბად, საგრძნობ როლს თამაშობდა ასეთი საბავშო საკითხები და სახელმძღვანელოები, როგორც სკოლასა, ისე ოჯახებში, მაგრამ ამის გათვალისწინება უკეთ მაშინ შეიძლება, როცა ამ დროის პედაგოგიურ შეხედულებებს გავეცნობით, ამაზედ კი ცოტა ქვევით გვექნება ლაპარაკი.

ამის შემდეგ მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს თარიღს,—1884 წელს.

ეს წელი შეიძლება მეტად ნაგვიანებად მივაჩნიოდ, ე. ი. აქამდე უნდა არსებულიყო ჩვენში საბავშო წიგნები, პერიოდული გამოცემანი, მართლაც ღირსებულნი, რადგან სხვა ერებში ამ დროს საყმაწვილო ლიტერატურა განვითარებულიც იყო და საკმაო წლეების ისტორიაცა ჰქონდა.

საბავშო ლიტერატურის პერიოდული ჟურნალის საძირკველის ჩაყრა მოხდა ანდრია ღულაძის მეთაურობით, რომელმაც ყრმათა საკითხავად მიართვა: „**ნობათი**". მისი ფაქტიური არსებობა 1884 წლის 1 იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ვინაიდან რედაქციას განზრახვა ჰქონდა ჟურნალი დასურათებული ყოფილიყო ღირს შესანიშნავად, ამიტომ სურათები გადაიგზავნა პეტროგრადში დასამზადებლად. სურათები დაგვიანდა, ბეჭდვაც ფერხდებოდა და ამიტომ 1884 წლის ბოლო თვეში გამოვიდა, ე. წ. სანიმუშო 64 გვერდიანი ნომერი. სათაური ამ სანიმუშო ნომრისა:—**ნობათი** ვარდის ფოთლების სახითაა გამოყვანილი, ყურძნის მტევნებ ჩამოკიდებული მარცხენა მხრით. დაბლა დახატულია თოვლიანი პატარა გორაკები კოშკით. ეს ყდა და ასო მთავრულები, რომლითაც თვითეულ მოთხრობა—ლექსის პირველი ასო იწყება ამოჭრილია გ. ტატიშვილის*) მიერ. ამ სათაურს მისდევს: ყრმათა საკითხავი ყოველთვიური ჟურნალი, **პედაგოგიურის დამატებით** მშრომელთა და აღმზრდელთათვის,—ე. ი. მათის ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო ამ ჟურნალის კითხვაც, და ბავშების მოვლა-აღზრდაც. სწორედ ამ სანიმუშო ნომერშივეა მოცემული, ასე ვსთქვათ, პროგრამმა და მიზანი, რისთვისაც უნდა ემსახურნა ჟურნალს.

მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ოჯახისადმი „შთამომავალთა სასიკეთოდ".—როგორც აცხადებს რედაქტორი ღულაძე.

*) ეს ძველი შესანიშნავი ილიუსტრატორი იყო და თითქმის წიგნი არ გამოდიოდა ისეთი, რომ შიგ მისი მაღლიანი ხელი არ აღნიშნულიყოს. ამის შესახებ იხ. ჟურ: „მნათობი" № 1.

ა. ლ.

ასე რომ „ნობათი“ სასარგებლო და საყვარელი საკითხავი უნდა გამხდარიყო ამ მხრივ იმ ოჯახებში, სადაც ,,თავის მამულის საკელდღეოდ დედაბოძად ზნეობრივი და ბუნებითი აღზრდა ექნებოდათ“.

საინტერესოა, როგორც პირველი ცდა, როგორი იყო „ნობათი“-ს მასალა და როგორ შეხვდა უჩვევი ქართველი საზოგადოება ჟურნალს, რომლის აუცილებლობა ერთმა ჯგუფმა მაინც ძლივს შეიგნო.

უნდა აღინიშნოს, რომ დებიუტი გამძლე გამოდგა.

პირველ სანიმუშო ნომერში სწორედ ის მოთხრობები და ლექსებია მოთავსებული, რომელთა შორის ზოგიერთები დღესაც უცვლელად შერჩნენ საბავშო ლიტერატურას და არა ერთხელ დაუსწავლია და დაუზეპირებია მოწაფეობის დროს მკითხველს.

მაგ: 1. მიპატიჟება სასწავლებელში, რ. ერისთავისა. „წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზედ“ და სხვა. ამ ლექსიდან განვითარდა დღეს ზოგიერთი ლექსები, რომლის ნიმუშებსაც თავის ადგილზე მოვიყვანთ. მოთხრობიდან: 1 კაკანათი—რევიშვილისა. თავისი ძლიერი დასურათებით ონავარი ,,ჩიტებზე მონადირე“ ცელქების განცდანი ამ ნადირობის დროს. და სხ.

დანარჩენი მასალა შესდგება:

1. ლომ-კაცი—გ. წერეთლისა, რომელიც გრძელდება 4—5 ნომერში. ეს ბუმბერაზული ზღაპარი, სადაც აღსახულია მეფე ბაქარის სამეფო, მრავალი ინგილ გველებით და დევებით ავსილი. ეს ზღაპარი სახელმწიფოებრივ მმართველობის ბევრ საკითხებს ეხება, რომელნიც ოდნავი ფანტაზიით დაფუძნებულია ისტორიულ მასალებზე.

2. პაატა თემურიშვილი (ეს გახლავთ გმირი ერეკლე მეორისა) ნახევარი გალექსილია 16 მარცვლოვანით, ნახევარი კი პროზით.

3. მარინე—ხალხური ლეგენდა ცახელისა.

4. გეოგრაფიული წერილები კახეთის შესახებ კერძო მიწერილ წერილის სახით; მართლაც მიმხიდველი ენით აღწერილია კახეთის ბუნება და ისე ზედმიწევნით, რომ ვისაც არ უნახავს ნათლად შეუძლიან წარმოიდგინოს.

5. ბუნების მეცნიერება, ზოოლოგია, გამოცანები, რებუსები და სიმღერა ნოტებით:

„მაისის ვარდმან ფურჩქვნილმან“ და სხვა.

აი მთელი შინაარსი ამ სანიმუშო ნომრისა.

ბოლოში მოთავსებულია განცხადება, სადაც აღნიშნულია ის მასალები, რაც მოთავსდება. დიდი რეკლამა აქვს უფრო „დამატება“-ს მშობელთა და აღმზრდელთათვის, რომ მოთავსებული იქნება პედაგოგიური სტატიები შესახებ ყმაწვილის აღზრდისა და სწავლისა და სხვა.

აგრეთვე რედაქცია აუწყებს, რომ დამოუკიდებელი მონაწილეობა აღუთქვეს „აკაკიმ, რ. ერისთავმა, გ. წერეთელმა, ნ. დადიანმა, ი. ბაქრაძემ, ექ. გაბაშვილისამ, ა. მოჩხუბარიძემ“ (ყაზბეგი)

დაწვრილებით რომ გაირჩეს ზემოაღნიშნული მასალა, დავინახავთ, რომ ამ სანიმუშო ნომერში ვერ სჭარბობს ბავშისათვის გასართობი და სასიამოვნო მხატვრული მასალა, გარდა ოდისეადესი, არამედ არის უფრო მეტი დიდაქტიობა, მოწოდება სწავლისა და შრომისადმი, რაც ყოველს ადამიანს, წლოვანებისდა მიუხედავად ესაჭიროება. და თუ ჟურნალი ამ ცდას სასარგებლოდ ჩაატარებდა, ცხადია, თავის მიზანსაც განხორციელებულად ჩასთვლიდა.

შრიფტი ამ ნომრისა სამნაირია.

იანვრისათვის კი უკვე სამუდამო დასამკვიდრებლად „ნობათს“ შეეცვალა ყდაც და შინაარსიც.

(გაგრძელება იქნება)

ᲞᲠᲝᲤ. Გ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

ქართული ენის შემსწავლელი წრე განათლების მუშაკთა სახლთან *)

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღეს ქართულ სკოლაში ქართული **ენა** არ ისწავლება. ისწავლება ქართული ლიტერატურა, მაგრამ **ენა**—არა; ამით უთუოდ ფერხდება თვით ლიტერატურის სწავლების სათანადო დონეზე დაყენებაც, რადგან ქართული ენის ცოდნა გამოსავალი წერტილია ქართული ლიტერატურის შესწავლისათვის... ამის მიზეზია უმთავრესად თვით ქართული ენის მასწავლებელთა სათანადო მეცნიერული მოუმზადებლობა. უნივერსიტეტის სიტყვიერების დარგმა ჯერ-ჯერობით ვერ გამოუშვა ქართული ენის მასწავლებელთა საკმარისი რიცხვი. მაშასადამე, უნდა მოინახოს რაიმე გამოსავალი; წინაალმდეგ შემთხვევაში ქართული სკოლა განსაცდელშია. ეს განსაცდელი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პირველი შეხედვითა სჩანს. საქმე ის არის, რომ სკოლის გაეროვნებამ სალიტერატურო ქართულის ნორმები შეარყია. ვისაც ეს პარადოქსად მოეჩვენება, ვსთხოვ მას მოიგონოს, თუ ქართული ენის როგორ მცოდნეთა ხელშია ყველა ის საგნები, სადაც სკოლაში რომ **ქართულად** ისწავლება. ყოველი საგნის მასწავლებელი ამასთანავე ქართულის მასწავლებელიცაა. ქართულ ენას ოთხი-ხუთი საათი აქვს კვირაში, ხოლო დანარჩენი საათები (26 და მეტიც) იმ საგნებს, ქართულად რომ ისწავლება. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ჩვენ გვრწამს, რომ ასეთი მდგომარეობა დროებითია; ახლო მომავალში ეს გამოსწორდება; სალიტერ. ქართულის ნორმების შეყვეა—ეს მისი წრთობის ხანაა და სხვა...

მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმას, რომ ახალგაზრდობა, რომელიც დღეს სკოლაში სწავლობს, ამ გარდამავალი ხანის მსხვერპლი ხდება. ამიტომ ყოველ მასწავლებელს, განსაკუთრებით ქართულ ენისას, მართებს შეავსოს ქართული ენის ცოდნა.

ამას გარდა, ქართულის მასწავლებელთ მოვახსენებ შემდეგს: ენის ფაქტები საუკეთესო მასალაა ახალგაზრდობის დაკვირვების უნარის განსავითარებლად. საშუალო სკოლის ვერც ერთი საგანი ვერ შეედრება ამ მხრივ ენის ფაქტებს, განსაკუთრებით დაბალ საფეხურებზე. ეს იმიტომ, რომ ენის ცოდნა მზა-მზარეული მოიტანება სკოლაში; საჭიროა მხოლოდ შეაგნებინოთ ბავშვს, რომ საუნჯე აქვს მას, ე. ი. მისი შეუგნებელი ცოდნა, და დაარწმუნოთ მას შეგნების სფეროში. როგორც პრაქტიკა დამარწმუნა ამ შემთხვევაში ბავში პატარა მკვლევარია გვევლინება.

*) ეს წრე მუშაობს პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

რ ე დ.

მაგრამ ამისათვის საჭიროა თვით მასწავლებელმა იცოდეს ქართ. ენის შესახებ იმდენი, რამდენსაც მას მოწაფე მოსთხოვს.

აი ეს საჭიროებანი ჰქონდა მხედველობაში განათლების მუშაკთა სახლს, როდესაც ეს სახლი, მეცნ. მუშაკთა სექციის ინიციატივით, აარსებდა ,,ქართული ენის წრეს''. ყოველ სამშაბათს აქ იკითხება მოხსენებები სპეციალისტთა მიერ ქართ. ენის შესწავლისა და სწავლების საჭირბოროტო საკითხების შესახებ. მოხსენებების შემდეგ იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამგვარად მასწავლებელს (არა ქართული ენისასაც) საშუალება ეძლევა შეივსოს ცოდნა და სათანადოდ გამოიყენოს იგი სკოლაში. წრემ განიზრახა ბეჭდოს ,,საქ. განმ. მუშაკში'' აქ წაკითხული მოხსენებების დასკვნები. წაკითხულია ჯერჯერობით ქართული ენის ბგერითი შემადგენლობა (ფონეტიკა) და რამდენიმე საკითხი მორფოლოგიიდან. აქ იბეჭდება ახალგაზრდა მკვლევარის არნ. ჩიქობავას ერთერთი მოხსენების შინაარსი.

არნ. ჩიქობავა.

უღვლილების ერთი თავისებურება ქართულ ზმნაში:

პირის აღნიშვნა.

ზმნა ისეთი სიტყვაა, რომელსაც პირის ფორმა გააჩნია: მაგალ.: **ვარ, ხარ, არის; ვდგავარ, სდგახარ, დგას; ვიწვი, იწვი, იწვის... ვჰკლავ, ჰკლავ. ჰკლავს: ვსთხოვ. სთხოვ, სთხოვს.** ზმნას სხვა რამეც მოეპოება: 1. **დრო**: ვსთხოვ; ვსთხოვდი; ვსთხოვე... 2. **კილო** ვსთხოვ; ვსთხოვდე; ვსთხოვო; სთხოვე!. 3. **გვარი**: იგი სთხოვს მას: იგი ეთხოვების მას... 4. **რიცხვი**: იგი სთხოვს —იგინი (ისინი) სთხოვენ... (ზოგიერთ ენაში სქესიც: он просил, она просила, оно просило)... მაგრამ უმთავრესი მაინც არის პირი: ის არის **აუცილებელი და საკმაო ნიშანი** ზმნის გამოსაცნობად, მის გამოსაყოფად მეტყველების სხვა ნაწილებისაგან (სახელისათვის ასეთივე მიუცილებელი და იმავე დროს საკმაო ნიშანი არის **ბრუნება**, პრუნვის ფორმა: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის... და წითელ-ი, წითელ-მა, წითელ-ს.. და სხვა).

მაშ ასე: თუ სიტყვას პირი მოეპოება,—ის ზმნაა: რამდენია პირი?—სამი: პირველი, მეორე და მესამე. პირველია: მე, ჩვენ: ის პირი, რომელიც მოლაპარაკედ გვევლინება: მე ვსთხოვ, მე ვარ... მეორე პირია: შენ, თქვენ, ის პირი, რომელსაც მიმართავენ, ელაპარაკებიან: შენ სთხოვ, შენ ხარ... მესამე პირია: ის (იგი), ისინი (იგინი): ის პირი, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ: ის სთხოვს, ის არის...

როგორ იწარმოება ქართულში პირის ფორმები? რა საშუალებით შეგვიძლია შევიტყოთ, რომელი პირისაა ესა თუ ის ფორმა?

ავიღოთ ზმნა: **ვ-არ; ხ-არ; არ-ი-ს,**[1]) სამსავე შემთხვევაში უცვლელად რჩება **-არ-**: წარმოდგენა ,,ყოფნის'' უკავშირდება ამ **არ**-ს: იგი არ აგვერევა „თხოვ'' „წერ'', ,,კითხ'' და სხვ. მაგგვარებში, რადგანაც ამ უკანასკნელებთან სხვა წარმოდგენებია დაკავშირებული (,,თხოვნის'' ,,წერის'' ,,კითხვის'' წარმოდგენა), ქართულს მეტყველებაში ესენი ცნობიერების სხვა შინაარსის ,,წარმომადგენლები'' (სიმბოლოები, ნიშნები) არიან. ვუწოდოთ მათ (,,-არ'', ,,თხოვ'' ,,წერ''-,,კითხ''—) ზმნის ნივთიერი ნაწილი.

რომ ავიღოთ ზმნის ეს ნაწილი (,,არ'', ,,თხოვ'' „წერ'', „კითხ'') ჩვენ ვერ გავარკვევთ ვინ არის **ის**, რომელიც ,,არსებობს'', ,,თხოულობს'', ,,წერას'' თუ „კითხვას'' რომ ,,ყოფნა: არის ეს პირველი პირი (**მე**), მეორე (**შენ**) ,,ორე (**იგი, ის**): ,,არ'' „თხოვ'' ,,წერ'', ,,კითხ'' ამის ,,ებას არ იძლევა.

მაგრამ საკმარისია ვთქვათ: ,,**ვარ**'' და ჩვენთვის ნათელი ხდება, ვის ეხება საქმე: არ შეიძლება ქართულად ითქვას: ,,ვარ შენ'', ,,ვარ ის'', არამედ: **ვარ მე**: ასევე: არ შეიძლება, ვსთქვათ: ხარ მე, ხარ ის: არამედ **ხარ შენ**... ,,არის მე'', ,,არის შენ'', არამედ: **არის იგი**. უფორმო იყო -,,არ''-, მას დაემატა: **ვ, ხ, ს,** და გახდა ფორმიანი: მივიღეთ სამი პირის ფორმა: **ვ-არ, ხ-არ, არ-ი-ს**, ამნაირად: **ვ, ხ, ს** ისეთი რამ არის, რითაც უფორმო ნივთიერი ნაწილი ფორმიანი ხდება: მათ ეწოდება ფორმალი ნაწილი, ფორმანტი (=ფორმის მიმცემი) მთელი სიტყვა ,,ვარ'' ,,ხარ'' ,,არის'' იყოფა ნივთიერ ნაწილად და ფორმანტად; პირველს ეწოდება ფუძე, მეორეთ აფიქსები.

ჩვენს ზმნაში შემდეგი აფიქსებია: **ვ, ხ, ს, (ვ-არ, ხ-არ, არ-ი-ს,)**. ამათგან **ვ** და **ხ** ფუძეს თავში (წინ) ემატება, **ს** კი ბოლოში. აფიქსი, რომელიც **თავში** ემატება (**ვ,ხ**) იწოდება **პრეფიქსად**, აფიქსი, რომელიც ბოლოში ემატება, იწოდება **სუფიქსად**.[1])

აქედან ჩანს, რომ ჩვენს აფიქსებში **ვ** და **ხ**—**პრეფიქსია**, **ს** კი **სუფიქსი**. რაზე მიგვითითებს **ვ** პრეფიქსი?—იმაზე, რომ ზმნა (ვ-არ) პირველ პირის ფორმაა. მოქმედების წყარო **არის** პირველი პირის ნაცვალსახელი,—**მე**. ვუწოდოთ **ამ მე**-ს **პირობითად** ქვემდებარე (ლათინურად: სუბჯექტი); მაშასადამე: **ვ** პრეფიქსი მიგვითითებს, რომ ქვემდებარედ (სუბჯექტად) არის პირველი პირი ანუ მოკლედ რომ ვთქვათ: **ვ არის პრეფიქსი, სუბჯექტური, პირველ პირის.**. **ხ**—პრეფიქსი (**ხ**-არში) აღნიშნავს, რომ ამ ზმნის ქვემდებარე (სუბჯექტი) არის მეორე პირი (შენ), ანუ: **ხ არის პრეფიქსი. სუბჯექტური, მეორე პირისა. ს**: სუფიქსი (არ-ი-ს) აღნიშნავს, რომ ამ ზმნის ქვემდებარე (სუბჯექტი) არის-მესამე პირი (ის, იგი), ანუ: **ს არის სუფიქსი, სუბჯექტური, მესამე პირისა.**

მე **ვ**-არ	**ვ**==პრეფიქსი სუბჯექტური 1-ლი პირისა
შენ **ხ**-არ	**ხ**==პრეფიქსი სუბჯექტური 2-რე პირისა
ის არ-ი-**ს**	**ს**==სუფიქსი სუბჯექტური 3-მე პირისა.

1 კლასიკურ ქართულშიც: არ-ს; არ-ი-ს მესამე პირია: არი, ვარი საგან.

[1]) შეიძლება აფიქსი შიგნით ჩაერთოს (მან დაწერ-ნ-ა იგინი): ასეთ აფიქსს ეწოდება ინფიქსი.

ავიღოთ ეგევე ზმნა მრავლობითს რიცხვში:

ჩვენ **ვ**-არ-**თ**
თქვენ **ხ**-არ-**თ**
ისინი არ-ი-**ან**

პირველ და მეორე პირის მაჩვენებელი (სუბჲექტური პრეფიქსი) **ვ, ხ** აქაც არის; ოღონდ ბოლოში ემატება **თ** სუფიქსი: იგი გვიჩვენებს, რომ სუბჲექტი პირველისა და მეორე პირის (მე, შენ) აქ მრავლობითშია დასმული (ჩვენ,თქვენ): **თ სუფიქსი სუბჲექტის მრავლობითობას აღნიშნავს (თ-არის სუფიქსი, სუბჲექტური, მრავლობითისა).**

მესამე პირის სუფიქსია **ან:** იგი აღნიშნავს, როგორც იმას, რომ აქ სუბჲექტი მესამე პირია (**ის**), ისე იმასაც, რომ ეს სუბჲექტი მრავლობითშია (**ისინი**).

ავიღოთ სხვა ზმნები:

მე **ვ**-დგ-ა-(ვარ)[1] მე ვ-ბრწყინავ მე ვ-იწვ-ი
შენ **ხ**-დგ-ა-(ხარ) შენ ჰ-ბრწყინავ შენ იწვ-ი
ის დგ-ა-**ს** ის ბრწყინავ-**ს** ის იწვ-ი-**ს**

პირველ პირის სუბჲექტური პრეფიქსი ამ ზმნებშიაც არის **ვ**, მესამე პირის სუბჲექტური სუფიქსი აქაც **ს**—არის, მაგრამ მეორე პირის მაჩვენებლად **ხ** უკვე აღარ არის: ერთს შემთხვევაში **ს**-ა (ს-დგახარ), მეორეში—კი **ჰ** (ჰ-ბრწყინავ), მესამეში—არაფერი (შენ იწვი).

ამნაირად: პირველ პირის სუბჲექტური პრეფიქსი არის **ვ**, მესამე პირის სუბჲექტური **სუფიქსი** არის **ს** (ჩვეულებრივად), მეორე პირის სუბჲექტური პრეფიქსი კი ხან **სულ არ არის**, ხან **ჰ** არის, ხან **ს** და ზოგგან კი **ხ** (**ხ**-არ, მი-**ხ**-ვალ...). აღვნიშნოთ ეს მრავალსახიანი პრეფიქსი დროებით x (იქსით...).

გავუკეთოთ დასკვნა ზემოთქმულს:

1. ყველა ჩვენ მიერ მოყვანილ ზმნის ფორმაში აღნიშნულია მხოლოდ **ქვემდებარის** (სუბჲექტის) პირი: სხვა რისამე წარმომადგენელს ზმნაში ვერ ვპოებთ; ზმნის ასეთი ფორმა იწოდება სუბჲექტურ ანუ აბსოლუტურ ფორმად (ვარ, ვდგავარ, ვბრწყინავ, ვიწვი)[2].

2. სუბჲექტურ ანუ აბსოლუტურ ფორმის ზმნაში ქვემდებარის პირის (სუბჲექტის) აღნიშვნა ხდება როგორც პრეფიქსის, ისე სუფიქსის საშუალებით: უღლილება (პირის ფორმების წარმოება: conjugatio, спряжение) პრეფიქსალ-სუფიქსალია (შდრ. რუსულ და ევროპულ ენების ზმნათა უღლილებას: იგი მხოლოდ სუფიქსებით სწარმოებს, სუფიქსალია: иду, идешь, идет...)

3. უპირატესობა უღლილების დროს პრეფიქსებით წარმოებას აქვს: ორ პირში პრეფიქსებია მწარმოებელი და ერთში სუფიქსი.

4. სუბჲექტური **სუფიქსი** მესამე პირისა იცვლება **რიცხვისა** და **დრო-კილოს** მიხედვით: ბრწყინავ-**ს**: ბრწყინავ-**ენ**...ბრწყინავ-**ს**...ბრწყინავ-დ-ა... ბრწყინავ-დ-**ეს**...სუბჲექტური **პრეფიქსები რიცხვებისა** და **დრო-კილოების** მიხედვით არ იცვლებიან:

ვ-ბრწყინავ: ვბრწყინავთ ჰ-ბრწყინავ—ჰ-ბრწყინავ-თ
ვ-ბრწყინავ-დ-ი;ვბრწყინავ-დი-თ;ჰ-ბრწყინავდი: —ჰ-ბრწყინავ-დ-ით
ვ-ბრწყინავ-დ-ე; ვბრწყინავდ-ე-თ; ჰ-ბრწყინავ-დ-ე;ჰ-ბრწყინავ-დ-ეთ

პირველ პირის სუბჲექტური პრეფიქსი ყველა ზმნებში ერთნაირია: ვ-ბრწყინავ, ვ-დგავარ, ვ-არ, ვ-იწვი. ყველგან ვ'ა: მეორე პირის ბუბჲექტური პრეფიქსი კი ცვალებადია (იმისდა მიხედვით თუ რა უნდა მოჰყვეს ამ პრეფიქსს): **ხ, ჰ, ს,** 0 (ნული). ამიტომ აღვნიშნავთ მას ჯერჯერობით ერთიანობისთვის იქსით x.

5. ვინაიდან ზმნა ეწოდება ისეთ სიტყვას, რომელსაც პირის ფორმები აქვს (თავისთავად ცხადია, აქ უწინარეს ყოვლისა სუბჲექტის პირი იგულისხმება), ამიტომ ყოველ ზმნაში უსათუოდ უნდა იყოს მოცემული სუბჲექტის პირის მაჩვენებელი პრეფიქსები და სუფიქსები; ორი შემთხვევა, სადაც ისინი არ მოიპოვებიან, აღნიშნული იქნება ქვემოდ.

6. წინათქმულიდან გამომდინარეობს: თუ ვიცით რომელი პირია სუბჲექტად (მე, შენ, ის) შეგვიძლია ვთქვათ, რა პრეფიქსი თუ სუფიქსი გვექნება (ვ;ხ,ჰ,ს,—;ს...) პირიქით, თუ ზმნის ფორმა მოცემულია, პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით შეგვიძლია გავარკვიოთ რომელი პირია სუბჲექტის: თუ არის:

ვ პრეფ.—ზმნა პირველ პირისაა
ხ,ჰ,ს პრეფ.—მეორე პირისაა
ს სუფიქსი—მესამე პირისაა

ქართულ ზმნის თავისებურება (შედარებით ევროპულ ენებთან) **მარტო** იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სუბჲექტის პირს ხან პრეფიქსი აღნიშნავს, ხან სუფიქსი, არამედ იმაშიც, რომ სუბჲექტის გარდა ობჲექტიც (დამატებაც) აღინიშნება: ზმნაში დამატებასაც ჰყავს „წარმომადგენლები"... როგორ სახის არიან ეს წარმომადგენლები? ავიღოთ ზმნა: ჰკლავს; ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: იგი **ჰ-კლავ-ს** მას, იგი **გ-კლავ-ს** შენ; იგი **მ-კლავ-ს** მე... (შენ ჰ-კლავ მას, შენ მ-კლავ მე; მე ვ-ჰ-კლავ მას; მე გ-კლავ შენ...) მეტ სიცხადისათვის დავალაგოთ ეს ფორმები ასე: ავიღოთ სუბჲექტი მესამე პირის **იგი** და მას დამატებად დავუსვათ სამივე პირი: **იგი, მას; შენ; მე**... შემდეგ ავიღოთ ქვემდებარედ მეორე პირი—**შენ** პირველი პირი **მე** და დავუსვათ მათ დამატებანი სამივე პირისა.. მივიღებთ ასეთ სქემას:

ქვემდებარე,		დამატება	
I ჯგ.	იგი	ჰ-კლავ-ს— მას	ჰ=ობიექტ. პრეფ. მესამე პირისა ს=სუბჲექტ. პრეფ. მესამე პირისა;
		გ-კლავ-ს— შენ	გ=ობჲექტური პრეფ. მეორე პირისა
		მ-კლავ-ს— მე	მ=ობჲექტური პრეფ. პირველ პირისა.
II ჯგ.	შენ	ჰ-კლავ მას	**შენ** ქვემდებარემ და **შენ** დამატებამ შეუძლებელია ზმნის ფორმა აწარმოონ;
		[————— შენ]	ჰ-მ-კლავ: ჰ—სუბ. პრეფ. 2 პირ., (დაკარგულია) მ ობიექტ. პრეფ. 1 პირისა
		მ-კლავ მე	
III ჯგ.	მე	ვ-ჰ-კლავ მას	ვ სუბიექტ. პრეფიქსი პირველ პირის; ჰ—ობიექტ. პრეფ.
		გ-კლავ შენ	* ვ-გ-კლავ: ვ სუბიექტ. პრეფ. პირ. (დაკარგულია)
		[————— მე]	გ —ობიექტ. პრეფ. 2 პირ.

[1]) „ვარ" „ხარ" წინად აქ არ იყო (იყო: ვ დ გ ა, ს დ გ ა, დ გ ა ს), ამიტომ ამ „ვარ" „ხარ"-ს ამჟამად ყურადღებას ნუ მივაქცევთ.

[2]) რუსულში და სხვა ევროპულ ენებში ყველა ზმნათია: ზმნაში მხოლოდ ქვემდებარის პირია აღნიშნული.

პირველს ჯგუფში **ს** სუფიქსი ჩვენთვის ნაცნობია: იგი მიგვითითებს, რომ ქვემდებარედ **იგი**ა, მესამე პირის ნაცვალსახელი, ე. ი. **ს**—სუბიექტური პრეფიქსია მესამე პირისა.

რაც შეეხება **ჰ.გ.მ** პრეფიქსებს, ისინი არიან **მას, შენ. მე დამატებათა** წარმომადგენლები დ ცხადია, მიგვითითებენ: **ჰ**—რომ **დამატებად** არის მესამე პირი მიცემითს ბრუნვაში (**მას**), **გ**—რომ **დამატებად** არის მეორე პირი (**შენ**) და **მ** რომ **დამატებად** არის პირველი პირი **მე**.

მეორე ჯგუფში : **შენ** ქვემდებარის აღმნიშვნელი **ჰ** პრეფიქსი უნდა გვქონოდა, დამატება **მას**-ის აღმნიშვნელიც—„**ჰ**" : ორი **ჰ**ს ნაცვლად კი მხოლოდ ერთი გვაქვს : ორი ერთგვარი თანხმოვანი ერთად ვერ ძლებს: ასე რომ **ჰ** (შენ ჰკლავ მას'ში) აღნიშნავს, როგორც **შენ** ქვემდებარეს, ისე **მას** დამატებას.

„შენ მ-კლავ მე"-ში **მ** აღნიშნავს **მე** დამატებას: **შენ** ქვემდებარის აღნიშნველი **ჰ** კი დაკარგულა:

ავიღოთ სხვა ზმნები.

იგი
- ს-თხოვ-ს მას
- გ-თხოვ-ს შენ
- მ-თხოვ-ს მე

შენ
- ს-თხოვ მას [* ს-ს-თხოვ]
- . . . . . .
- მ-თხოვ მე [* ს-მ-თხოვ]

მე
- ვ-ს-თხოვ მას
- გ-თხოვ შენ [* ვ-გ-თხოვ]
- [. . .] . . . . .

იგი
- უ-ბრძანებ-ს მას [* ჰ-უ-ბრძანებს]
- გი-ბრძანებ-ს შენ
- მი-ბრძანებ-ს მე

შენ
- უ-ბრძანებ მას [* ჰ-ჰ-უ-ბრძანებ]
- . . . . . .
- მი-ბრძანებ მე [* ჰ-მი-ბრძანებ]

მე
- ვ-უბრძანებ მას [* ვ-ჰ-უ-ბრძანებ]
- გი-ბრძანებ შენ [* ვ-გი-ბრძანებ]
- [. . . .]

ისევე როგორც ზევით აქაც:
შენ დამატება—აღინიშნება **გ** პრეფიქსით,
მე „ „ **მ** პრეფიქსით

მას დამატება კი აღინიშნება არა **ჰ**-თი, არამედ **ს**-თი, ერთ შემთხვევაში (ს-თხოვ-ს; ვ-ს-თხოვ...) და აღუნიშნველი რჩება მეორე შემთხვევაში (უბრძანებ-ს; ვ-უბრძანებ...)

ასე რომ **მას** დამატება ისევე აღინიშნება **ჰ, ს** (**ხ**) და ნოლით, როგორც **შენ** ქვემდებარე (**ჰ, ს, ხ** და ნოლი—იხ. ზემ.)

აღვნიშნოთ, ესეც აგრეთვე X=(იქსით) და თავი მოვუყაროთ დამატების პრეფიქსების შესახებ თქმულს.

1) „**მას**", „**შენ**", „**მე**"—დამატებანი აღინიშნებიან პრეფიქსებით: **მ** პრეფიქსი აღნიშნავს, რომ **დამატება (ობჯექტი)** არის პირველი პირი „**მე**", ე. ი. **მ** არის პრეფიქსი, ობჯექტური, პირველ პირისა.

გ პრეფიქსი აღნიშნავს, რომ **დამატება (ობჯექტი)** არის მეორე პირი „**შენ**", ე. ი. **გ** არის პრეფიქსი, ობჯექტური, მეორე პირისა.

2) **მ, გ**—პრეფიქსები უჩნდება ზმნას ყოველთვის, როცა დამატებად არის „მე", „შენ", მოითხოვს ზმნა დამატებას მიცემითში თუ სახელობითში. მაგ. **მ**-თხოვა მე (ვის?) **გ**-თხოვა შენ (ვის?); ჩა-**მ**-წერა მე (ვინ?); ჩა-**გ**-წერა შენ (ვინ?); მესამე პირს კი შეუძლია გაიჩინოს პრეფიქსი მხოლოდ მაშინ, როცა დამატება მიცემითშია (**ს**-თხოვა; ვის? მას; **ჰ**-კლავს: ვის? მაგრამ თუ სახელობითშია, დამატების პრეფიქსი მაინ არ არის: **ჰ**კლავს მას, მაგრამ **კლა**—**იგი**...

3) პირველ და მეორე პირის ობჯექტურ პრეფიქსებს (**მ, გ**) შეიძლება ზმნის ქცევის მიხედვით ხმოვანიც დაერთოს: მან **მი**-ბრძანა მე, მან **გი**-ბრძანა შენ... მან და-**მა**-წერა მე იგი: მან და-**გა**წერა შენ იგი... იგი მიყვარს შენ; იგი მა-ქვს მე, იგი გა-ქვს შენ...

4) დამატების აღმნიშვნელი (ობჯექტური) პრეფიქსები არ იცვლებიან დრო-კილოთა მიხედვით (ისევე როგორც ქვემდებარის აღმნიშვნელი, სუბჯექტური, პრეფიქსები).

5. ზმნის ფორმა იწოდება რელატურად, თუ მასში ქვემდებარის პირს გარდა დამატების პირებიც არის წარმოდგენილი.

6. „**შენ** ქვემდებარე" და „**მას** დამატება" ერთნაირად აღინიშნება ზმნაში: (ე. ი. სუბჯექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობჯექტური მესამე პირისა ერთ და იმავე ნიშნებით გადმოიცემა); ეს ჩვენ X (იქსით) აღვნიშნეთ; ეს X=(**ხ**), **ს**, **ჰ** ანდა ნულს.

ხ=მხოლოდ ზმნებში: ხ-არ; მი-ხ-ვალ (სუბიექტ. პრეფ. 2 პირისა).

ს თუ მას მოსდევს: დ, ტ, თ, ძ, წ, ც; აგრეთვე ჯ, ჭ, ჩ (აქ შეიძლება **შ**-ც იყოს: ს-დევნის; ს-თხოვს, ს-ძოვს; სცარცვავს... შჯამს, შჯის...)

ჰ: დანარჩენი თანხმოვნები თუ მოსდევს (ჰ, ყ, ღ, ხ, კ, გ, ქ, შ, ჟ, ს, ზ, ნ, რ, ლ, ვ, მ, პ, ბ): ჰკლავს; ჰბაძავს; ჰკარგავს...

ხმოვნების (ა, ე, ი, ო, უ) წინ ეს პრეფიქსი სულ იკარგება: იგი უბრძანებს მას, იგი აკეთებს, იგი აგზავნის...

ამას უნდა დავუმატოთ, რომ **შენ**-ქვემდებარის აღნიშვნა ისევე როგორც **მას**-დამატების ამჟამად სამწერლობო ენაში ძალზე არეულია, რასაც ადგილი არა აქვს ძველს ქართულში. [1]

7. საინტერესოა შემდეგი გარემოება: **ვ, მ, გ** პრეფიქსები უძველეს დროიდან იმავე დანიშნულებას ასრულებდენ ქართულს ზმნებში, როგორსაც ახლა: უძველეს დროიდან **ვ** აღნიშნავდა **მე** ქვემდებარეს, **მ** აღნიშნავდა —**მე** დამატებას, **გ**—კი **შენ** დამატებას...

შენ ქვემდებარისა და **მას** დამატების აღმნიშვნელი კი (ე. ი. სუბიექტ. პრეფ. მეორე პირისა და ობიექტ. პრეფიქსი მესამე პირისა) მე-IX საუკუნიდან ისეთივე რთულ სახით იყო წარმოდგენილი, როგორც ზემოდ არის ნაჩვენები: ხან **ჰ**. ხან **ს**. ხან **ხ**-ც კი, ხან არაფერი... არის მათ უწესოდ ხმარების შემთხვევებიც. შემდეგ თანდათანობით საქმის ვითარება ირევა და-XVIII საუკუნიდან **ჰ** და **ს** პრეფიქსების ხმარება სამწერლობო ქართულში ნამდვილ ანარქიას ჰქმნის. ასე გრძელდება დღემდი: ყველა ისე წერს, როგორც მოეპრიანება. გამოსავალი?

მაგრამ ჯერ ვიკითხოთ როგორი იყო საქმის ვითარება მე-IX საუკუნემდი? რა სახე ჰქონდა მაშინ ამ პრეფიქსს? იყო იგი ასევე ჰრელი თუ უფრო მარტივი სახისა?—ამაზე შემდეგ.

[1]) ამ პრეფიქსის ვითარება ძველს ქართულში და ცოცხალ ქართულ კილოებში მრავალ მასალის მიხედვით ამომწურავ სისრულით და დამარწმუნებელ სიცხადით წარმოდგენილია ა. შანიძის გამოკვლევაში: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში". ტფილ. 1920 წ.

ჩვენს კრიტიკაში

პრეგები და კონფერენციები.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-5-თე ყრილობა

(გაგრძელება)

ამხ. ანისიმოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ც. კ. მუშაობას სამი მთავარი მომენტი ახასიათებს.

პირველი მომენტი არის მასების და მათ შორის ჩვენი კავშირისაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობის გაცხოველება, რაც ც. კ. ავალებდა ადგილებზე ხელმძღვანელობის გაძლიერებას, რომ მათი მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო. ამისათვის აუცილებელი იყო ახალი მეთოდებისა და ახალი საშუალებების გამოძებნა, რადგან 21—22 წლების სამხედრო კომუნიზმიდან ნაანდერძევი ტრადიციები ძლიერი იყო და მისი აღმოფხვრა უფრო მტკიცე ზომებს მოითხოვდა.

მეორე მომენტს შეადგენს მატერიალურ უზრუნველყოფის, უმთავრესად ხელფასის საკითხი. ამის შესახებ მომხსენებელი ამბობს: „ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც თანდათან იზრდება, ყოველდღიური ჩვენი ამოცანებისა და ზრუნვისა განათლების მუშაკთათვის ხელფასის ამაღლებისათვის და იმ დაბრკოლებებს შორის, რომლებსაც ჩვენ და არა მარტო ჩვენ, არამედ სახელმწიფოც მთლიანად განიცდის საყოველთაო სწავლის იდეის განხორციელებასთან დაკავშირებით". ამ წინააღმდეგობას საყოველთაო სწავლისა და ხელფასის ამაღლების შორის, შეუძლია ჩვენი კავშირისათვის მეტი სიძნელე შექმნას ხელფასის გაუმჯობესების საქმეში. შემდეგ მომხსენებლმა მოიყვანა სტატისტიკური ცნობები, რომლებიც ცხად ჰყოფენ, რომ ჩვენ ქვეყანას ჯერ-ჯერობით სკოლების მეტად მცირე რიცხვი აქვს თუმცა ის ყოველწლიურად იზრდება. მეორეს მხრივ, სკოლების ქსელის სივიწროვის გამო სკოლებში მოსწავლეთა შეტი რიცხვი გროვდება და მასთან დამოკიდებით უარესდება მასწავლებლის მუშაობის პირობები—ხდება მისი გადატვირთვა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მაქსიმალურ შესაძლებლობის ბიუჯეტს სდებს განათლების საქმისათვის (1922 23 წელში ს.ს.რ.კ. ბიუჯეტი გან. დარგში 50 მილიონი, 1925 26 წ—166 მილიონი), რაც მეტს უახლოვდებით საყოველთაო განათლების იდეას, მით უფრო რთულდება გან. მუშ. ხელფასის გაუმჯობესების საკითხი. პროფკავშირებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ თავის მუშაობაში ეს მდგომარეობა. ჩვენ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოთ საყოველთაო განათლების საქმეს, მაგრამ არამც და არამც არ უნდა დაუშვათ რომ ამ იდეის განხორციელება ხდებოდეს განათლების მუშაკთა მდგომარეობის ხარჯზე. ამაში მოსახლეობის ყველა ფენებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ, მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა იმათ, ვის ინტერესებისათვისაც არის საყოველთაო განათლება.

მესამე მომენტი ც. კ-ას მუშაობის, აღნიშნავს მომხსენებელი, ეს არის ის განსაკუთრებული მხარეები, რ[illegible] ლებიც დაკავშირებულია ც. კ-ას მუშაობასთან. [illegible] არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ყრილობიდან [illegible] ლობამდე ყველა საკავშირო ორგანიზაციებს ხელმძღვ[illegible] ლობს. ცხადია რომ მისი მუშაობა განსხვავდება ად[illegible] ლობრივ ორგანიზაციების მუშაობისაგან. მის ამოცანას

შეადგენს ალღო აუღოს თითეულ პერიოდს და დაისახოს ისეთი მთავარი ამოცანები, რომლებიც მართლა მთელ საკავშირო მასის ამოცანებს შეადგენს. ც. კ-ამ თითეულ ცალკე მომენტში უნდა შესძლოს გაითვალისწინოს მდგომარეობის არსებითი მხარე და ყურადღება მიაქციოს ისეთებს, რომლებიც უფრო ახლოა და მტკივნეული საკითხია განათლების მუშაკთათვის. მუშაობის მეორე მხარეს შეადგენს საკავშირო ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების საქმე. იმ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებაში, რომლებიც კავშირის წინაშე დგანან. პრინციპიალური დიდი საკითხების ბუნებრივად შემცირების გზით, ც. კ. აძლიერებს ადგილობრივ ორგანიზაციებზე პრაქტიკულ ხელმძღვანელობას. ცხადია, ეს მდგომარეობა კიდევ უფრო ართულებს ც. კ. მუშაობას, რადგან აქ საჭიროა არა მარტო ჩვენი დარგის ცოდნა, არამედ აუცილებელია დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ცალკე თითეული ადგილობრივი ორგანიზაციის ღრმად შესწავლა და გაცნობა, რადგან ხელმძღვანელობის გაწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ორგანიზაციას კარგად იცნობ.

მომხსენებელმა, შეეხო რა საორგანიზაციო დარგს, აღნიშნა რომ ძირითად უჯრედების მუშაობა მეტად მოისუსტებს. ჩვენი კავშირის აპარატი ოთხი რგოლისაგან შესდგება: ც. კ., რესპუბლიკანური ან საგუბერნიო ც. გ., სამაზრო განყოფილებები და სათემო-სარაიონო ადგილკომები. თუ პირველ ორ რგოლში მუშაობა მოგვარებულია და ისინი ამ ჟამად მტკიცე და სრულიად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას შეადგენენ, სამაზრო განყოფილებებში და ადგილკომებში გვაქვს სრულიად სხვა მდგომარეობა. ფინანსიურ მუშაობაში მონაწილეობა მაზრებში მეტად მოისუსტებს და თუ ადგილკომებს ავიღებთ, აქ ორგანიზაცია განსაკუთრებით სუსტია და ხშირად სრული უორგანიზაციობაა. ეს აშკარა შეიქნა ც. გ-თის მთელი რიგი გამოკვლევების შემდეგ. ამის მიზეზია ის, რომ ამხანაგები, რომლებიც ძირითად უჯრედებს ხელმძღვანელობენ, პროფესიონალურ საკითხებში სრულიად უვიცნი, გაურკვეველნი არიან და ხშირად, არამცთუ გამოირჩევიან საერთო საკავშირო პროფესიონალურად მასიდან, არამედ მათ ჩამორჩებიან კიდეც. მათ ნათელი წარმოდგენა არ აქვთ იმ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან; არ აქვთ წარმოდგენა იმისათვის, რომ მათ არავითარი პროფესიონალური მუშაობის სკოლა არ გაუვლიათ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბრალს ვსდებთ ძირითად პროფუჯრედებში მომუშავე ამხანაგებს, რომლებმაც შეიძლება საკუთრივ გადაიტანეს საკავშირო მუშაობის მთელი სიმძიმე, მაგრამ ეს არის ფაქტი და ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ჩვენ არ გვქონია მოწყობილი არც კურსები და არც სკოლები პროფმუშაკებისათვის მოსამზადებლად. რომ ჩვენი პროფმუშაკები მოუმზადებელი არიან, ამას ფაქტების მთელი რიგი მოწმობენ. მაგალითად ერთი მაზრიდან ც. კ. სწერდენ, რომ ადგილკომის თავმჯდომარემ არჩევნების დროს შვიდჯერ უყარა კენჭი მისთვის სასურველ კანდიდატებს—იქამდის, სანამ 22 ხმით 60 თავშეკავებულის წინააღმდეგ არ გაიყვანა ისინი. ბევრია მზგავსი შემთხვევები.

მეორე ნაკლი ჩვენი სამაზრო განყოფილებებისა და ადგილკომებისა არის სამეურნეო გადახრა, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად უფრო მაღალ ორგანიზაციებსაც ეტყობა. სამეურნეო გადახრად უნდა ვიგულისხმოდ ის, რომ ჩვენი ორგანიზაციები ივიწყებენ თავის პირდაპირ მოვალეობას და ცდილობენ შესცვალონ ადმინისტრაციის საქმის ფაქტების მთელი რიგი მოწმობენ.

სამეურნეო გადახრასთან ც. კ. მკაცრი ბრძოლის გამოცხადება უხდება და აუცილებელიც არის რადგან, თუ პროფესიონალური ორგანიზაციები მხოლოდ ადმინისტრაციის საქმით იქნებიან გართული, რა თქმა უნდა, თავის პირდაპირი საქმე გაუკეთებელი დარჩება.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პროფორგანიზაციების ფინანსიურ მხარეს და ამ მხრივაც ბევრი ნაკლი აღნიშნა. ხშირად ჩვენი ორგანიზაციები ხარჯებს ეწევიან ხარჯთაღრიცხვის ზევით, რაც იწვევს დავალიანებას. აქვს ადგილი აგრეთვე გაფლანგვასაც და უფრო ხშირად ზედმეტი ავანსების გაცემას. ც. კ. ამის წინააღმდეგ ზომები თავის დროზე მიიღო და დღეს ეს თითქმის ყველგან მოგვარებულია.

ჩვენს კავშირს არ ყავს მომზადებული პროფაქტივი. პროფაქტივს შეადგენენ პროფორგანიზაციებთან და განათლების მუშაკთა სახლებთან არსებულს სხვადასხვა კომისიების წევრები, დაწესებულებათა დელეგატები და სხვა. პროფორგანიზაციის მუშაობის ნორმალურად წარმოებისათვის საჭიროა მუშაკთა ამ ფენის მომზადება, რათა მათი მეშვეობით მისი მუშაობა ძირითად მასაშიაც ღრმავდებოდეს. ჩვენი ორგანიზაციები ხშირად ბიუროკრატიულ დაწესებულებებს წარმოადგენენ, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, მას არ შეუძლია მუშაობა სათანადოდ აწარმოოს, თუ მომზადებული პროფაქტივი არ ყავს. ამისათვის აუცილებელია ორგანიზაციების ხელმძღვანელები სცდილობდნენ აღამაღლონ და მოამზადონ პროფაქტივი. ამ მუშაობის წარმოებისათვის საჭიროა დრო გამოშვებით, პერიოდულად, კვირაში ან ორკვირაში ერთხელ მოვიწვიოთ აქტიურ პროფმუშაკების, ესთქვათ დაწესებულებათა დელეგატების, თათბირი, გავმართოდ მათთან საუბარი სხვადასხვა თემებზე, ან საინსტრუქციო მოხსენებები იმისათვის, თუ რას აკეთებს ამ ჟამად კავშირი, რას აკეთებდა ორი კვირის განმავლობაში და როგორ ატარებს ის თავის საქმეს; გარდა ამისა განუმარტოდ თავისი მოვალეობანი,—რა უნდა გააკეთოს მომავალ ორკვირაში და სხვა. ეს მუშაობა, სამწუხაროდ, ჩვენი ორგანიზაციების მთავარ საქმედ მხოლოდ ახლა ხდება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობამდე, რომ პროფესიონალურ აქტივთან შეთანხმებით მუშაობა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის განუყრელი ნაწილი შეიქნეს. მუშათა დემოკრატიის გაფართოების საერთო კურსთან დაკავშირებით, მასიურ მუშაობის საკითხი ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის ხდება. მასიურ მუშაობის საკითხები ხშირად სწორედ არ ესმით, როდესაც მასიურ მუშაობაზე ლაპარაკია, ბევრი საერთო კრებას გულისხმობს. მასიურ მუშაობაში უნდა ვგულისხმობდეთ არა მარტო კარგად ჩატარებულ საერთო კრებას, არამედ მთელი ორგანიზაციის მუშაობის მთელ სისტემას. მასიური მუშაობა კარგად დაყენებულია მხოლოდ იმ ორგანიზაციაში, სადაც საკავშირო მასა, უკლებლივ კავშირის ყველა წევრები, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ორგანიზაციის ყველა დიდ თუ პატარა საკითხების გადაჭრაში. მასიურ მუშაობად უნდა ჩაითვალოს არა სერთო კრების ფორმა, არამედ თვით მიდგომის მეთოდები, მონაწილეობა, რომ ყოველმა დიდმა თუ პატარა საკითხმა მიიპყროს მთელი მასის ყურადღება, შეარხიოს ის და ამნაირად საკითხის გადაჭრა ხდებოდეს არა მარტო სათავეში, არამედ მასამაც იცოდეს, თუ რა კეთდება. აი ამ მხრივ უნდა იყოს მიმართული მასიურ მუშაობა და ამ დარგში ჯერ კიდევ ერთობ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩვენს ორგანიზაციებს, ყრილობებსა და სხვებს, ხშირად მხოლოდ მასწავლებლური ხასიათი აქვს და სრულიად ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ ჩვენს კავშირში მასწავლებლობა მხოლოდ 50 თუ ცოტა მეტი პროცენტია და დანარჩენი 50 პროცენტს შეადგენს სხვა დარგის მომუშავენი. ამნაირად სამართლიანად უსაყვედურებენ ჩვენს კავშირს, რომ მას სხვა პროფუმცირესობა თითქმის

ავიწყდება. საჭიროა მასიურ მუშაობაში თანაბარი ყურადღება ექცეოდეს აგრეთვე სხვა პროფუმცირესობასაც.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ინსტრუქტაჟს და სოფლად მუშაობას, სადაც ჩვენს კავშირს დიდი მიღწევები აქვს. ზოგიერთ ორგანიზაციებს სოფლად მუშაობისათვის სპეციალური ფონდიც კი აქვთ შექმნილი, გაძლიერებულია აგრეთვე ინსტრუქტაჟიც.

კავშირების ფინანსების შესახებ მომხსენებელს მოჰყავს ციფრები, რომლების საშუალებით არკვევს, რომ დეფიციტიანობა თანდათან მცირდება და მოკლე ხანში შესაძლებელია მათი სრულიად დაფარვა.

შეეხო რა მომხსენებელი სატარიფო-საწარმოო მუშაობის მხარეს, აღნიშნა, რომ ჯერ ამ საკითხზე გარკვეული შეხედულობა ც. კ. არ აქვს. არ არის გარკვეული, თუ როგორ მონაწილეობას უნდა იღებდეს კავშირი ჩვენი წარმოების საქმეში. მართალია ის მონაწილეობს სამეურნეო-საბიუჯეტო მუშაობაში, მაგრამ საჭიროა თუ არა მონაწილეობდეს მეთოდიურ მუშაობაშიაც? ამ საკითხის ირგვლივ გამართულია დისკუსია, რათა ც. კ. უახლოეს პლენუმზე შესძლოს გამოიტანოს გარკვეული შეხედულება. ჩვენი წარმოების ხასიათი განსხვავდება სხვა წარმოებისაგან. ის არ გაიზომება ისე, როგორც მაგალითად ფეიქრის მუშაობა არშინობით ან სხვა. ესეც რომ არ იყოს, მაგ. ქარხნის მუშა მხოლოდ დაზგასთან მუშაობს და საორგანიზაციო მუშაობა მას არ შეეხება. მასწავლებლისათვის კი მუშაობის ეს ორი მხარე განუყოფელია—ის შემსრულებელიც არის და ორგანიზატორიც. ეს ერთი თავისებურობა, რომელსაც სხვებიც ებმის. საერთოდ არ ითქმის, რომ ჩვენთვის საკმარისი იყოს მარტო ადმინისტრატიულ-საბიუჯეტო მუშაობაში მონაწილეობა, საჭიროა მუშაობა მეთოდიურ მუშაობაშიც, მაგრამ რა მხრივ, როგორ და რა ნაწილში—ამის შესახებ სწარმოებს ფართო დისკუსია.

რაც შეეხება საბიუჯეტო მუშაობას, ამაში ც. კ. დიდ მონაწილეობას იღებს. ის ახლამდის უმთავრესად მონაწილეობდა რ.ს.ფ.ს.რ. საბიუჯეტო მუშაობაში, მაგრამ ასეთი მუშაობა ახლა გადატანილია სსრკ. საფინანსო კომისარიატის მიმართაც. აქ ც. კ. მონაწილეობას იღებს ბიუჯეტების დანაწილებაში და დეფიციტიან რესპუბლიკებისათვის და გუბერნიებისათვის სუბვენციების დანიშნაში.

თვით ხელფასის საკითხი ც. კ.-ს. წინაშე იმ სახით არ დგას, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციების წინაშე. ეს მისთვის უფრო ზოგადი პრინციპიალური ხასიათისაა. ის ცდილობს გაარკვიოს ხელფასის გაწესების საკითხები. ხელფასის პრინციპების გამომუშავების დროს ც. კ. წინაშე ისმება მთელი რიგი საკითხებისა, როგორიცაა—როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა ხელფასის შესახებ ქალაქისა და სოფლის მუშაკთათვის, როგორი შეფარდება უნდა იყოს მათ შორის, როგორ უნდა შეეფარდებოდენ პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მუშაკთა ხელფასი და სხვა. ეს საკითხები თავის პლენუმზე ც. კ-მა შემდეგნაირად გადასჭრა: ქალაქის და სოფლის მუშაკები, ერთნაირი კვალიფიკაციის, მიუხედავად იმისა ქალაქში მუშაობს ის თუ სოფელში, ერთნაირ ხელფასს უნდა იღებდნენ. გამოკვლევებიდან გამოირკვა, რომ ც. კ-ის ეს დადგენილება ჯერ ყველგან არ არის გატარებული. ც. კ. სწორად სთვლის აღებულ მიმართულებას ამ საკითხში და ბოლომდე გაატარებს მას, მხოლოდ ერთის შესწორებით: იმ შემთხვევაში თუ ქალაქსა და სოფელს შორის დიდი განსხვავებაა სიძვირის მხრივ, მაშინ შესაძლებელია ქალაქის მუშაკის ხელფასი გადიდდეს რამოდენიმე პროცენტით, ისე რომ რეალური ხელფასი თანაბარი შეიქნეს.

უფრო მწვავედ სდგას ტეხნიკური პერსონალის ხელფასის საკითხი. დიდ უმრავლეს შემთხვევაში, სოფლებში, სადაც ტეხნიკური პერსონალი ღარიბი გლეხობა ან პროლეტარული ელემენტია, თვიურად 4—5 მანეთს იღებს. ქალაქში კი 20 მანეთამდე იღებდნენ. ამ გარემოებასაც მიექცა ყურადღება და ის-ცოტათი გაუმჯობესებულია.

პირველი და მეორე საფეხურის სკოლის მუშაკთა ხელფასის შესახებ ჩვენ ასეთი მდგომარეობა გვქონდა: უმაღლეს კვალიფიკაციის მუშაკის ხელფასი განირჩეოდა დაბალი კვალიფიკაციის მუშაკის ხელფასისაგან 4—5 მანეთით. 1925 წლის ბოლოს, ამ საკითხის გარჩევის შემდეგ, ც. კ-მა გადასწყვიტა უფრო მტკიცე კურსი აეღო ამ მუშაკთა ხელფასის ერთი მეორისაგან განსხვავებისაკენ. ც. კ-ის აზრით უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკნი არ შეიძლება ისე ფასდებოდნენ, როგორც აქამდის. საჭიროა მათი ხელფასი გამოყოფილ იქნეს, მაგრამ არა ისე, როგორც ომამდე, როდესაც გიმნაზიის მასწავლებელი 200 მანეთს იღებდა და სოფლის მასწავლებელი 30 მანეთს. ყოველ შემთხვევაში საჭიროა კვალიფიკაციური მუშაკნი განვასხვავოთ უფრო მეტად, ვინემ ეს ახლამდის იყო.

ხელფასის დონის შესახებ ც. კ. ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებისათვის დაწესებული ყოფილიყო განკ. მუშაკთა მინიმალური ხელფასი, რომელზედაც ნაკლები, არავითარ შემთხვევაში მას არ უნდა მისცემოდა. ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან ზოგიერთ ადგილებში განათლების მუშაკთა ხელფასი ყველა სხვა ჯგუფებზე დაბლა ეცემოდა. ეს არ შეეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს განკ. მუშაკის ხელფასი. აუცილებლობა მოითხოვს დაწესებული იქნეს მინიმუმი. ც. კ. მოთხოვნილებები ამ მიმართულებით დაკმაყოფილებულია, ასე რომ მინიმალური ხელფასი შარშანდელთან შედარებით საშუალოდ გადიდებულია 15—20 პროცენტით. სახ. კომისართა საბჭოს მიერ მინიმალური ხელფასი დაწესებულ იქნა 28 მან. 36 მანეთამდე. უნდა ითქვას, რომ, გარდა შორეულ აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთ კავკასიისა, მოსკოვისა, ლენინგრადისა და თურქესტანისა, ხელფასის დონე იშვიათ შემთხვევაში აღემატება ამ მინიმუმს.

ც. კ., რასაკვირველია, ხელფასის საკითხს არ სთვლის დამაკმაყოფილებლად და მიღებული აქვს ყოველგვარი ზომები მის გასაუმჯობესებლად.

ხელფასის საკითხი მტკიცედ არის დაკავშირებული ნორმებთან და დატვირთვასთან. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ჯამაგირს ხორბლეულის ან სხვა რაიმე ასეთის სახით იღებდა. მაშინ ნორმებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ ახლა ხელფასს ვიღებთ მტკიცე ნიშნებით და ნორმებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთ ადგილებში ჩვენი ნორმები ირღვევა, ან ცდა არის, რომ დაარღვიონ და საგნებით არ ტარდება—აწესებენ 18 საათის ნაცვლად 24 საათს და ან სხ. ყველა ამას გავლენა აქვს ხელფასის დონეზე. ამ მდგომარეობამ ც. კ. მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ, როგორც საკავშირო ორგანოს, ყოველთვის არ შეგვიძლია დავიცვათ და გავიტანოთ ჩვენი მოთხოვნილებები და ამისათვის საჭიროა ჩვენი ნორმების კანონმდებლობის გზით დამტკიცება. ურთხელ და სამუდამოდ ეცოდინება ყველას, რომ ეს ნორმები კანონიერია და მისი დარღვევა არავის შეუძლია. საჭიროა ეს დაკანონდეს შრომის კომისარიატის მიერ. ჩვენ შევსძლებთ დაუმტკიცოდ სათანადო ორგანოებს, რომ ზედმეტს არ მოვითხოვთ და რომ ეს ნორმალურია. ამ მიმართულებით ნაბიჯები გადადგმულია. შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ჩვენი ნორ[illegible] დაკანონდეს.

მეორე საკითხი, რომელსაც არა ნაკლები მნი[illegible] ლობა აქვს ჩვენთვის—ეს ერთი მასწავლებლისათვის წაფეთა რიცხვის განსაზღვრაა. აქ მომხსენებელს მოყ[illegible] სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ თან-

დათან იზრდება მოწაფეთა რიცხვი თითოეულ ჯგუფში და ხდება მასწავლებლის გადატვირთვა. ამ მხარესაც ყურადღება მიქცეული აქვს და შრომის ნორმებთან დაკანონებასთან ერთად ესეც იქნება გათვალისწინებული.

მეტად მწვავედ სდგას მასწავლებელთა უფლებრივი დაცვის საკითხი. ამ საკითხმა, მომხსენებლის აზრით, ახლო მომავალში უნდა მიიპყროს საკავშირო ორგანიზაციების უფრო მეტი ყურადღება, ვინემ ყველა სხვა საკითხებმა, ვინაიდან არ მართლდება ის ამედები, რომელიც, ც. კ. ამ მხრივ ქონდა. ჯერ კიდევ მასწავლებელთა ყრილობაზე იყო ლაპარაკი ამის შესახებ და ყველა დაიმედებული იყო, რომ ამას ყურადღება მიექცევა, ყრილობაზე გამოტანილი დადგენილებები გავლენას იქონიებენ და რამოდენიმედ მაინც გაჰფანტავენ ატმოსფერას ადგილებზე. არ მოხდა ის რასაც ვფიქრობდით. ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებელს სრულიად უმიზეზოდ ითხოვენ, გადაყავთ და სხვა (მოყავს მაგალითები) მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხაროა ის, რომ ჩვენი ორგანიზაციები ასეთ შემთხვევებში სათანადოდ ვერ იცავენ, ან სრულიად არ იცავენ თავის წევრს. ამის გამო საჩივრები ხშირად თვით ც. კ-ში მოდის და მას უხდება მიიღოს სათანადო ზომები. ის ფაქტი, რომ ასეთი საჩივრებით დასჯილნი ც. კ-ტს მიმართავენ, მაჩვენებელია იმისა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ვერ სარგებლობენ და არ აქვთ შესაფერი ავტორიტეტი. ამაში დამნაშავეა ისევ პროფუმეცრება. კავშირის ორგანიზაცია მხარეს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც არსებითად გაარჩევს საქმეს ობიექტიურად მუდგება საკითხს და თავის დასკვნას გამოიტანს. წევრი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მას თავის ორგანიზაცია დაიცავს, თუ ის მართალია. მაშინ არ იქნება მისთვის საჭირო ც. კ-ში საჩივრის გადაგზავნა და საქმეც დიდად მოიგებს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კულტმუშაობას. უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი კულტმუშაობის წარმოებაში ფინანსიურ შესაძლებლობას აქვს. ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის კარგად, რადგან ზოგიერთი ორგანიზაციები ან სრულებით არ იღებენ დანარიცხებს კულტფონდისათვის, ან თუ იღებენ, მეტად მცირეს. (მომხსენებელს მოყავს ცნობები ც. კ. და ზოგი ორგანიზაციების ფინანსების შესახებ). ეს მაშინ, როდესაც ჩვენს „კულტურულ“ კავშირს კულტმუშაობისათვის გაცილებით მეტი თანხები ესაჭიროება.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა კულტმუშაობა მაინც დიდი სწარმოებს.

დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ მხრივ გან. მუშაკთა სახლებს. ამ ჟამად მთელ მოკავშირე რესპუბლიკებში 200-დე გან. მუშ. სახლია. ეს სახლები ბოლო ხანებამდე ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დამდგარი. შესაძლებელია ამაში დამნაშავე იყოს ც. კ., მაგრამ ეს სახლები ძიების ხანას განიცდიან და მხოლოდ ახლა დგებიან შესაფერ ნიადაგზე. ისინი ხშირად მხოლოდ გადასამხადებელ კუთხეებს წარმოადგენენ, რის გამო მასწავლებლობას ვერ იზიდავდნენ. ახლა კი გადასული არიან საკლუბო სისტემაზე, რომელიც თანდათან უნდა გაღრმავდეს, მრავალფეროვანი უნდა შეიქნეს და ამით შესძლებს მიიზიდოს და ჩააბას მუშაობაში განათლების მუშაკთა მეტი რიცხვი.

მეორე დარგი კულტმუშაობისა—ეს გადამზადებისა და თვითგანვითარების საკითხია, ამ მიზნით ც. კ. აწოდებდა ადგილებს ლიტერატურას, ცალკე წევრს ან ჯგუფს საშუალება ჰქონდა საკუთრივ ემუშავნა, მაგრამ ეს წესი სავსებით გამოსადეგი არ შეიქნა და ამისათვის გადასწყვიტა შეუდგეს საჭირო საკითხებზე პოპულიარულ ნაშრომების გამოცემას. ამ მიმართულებით მას ბევრი აქვს გაკეთებული.

რაც შეეხება პროფპროპაგანდას, ეს ჩვენი კავშირის მასაში მეტად მძიმედ ტარდება. ეს გასაგებია რადგან უმრავლესობა ჩვენი კავშირისა მასწავლებლობაა, რომელსაც თავისებური სამეურნეო გადახრა ახასიათებს და ამისათვის ის პედაგოგიური საკითხებით უფრო დაინტერესებულია, ვინემ პროფესიონალურით. ის მოითხოვს, რომ ჟურნალი პედაგოგიური იყოს და სხვა ასეთებს. მაგრამ პროფპროპაგანდა მაინც უნდა სწარმოებდეს და უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებული სიმტკიცით.

საზოგადოებრივ მუშაობაში. მომხსენებელმა დიდი მიღწევები აღნიშნა. თუ პირველ ხანებში საზოგადოებრივ მუშაობაში თითო ოროლა მასწავლებელი იყო ჩაბმული, დღეს არ არის ისეთი მასწავლებელი, რომელიც ასეთ მუშაობას არ აწარმოებდეს. ხშირად ერთი და იგივე მასწავლებელი რამოდენიმე მუშაობას ეწევა, ერთობ გადატვირთულია, რაც არანორმალურადაც უნდა ჩაითვალოს. საზოგადოებრივი მუშაობა უფრო სოფლად სწარმოებს. ქალაქებში ასეთი ხასიათის მუშაობას შეადგენს წითელ არმიაზე კულტშეფობა. ამ საქმეშიაც, მომხსენებლის სიტყვით ჩვენს კავშირს ბევრი აქვს გაკეთებული.

ჩვენი კავშირის სექციების (მეცნიერების და ბეჭდითი სიტყვის მუშაკთა) შესახებ მომხსენებელმა ამბობს, რომ ისინი, ზოგიერთ ადგილებში ჯერ კიდევ ორგანიზაციის ხანას განიცდიან, მაგრამ ბევრგან უკვე შესძლეს მუშაობის დაწყება და მოგვარება.

(შემდეგი იქნება)

სუჯუნის უბნის (სენაკის მაზრა) განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომის მუშაობა.

სუჯუნის უბნის განყავშირის წევრთა საერთო კრება მოწვეულ იქმნა 1925 წ. 23 დეკემბერს. თავმჯდომარეობდა პ. უჩანეიშვილი, მდივნობდა ნ. კიზირია.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ადგილკომის მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ.

2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3. არჩევნები: ა) ადგილკომის, ბ) შემფასებელ-საკონფლიქტო და ვ) კულტკომისიების, გ) ურთიერთ დამხარე ბიუროსი და ე) კავშირის დელეგატების.

4. სამაზრო კონფერენციის დელეგატების არჩევა.

5. მიმდინარე საკითხები.

ადგილკომის მუშაობა ცნობილ იქმნა დამაკმაყოფილებლად, ხოლო სარევიზიო კომისიის-კი არადამაკმაყოფილებლად.

ახალი ადგილკომის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: 1. გ. მიმინოშვილი (პ/მგ. მდივნად), 2. ნ. კიზირია და 3. თამარ ჯინორია.

სარევიზიო კომისიაში: 1. მ. ჩიტაია, 2. პ. უჩანეიშვილი და 3. ვერა კუპრეიშვილი.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში: 1. გ. მიმინოშვილი და 2. იელ. კაჭარავა.

კულტ-კომისიაში: 1. მ. ჩიტაია, 2. ვ. კუპრეიშვილი, 3. ვ. მიმინოშვილი და 4. ანტისაკუცია.

ურთი-ერთ დამხმარე სალაროში: 1. ალ. მარშანია, 2. ლ. გუგუშვილი და 3. ივლ. ჭანტურაია.

კავშირის დელეგატებად: 1. მ. ნოდია, 2. ივლ. ჭანტურაია, 3. ქს. ნინუა და 4. ლევ. კუცია.

სამაზრო კონფერენციის დელეგატებად: 1. გ. მიმინოშვილი და 2. თამარ ჯინორია.

სუჯუნის უბნის საადგილკომო აერთიანებს: ერთი შვიდწლედის და სამი ოთხწლედის მასწავლებლობას, ერთი თემკომის პ მ. მდივანს და ერთი ქოხსამკითხველოს გამგეს. კავშირის წევრთა საერთო რიცხვი 22; მათში 20 მასწავლებელი. ყველა მასწავლებლები სახელმწიფოს მომარაგებაზეა.

ადგილკომის და დელეგატთა სხდომები და წევრთა საერთო კრებები იმართება თანახმად წესდებისა, სადაც ირჩევა პედაგოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიური და პროფესიონალური საკითხები.

წევრთა კვალიფიკაციის აწევის მიზნით კავშირი იწერს: 1. „საქართველოს განათლების მუშაკს", გაზეთ „მუშას", „ახალ სოფელს", მოსკოვის გამოცემას „Учительская газета", „Народный учитель" и „На путях к новой школе".

ამავე მიზნით ადგილობრივ კულტკომისიამ დაარსა სუჯუნის უბანში ოთხი წრე: 1. პედაგოგიური, 2. საბუნებისმეტყველო, 3. პროფესიონალური და 4. პოლიტიკური, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევენ კავშირის გამოცდილი წევრები. მეცადინეობა წრეში სწარმოებს კვირაში ერთხელ (ხუთშაბათობით) რიგ-რიგობით. ხოლო მოხსენებები საწარმოო თათბირებზე სკოლის გამგეების მიერ კეთდება თვეში ერთხელ. (უკვე იყო სამი მოხსენება).

უბნის კავშირის წევრები ჩაბმულია აგრეთვე საზოგადო მუშაობაში, მაგალითად: საბჭოებში, სამკითხველოში, გლეხკომში და სხვ.

კულტკომისიის თაოსნობით (სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმებით) სოფლებში ჩამოყალიბებულია „წერკუმ"-ის უჯრედები, რომელშიაც მიზიდულია მოსახლეობის ფართე მასა. „წერკუმს"ის უჯრედებში მივლინებული არიან გამოცდილი წევრები კავშირისა, რომლებიც უკითხავენ გლეხობას გაზეთებს და სამეურნეო თემებზე მართავენ საუბრებს, რომლის ანგარიშებს უჯრედებში მივლინებული ამხანაგები უდგენენ უბნის კავშირის საერთო კრებას. „წერკუმს"-ის უჯრედების წევრებს (გლეხობას) ჯერ-ჯერობით აქვთ გამოწერილი 26 ცალი გაზეთი „ახალი სოფელი" და ვცდილობთ გამოუწეროთ უჯრედებს სამეურნეო წიგნაკები (გლეხის ბიბლიოთეკიდან).

ეკონომიური დარგში მუშაობა დამაკმაყოფილებელია; ჯამაგირების დარიგება ხდება თავის დროზე. რაც შეეხება პროცენტულ ანარიცხებს და ჟურნალ-გაზეთების საფასურს, შემოტანა ხდება ინდივიდუალური წესით; წევრი თავის წელილს აძლევს კავშირის დელეგატს, დელეგატი სიით უგზავნის ადგილკომის მდივანს და უკანასკნელი-კი ანაწილებს დანიშნულებისამებრ.

ადგილკომი ეცდება მომავალში გამონახოს თანხა და გამოიწეროს შესაფერი სახელმძღვანელოები და მით გაუწიოს მეტი დახმარება კავშირის წევრებს და მშრომელ გლეხობას მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სუჯუნის უბნის განმუშაკთა კავშირის ადგილკომის პ მ. მდივანი **გიორგი მიმინოშვილი.**

ჩოჩხათის თემის განმუშაკთა მუშაობა. (გურია).

ამა წლის 2 თებერვალს გაიმართა ჩოჩხათის თემში ამავე თემის განმუშაკთა კრება. კრებამ ერთხმად დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. ბიუროს გადახალისება.
2. პედწრის დაარსება.
3. პოლიტწრის დაარსება.
4. პროფესიონალური წრის დაარსება.
5. ამხანაგობა „ლიმონის" წარმომადგენლის მოხსენება.
6. განცხადება ნიკო მურვანიძის.
7. ფიზკულტურის წრის დაარსება.

1. ყოფილი ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლეონ რუსიძე, რომელმაც აღნიშნა ყოფილი ბიუროს მუშაობა და დაახასიათა ის მძიმე დაბრკოლებები, რომელიც წინ ეღობებოდა გასული 1925 წლის სამოსწავლო ბიუროს მუშაობას, როგორიც არის ლიტერატურის უქონლობა. მაგრამ მიუხედავად ამისა მასწავლებელთა კოლექტიურმა მუშაობამ სხვადასხვა წრეებში მაინც შესძლო შრომის სკოლის პრინციპების გატარება სკოლებში და სხვადასხვა ლექციების და საუბრების ჩატარება მასაში.

მოისმინა რა კრებამ ამხ. ლეონ რუსიძის მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ, დამაკმაყოფილებლად სცნო იგი და არჩეულ იქმნა ახალი ბიურო სამი კაცისაგან შემდგარი.

2. პედწრის დაარსების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლეონ რუსიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩოჩხათის თემში უნდა დაარსდეს პედწრე, თანახმად სამაზრო განმუშაკთა კავშირის ცირკულიარისა. მომხსენებელმა აღნიშნა თუ როგორ პირობებში მიმდინარეობდა გასული წლის პედწრის მუშაობა და როგორი უნდა იყოს მომავალში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო გაცხოველებული მუშაობა პედაგოგიურ დარგში და წამოიჭრა საკითხი ახალი მეთოდის წარმოშობისა, როგორიც არის „კომპლექსიური მეთოდი". ჩვენ, რომ გავხდეთ შრომის სკოლის მესვეურნი, საზოგადოებას აღუზარდოთ შეგნებული და კომუნისტური სულით გაჟღენთილი თაობა, ჩვენი მასწავლებლობა ვალდებულია იცნობდეს პედაგოგიურ ჟურნალებს, ერკვეოდეს და ამუშავებდეს კოლექტიურად.

3. პოლიტწრის დაარსების შესახებ და მომავალი მუშაობისა მომხსენებლად გამოვიდენ ამხანაგები, რომლებმაც აღნიშნეს საბჭოთა კავშირის მიღწევები და მასწავლებლობის ჩამორჩენილობა. მათ აღნიშნეს, რომ ყველა მასწავლებელნი ვალდებულნი არიან შეისწავლონ მარქსიზმი.

4. პროფესიონალური წრის დაარსების შესახებ გამოვიდა მოხსენებით 7 წლედის გამგე. მან სთქვა: ჩვენ მასწავლებლებს შორის პროფესიონალური კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო არის სერიოზული მუშაობა, რომ შევსძლოდ ჩვენი მასწავლებლობის გონებრივად აწევა.

5. ამხანაგობა „ლიმონის წარმომადგენლის მოხსენება.

მოხსენებით გამოდის ამხანაგი ილია ჯიჯიეშვილი, რომელიც თხოვნით მიმართავს ჩოჩხათის თემის მასწავლებლობას, რათა გახდენ წევრად „ლიმონის" ამხანაგობისა. ის ამბობს: ჩვენ გულიანის კუთხის მცხოვრებლებმა,

(ჩოჩხათის თემი) განვიზრახეთ დაგვეარსებია სამეურნეო ბაღი და აქტიური ხელმძღვანელების მეოხებით მივაღწიეთ მიზანს. შეუდგა რა მუშაობას მოსახლეობა თემის მასშტაბით მიიპყრო ყურადღება მაზრის, და დამტკიცდა დასავლეთ გურიის საცდელ სანიმუშო სანერგედ. მოისმინა რა მოხსენება ამხ. ილია ჯიჯიეშვილის, კრებამ დაადგინა: შეიტანონ მომავალი თებერვლის ჯამაგირებზე 5½ მანეთი. (საწევრო).

6. განცხადება ნიკო მურვანიძის მიერ განმუშაკთა კავშირში მიღების შესახებ, მოისმინა რა კრებამ ერთხმად მიიღო განმუშაკთა კავშირში.

7. დაარსებულ იქმნა ფიზკულტურის წრე, თემის მასშტაბით, რომლის გარშემო შემოკრებილ უნდა იქმნეს მთელი თემის ახალგაზრდობა. წრეებში სამეცადინო დღეთ დანიშნულია სამშაბათი და ხუთშაბათი. ამის შემდეგ კრება დაიხურა.

ჩანჩხეთის 4-6 წლედის გამგე: **პორფილე ჭყონია.**

ხევ-ერკეთის რაიონის განმუშაკთა საქმიანობა (გურია) დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს ორი თემი გაერთიანებულ იქნა და შეიქმნა რაიადგილკომი, რომელიც ხელმძღვანელობს რაიონულ კავშირს. მასწავლებლობის უმრავლესობა ახლა გამოდის პედაგოგიურ ასპარეზზე და მათი სათანადო მომზადებისათვის და ახალი პედაგოგიური მეთოდების შესწავლა-შეთვისებისათვის საჭირო იყო დიდი მუშაობა, რათა მათ საშუალება მისცემოდათ მოვალეობის პირნათლად შესრულებისა. პედაგოგიურ გადამზადებასთან ერთად საჭირო იყო მათი პოლიტიკურად გათვითცნობიერება, ვინაიდგან თუ მასწავლებელმა ეს ვერ შესძლო—ის უფრო ვერ შესძლებს სკოლაში და საზოგადოებაში მუშაობას. მიაქცია რა ყოველივე ამას ყურადღება, რაიადგილკომის მიერ გამოყოფილ იქნა ხელმძღვანელი ბიურო, რომელსაც დაევალა მასწავლებელთა ჩაბმა წრეებში და გადამზადება როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე პედაგოგიურად. ამ მიზნით ყოველ კვირაში 7 წლედებში იმართება ლექციები, რაც სასურველ შედეგებსაც იძლევა: აქვე უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ამხანაგების გულგრილობა, რასაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. რომ წრეებმა შეასრულონ თავისი დანიშნულება, საჭირო არის მაზრის ორგანოებმა იზრუნონ განსაკუთრებით პედ. ლიტერატურის მოწოდებაზე, რაც ნაკლებად არის ადგილებზე. შემდეგ ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გან. ინსპექციის მიერ მასწავლებელთა უდროო დროს გადაყვან-გადმოყვანას, რაც ერთი მთავარი მიზეზთაგანია მეცადინეობის შეფერხებისა. რაიონის ერთ 4 წლედში, სადაც ერთი მასწავლებელი არის (იგივე გამგე) 4 თვის განმავლობაში გამოცვლილ იქნა 4 მასწავლებელი, რაც რა თქმა უნდა საგრძნობ დაღს ასვამს ისედაც მოუწესრიგებელ სკოლას და რაც იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის მასწავლებლობასა და გლეხობას შორის არსებობს სრული დაახლოება: მასწავლებლობა შეიძლება ითქვას, თუ 100% არა, დიდი უმრავლესობა მაინც საბჭოთა პლატფორმაზე დგას, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო არის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სწორი გეზის აღება მასწავლებლობასთან დამოკიდებულებაში და განკურნვა ყველა იმ უნდობლობისაგან, რომელიც ჯერ კიდევ ახასიათებს ზოგიერთ ამხანაგებს. შეიძლება ეს გამოწვეული იყვეს ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებელთა „ნეიტრალიტეტით" საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ აქაც საჭირო არის სწორი მიდგომა, რომ მასწავლებლობის ეს ნაწილიც გადაიხაროს უმრავლესობისაკენ.

ერკეთის 7 წლედის გამგე: **სიმ. მამალაძე.**

განათლების მუშაკთა სამტრედიის საარაიონო კავშირის ადგილკომი.

აერთიანებს 28 სკოლას. მათ შორის 2 ცხრაწლედია, 11—შვიდწლედი, 13-ი ოთხწლედი და ორი საბავშო ბაღი. ყველა სკოლებში ადგილკომს ყავს რწმუნებულები საკავშირო ხაზის ადგილობრივ გასატარებლად და განათლების მუშაკთა მასებთან ცხოველ დამოკიდებულებისათვის. ეწყობა რწმუნებულთა თათბირები, რომლებზედაც ადგილკომი არჩევს მნიშვნელოვან საკითხებს.

ადგილკომის საქმის წარმოება ძველად, შეიძლება მეტად დაუკმაყოფილებელი კავშირის წევრთათვის, უკანასკნელად გამოსწორებულია. მას აქვს თავისი კანცელარია, რომელშიც მუშაობა სწარმოებს ყოველდღიურად. ადგილკომმა გაუწია ანგარიში იმ გარემოებასაც, რომ რაიონის მასწავლებლებს ადგილკომში საქმისთვის მოსვლის საშუალება უმთავრესად კვირა-უქმე დღეებში აქვთ და მუშაობას ამ დღეებშიც აწარმოებს.

ადგილკომთან არსებული ურთი-ერთ დამხმარე სალაროს მუშაობა ახალ გამგეობის ხელში გამოცოცხლდა. წინად 3 სკოლის გარდა ყველანი გაეთიშენ სალაროს, დღეს თანდათან უბრუნდებიან ამ სიმპატიურ და საჭირო ორგანიზაციას.

ადგილკომი ენერგიულად ეკიდება „განათლების მუშაკი"-ს ხელის მოწერის საქმეს კავშირის წევრებში. იგივე ავრცელებს სამაზრო კავშირის მიერ გამოცემულ საბავშო ლიტერატურას.

კულტურულ მუშაობაში ადგილკომი შესაძლოების მიხედვით თავისი მოწოდების სიმაღლეზე სდგას. რაიონებში ადგილებზე ტარდებოდა მოხსენებები, იმართებოდა პედაგოგიური ხასიათის ლექციებიც. მომავლისთვის კი ამ მუშაობის გაფართოებისკენაა მიქცეული მთელი ყურადღება.

ამხანად ადგილკომი კულტურული მუშაობის სათანადო სიძლიერით წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებულ სახლის დაარსების საკითხზეა ზეჩერებული. არც საკუთარი და არც ღარიბი მასწავლებლობის საშუალებები არ გვაძლევენ გაბედულ პერსპექტივას მის დაარსებისთვის. საჭიროა სამაზრო და ც. გ. მხრუნველი ხელი.

გ. კვერნაძე.

ბოლჯომის გან. მუშ. კავშ. ადგილკომის საქმიანობა.

ჩემი წერილის მიზანს შეადგენს გავაცნო მკითხველს მოკლედ ბორჯომის ადგილკომის მუშაობა. მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მართალია წინა ადგილკომს არ ჰქონია მაინც და მაინც კარგად დაყენებული თავისი საქმე, არ იყო მის დროს შეთანხმებული მუშაობა წევრებს შორის, არ იყო პროცენტიული ანარიცხების აკრეფის საქმე მოგვარებული და მუშაობა სხვადასხვა კომისიებისა მოდუნებული იყო. ყველა ეს ნაკლი უნდა გამოესწორებია ახალ ადგილკომს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ არაჩ თუ არ გამოსწორდა ეს ნაკლი, არამედ გადააჭარბა კიდეც ძველს.

სანამ შეუდგებოდე თვით ადგილკომის დახასიათებას მის მუშაობაში, არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა თვით პ მ. მდივანზე გ. ყაზაროვზე. მართალია ის ენერგიული მუშაკია, მაგრამ კარგად არ არის მაინც და მაინც საკავშირო მუშაობას გაცნობილი და არც შეეფერება თაყის თანამდებობას. გამგეობაში არის ისეთი წევრები რომლებსაც შეუძლიათ ამ თანამდებობის ასრულება.

ადგილკომი აერთიანებს ბორჯომის და მის რაიონის სკოლებს, პარტიულ კომიტეტს და ა. ლ. კ. კ. რაიკომს. სულ :33 წევრს. ადგილკომთან არსებობს კომისიები და გამგეობები, ურთი-ერთ დამხმარე სალარო, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია და საწარმოო თათბირები ყველა ეს კომისიები და გამგეობები თავის მუშაობაში მარტოდ-მარტო ქაღალდზე არიან შესაფერი უხელმძღვანელობის გამო.

საორგანიზაციო მუშაობა ასეთია: ყველა სკოლებში და დაწესებულებაში არიან ამორჩეული რწმუნებულები, რომელთა საშუალებითაც საკავშირო მასსა უნდა დაუახლოვდეს ადგილკომს. მაგრამ კავშირი რწმუნებულებს შორის არავითარ მუშაობას არ წარმოადგენს, ერთხელაც არ მოუწვევია რწმუნებულების თათბირი და არ გაუცვნია მათთვის მათი მოვალეობა, არ მიუცია სათანადო დირექტივები.

ადმინისტრაციას კავშირთან აქვს საერთო ხაზი გამონახული, ყოველგვარი მოხსნა-დათხოვნა სამსახურიდან ან დანიშვნა ხდება კავშირთან შეთანხმებით.

საორგანიზაციო მუშაობაში კავშირს აქვს ნაკლი. საქმე იმაშია, რომ სოფლის მასწავლებლობას შესაფერ ხელმძღვანელობას ვერ უწევს. კავშირს არა აქვს გამორკვეული თვითეული თავისი წევრის ყოველგვარი მდგომარეობა მიუხედავად იმისა, რომ თვით პ მ. მდივანი გარდა საკავშირო მუშაობისა არავითარ თანამდებობას არ ასრულებს.

ჯამაგირების მიღების საკითხში ჩვენი რაიონის მასწავლებლობის მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში გამოსწორდა, მიზეზი ის არის, რომ მთელი რაიონის მასწავლებლობა ჯამაგირების დაკმაყოფილების მხრივ გადავიდა სახელმწიფო ბიუჯეტზე, და ყოველ თვის ოც რიცხვებში იღებენ ჯამაგირს.

ტეხნიკური შტატი იმყოფება ადგილობრივ აღმასკომის ხარჯზე. ესენიც თავის დროზე ღებულობენ ჯამაგირს. მართალია კავშირის კომპეტენციაში არ შედის ჯამაგირების ჩამოტანა, მაგრამ ხშირად კავშირი აგზავნიდა წარმომადგენელს ხსენებული ჯამაგირების მოსატანად, რაც მიზან შეუწონელია კავშირის მუშაობაში.

ბორჯომის ადგილკომი სხვა კავშირებთან ერთად შეთანხმებით ეწევა კულტ-მუშაობას წევრებს შორის, რაც ერთის მხრივ უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ყველა ამორჩეული საკლუბო ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს კულტ-განყოფილება. აწყობს მასიურ ლექციებს სხვადასხვა თემაზე. არის დაარსებული სხვადასხვა წრეები, მაგალითად: პოლიტიკური, პროფესიონალური და სხვა. მაგრამ მოისუსტებს პედაგოგიურ წრეებში მუშაობა ვინაიდან ამას არა აქვს სათანადო ხელმძღვანელობა გაწეული კავშირის მიერ. მიუხედავად ამისა, რომ ჩვენს რაიონში არიან ბევრი ძველი და გამოცდილი პედაგოგები, რომლებსაც შეუძლიათ ამ წრის ხელმძღვანელობა. გარდა ამისა კავშირთან არსებობს საწარმოო თათბირი, რომელიც თავის მუშაობაში მოისუსტებს.

ყველა ამ ზემოხსენებულ ნაკლებს კავშირისას უნდა მიაქციოს ყურადღება, სანამ გვიან არ არის. ბორჯომის საქალაქო პროფ. ბიუროს.

ი. ხ.

თ ე ლ ა ვ ი.

კულტურული მუშაობა განათლების მუშაკთა სახლში.

თანახმად ახალ წესდებისა, განათლების მუშაკთა სახლის წევრთა საერთო კრებამ ამოირჩია ხელმძღვანელი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

ახლად ამორჩეულ გამგეობამ გაინაწილა რა ფუნქციები. სახლის გამგე, ხელმძღვანელად ერთხმად გამოჰყო ადგილობრივ პედაგოგიურ ტეხნიკუმის გამგე ამხ. კ. გეგელიძე, როგორც ხედმიწევნით კარგი მცოდნე, გამოცდილი და ენერგიული მუშაკი.

ამასთანავე სახლთან ჩამოყალიბდა სხვადასხვა წრეები, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას: პირველი ლექცია, ან სწორედ რომ ვსთქვათ, საუბარი გაიმართა შემდეგ თემაზე: ,,კომპლექსი მათემათიკაში'', მომხსენებელი იყო ამხ. გ. ბურჭულაძე.

შემდეგ სახლის და განკავშირის გამგეობებმა გამართეს საჯარო მოხსენება ადგილობრივ სახალხო სახლში ჯ. ლომთათიძეზე.

ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ ჩვენი მშრომელი ინტელიგენციის თითქმის 90% კარგად კი არა, სავსებით არ იცნობდა ,,თეთრი ღამეების'' ავტორს ჰოლა ლომთათიძეს, როგორც მწერალს, ისე რევოლუციონურ მოღვაწეს.

ეს გარემოება მიიღო მხედველობაში კომისიამ და ამიტომ ფართე მოხსენება გამართა ზემოხსენებულ სახლში, რასაც დაესწრო აუარებელი ხალხი.

პირველი მოხსენება ,,ჰოლა ლომთათიძის უკანასკნელი დღეები ჩრდილოეთში'' გააკეთა ამხ. კ. გეგელიძემ, მან, როგორც სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე მის გვერდით მყოფმა, აღწერა ტრაღიკული და ტანჯული ცხოვრება სპეტაკი ადამიანის და დაუღალავი რევოლუციონერის ჰოლა ლომთათიძისა.

ამხ. დ. ჩხეიძემ (თურდოსპირელი) გააცნო დამსწრეთ ჰოლა ლომთათიძე როგორც შემომქმედი. ორივე მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

დასასრულ ქართულმა კოლექტივმა პირველად თეატრში დასდგა დ. თურდოსპირელის ,,რევოლუცია'', ორ მოქმედებიანი პიესა.

სასურველია, რომ სახლის გამგეობამ და განკავშირმა შეერთებული ძალღონით ხშირ-ხშირად მართონ ასეთი საუბარ-ლექციები, რითაც დიდ სარგებლიანობას მისცემ როგორც თავის წევრებს, ისე სხვა კავშირების ამხანაგებსაც.

ივ. დავითიანი.

ლიხაურის თემი (ოზურგეთის მაზრა).

იანვრის 12-ს 1626 წელს შესდგა ლიხაურის თემის განათლების მუშაკთა კავშირის მთლიანი კრება, რომელზედაც დაესწრო ოცდახუთი მასწავლებელი.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ადგილკომის პ მგ. მდივნის (სამაზრო კონფ. ანგარიშები).
2. მოწაფეთა კოოპერატივის შესახებ.
3. დამხმარე სალაროს შესახებ.
4. საწარმოო თათბირები.
5. გაზეთ ,,ახალ სოფლის'' გავრცელება.
6. კედლის გაზეთის გამოცემის შესახებ.

1. სამაზრო კონფერენციის ანგარიშის შესახებს მოხსენებას აკეთებს თემის ადგილკომის პ მგ. მდივანი ამხ. გერმანე ურუშაძე, რომელმაც აღნიშნა კონფერენციის ჩვეულებრივი მოწყენილი მსვლელობა, მომხსენებელი აღნიშნავს მასწავლებლის დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ, რომელიც გამოიხატება პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით მის ძირიან ფესვიანად მოსპობაში და ეს კი ამბობს მომხსენებელი, არის მასწავლებელის წმინდა მოვალეობა. აგრეთვე მომხსენებელმა აღნიშნა კოოპერატიულ კავშირში მასწავლებლობის აუცილებელ ჩაწერის შესახებ. მომხსენებელი მოუწოდებს მასწავლებლობას, რათა ჩაეწერონ კოოპერატივში.

მე-2 ე კითხვის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: ვინაიდგან მოწაფეთა კოოპარატივი ახლად დაარსებულია, ამისათვის დაევალოს თითოეულ კავშირის წევრს ხელი შეუწყოს მის გაძლიერებას.

მე-3-ე კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: ეთხოვოს განათლების მუშაკთა სამაზრო კავშირის დამხმარე სალაროს დაგვიბრუნოს გაცემული % და დაგვიარსოს თემში დამხმარე სალარო.

მე-4-ე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ადგილკომის პ მგ. მდივანი და აღნიშნავს აუცილებელ საჭიროებად პერიფერიის მასწავლებელთა თათბირის მოწვევას სკოლის მდგომარეობის შესახებ, ვინაიდგან პერიფერიის მასწავლებლები დაზარებული არიან თემს. და სწორედ ცოცხალი კავშირის გაბმის მიზნით, რათა მასწავლებელმა გაუზიარონ ერთი მეორეს თავიანთი აზრი ამ ახალი მეთოდის შესახებ. კრებამ დაადგინა დაევალოს ადგილკომს რათა თვეში ორჯელ მოიწვიოს პერიფერიის მასწავლებელთა თათბირი.

მე-5-თე კითხვის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა, რათა ყოველმხრივ დაეხმაროს გაზეთ ,,ახალი სოფლის'' გავრცელებას დაევალოს თითოეულ მასწავლებელს, რათა დეტალურად განუმარტოს გლეხობას, გაზეთ ,,ახალ სოფლის'' მნიშვნელობა თავ-თავიანთ სოფლებში.

მე-6-სე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს თემის 7 წლედის გამგე ამხ. ა პ. კონტრიძე. რომელიც დაწვრილებით აცნობს კავშირის წევრებს კედლის გაზეთის მნიშვნელობას და სასურველად მიაჩნია მისი ახლო-მომავალში გამოცემა.

კრებამ იქონია მსჯელობა აღნიშნული საკითხის შესახებ და დაადგინა: აუცილებლივ გამოცემულ იქმნას კედლის გაზეთი და ამ საქმის მოგვარება მიენდოს კულტურულ კომისიას ადგილკომთან შეთანხმებით.

კაკოჭელი.

ნიგოითი (ოზურგ. მაზრა). 1926 წლის იანვრის 27 შესდგა ნიგოითის თემის გ. მ. კ. კრება. კრებას დაესწრო ოზურგ. სამაზრო გ. მ. კ. პ მგ. მდივანი გ. ჯიბლაძე.

დღის წესრიგი:

1. მოხ. წარსული წლის მუშაობის შესახებ.
2. მომავალი მუშაობის შესახებ.
3. ხელ-ახალი არჩევნები ადგილკომის, სარევიზიო კომისიის და კულტკომისიისა.
4. კედლის გაზეთის გამოშვება.
5. კავშირში ახალი წევრის მიღება.

გასული წლის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად.

მომავალი მუშაობის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ჯიბლაძემ, რომელმაც მოუწოდა მასწავლებლებს სოფლად მუშაობის წარმოება, რომ ყოველივე კულტურულ საქმეში მასწავლებელი აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს, რითაც ჩვენს ავტორიტეტს გავაძლიერებთ გლეხობის თვალში. დასძენს აგრეთვე, რომ წრეებში უნდა იქმნეს გაცხოველებული მუშაობაო.

ადგილკომში არჩეულ იქნენ: 1. პ მგ. მდივნად კ. ორმოცაძე, 2. დ. ჰეიშვილი, 3. გრ. გაბუნია. კანდიდატებად: ერ. კეჭახმაძე და ო. ჟორჟიკაშვილი.

სარევიზიო კომისიაში: 1. ვ. სამსონია, 2. ი. აბუსერიძე, 3. ნ. ქერქაძე.

კულტკომისიაში: 1. ვლ. გუჯაბიძე, 2. დ. ჰეიშვილი, 3. მ. მახარაძე.

კედლის გაზეთის გამოშვების საქმე დაევალა ადგილკომს.

ადგილკომის სხდომები უნდა ხდებოდეს ხუთშეტ დღეში ერთხელ. მიღებულ იქნა ახალი წევრი.

კონსტან—ორ.

ურნალ ,,საქ. განათლების მუშაკის'' ხელის მომწერთა საყურადღებოდ!

ჩვენი ჟურნალის კანტორა განმეორებით სთხოვს ყველა იმ ხელისმომწერლებს, ვისაც ჟურნალის ხვედრი ფული შემოუტანიათ, რომ დააჩქაროს მათზე დარჩენილ ფულის გამოგზავნა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ფულის თავის დროზე შემოუტანლობა აფერხებს ჟურნალის გამოცემას.

გიორგი სვანიძე.

მარტის 23-ს ქუთაისში მიწას მიაბარეს დამსახურებული პედაგოგი და იშვიათი ადამიანი გიორგი სიმონის ძე სვანიძე. სრულიად მოულოდნელი იყო გიორგის ასე უცრად დაკარგვა, რადგან ის ჯანითა და ენერგიით სავსე ადამიანი, ახალგაზრდული გატაცებით განაგრძობდა მუშაობას კულტურის ასპარეზზე. ქუთაისის საზოგადოება და ახალგაზრდობა კარგად იცნობდა განსვენებულს; გიორგი სვანიძე ქუთაისის მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წევრი იყო და 25 წლის ნაყოფიერი შრომა მან შესწირა ახალგაზრდობის აღზრდასა და კულტურული დარგის სხვა მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში, ქუთაისში,—სადაც ჩვენი ცხოვრების მაჯა საგრძნობლად სცემდა—არც ერთი კულტურული საქმე არ წამოწყებულა, რომელშიც გიორგის თავისი ცოდნა, უნარი, ერთგულობა და საქმიანობა არ შეეტანოს.



გიორგი სვანიძე

გიორგი ისეთი ადამიანი იყო, რომლის მსგავსიც ჩვენს შორის ცოტა მოიპოვება. მან განათლება გერმანიაში მიიღო და იქიდან ჩამოიტანა ჩვენში არა მარტო ცოდნა, არამედ საკმაო გამოცდილებაც. თავისი ცხოვრების საფუძვლად მან კეთილსინდისიერი შრომა აღიარა; მოვალეობის პირნათლად ასრულება მისი ძირითადი პრინციპი იყო. სიფაქიზე. სიწმინდე, უანგარობა, ენერგია და ინიციატივა—აი რა ახასიათებდა განსვენებულს. პედაგოგიურ ასპარეზზე მუშაობის დროს ის ყოველთვის ცდილობდა ყოფილიყო არა მარტო მასწავლებელი, არამედ აღმზრდელიც; სწავლების პროცესში ზრდიდა და წვრთნიდა კეთილშობილ მომავალ მოქალაქეებს. გიორგი არ კმაყოფილდებოდა მარტო პედაგოგიურ მუშაობით. 1918 წელს მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა მასწავლებელთა წიგნის გამომცემელი კოოპერატიული ამხანაგობა, „მერანი“, რომელმაც მრავალი სახელმძღვანელოების მოწოდებით დიდი სამსახური გაუწია ახლად გაერთიანების გზაზე შემდგარ ქართულ სკოლას. მისივე წინადადებით და ხელმძღვანელობით მოეწყო გამომცემლობის საქმე გან. მუშაკთა კავშირის ქუთაისის განყოფილებებთან, რომელსაც, ფართო მომავალი უჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ახლად დაწყებული საქმე. გიორგის კარგად ჰქონდა გათვალისწინებული აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წინსვლის ნიშვნელობა. სხვადასხვა ეკონომიური ხასიათის საზოგადოებათა დაარსებაში ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა და თავისი წვლილიც შეჰქონდა მათ მუშაობაში. მისი ინიციატივით დაარსდა მაგ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება, რომლის გამგეობის წევრიც იყო. ჭეშმარიტად, რომ დიდი დანაკლისია ჩვენთვის ისეთი ენერგიული, ცოდნით აღჭურვილი, უანგარო და სპეტაკი ადამიანის დაკარგვა, როგორიც იყო გიორგი სვანიძე. საზოგადოებაში მას დიდი ფასი და წონა ჰქონდა; ამხანაგებს გიორგი მიგვაჩნდა მასწავლებლობის სინდისათ.

მშვიდობით კეთილშობილო და მარად მოსაგონარო ძვირფასო გიორგი!

კ.

ხელოვნება

ჰენრიხ ჰეინე.

(1798—1856 წ. წ.)

სამოცდაათის წლის უკან ხანგრძლივად მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ საფრანგეთში გარდაიცვალა გერმანიიდან ლტოლვილი მსოფლიო პოეზიის უდიდესი დამამშვენებელი—ჰენრიხ ჰეინე. მსოფლიო გოდების შარავანდედში ბაირონის გვერდით პირველი ადგილი უჭირავს ამ უდიდეს ლირიკოსს, რომლის მოგონებასთან შეერთებულია წმინდა პოეზიის მწვერვალებზე, მომხიბლავ ფეთრეერკათ რომანტიული წვა, ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრების ტალღებში უმახვილესი სარ სტიული გაელვებანი და კეთილშობილ მისწრაფე თვის თავგამოდებული ბრძოლა.

ჰეინეს გენიალური ნიჭი საშინელ რთულ ეპ წარმოიშვა. ჯერ კიდევ აკვანშივე ესმოდა პატარა ჰ საფრანგეთის რევოლუციის ჰეჭა-ქუხილი, რომელმაც მაახლებელ ქარიშხლად გადაუქროლა ფეოდალურ ოროო-

ბეებში ჩამყაყებულ ევროპას. მთელი კაცობრიობა ორად გაჰყო ამ უდიდესმა მოვლენამ: ყოველივე კეთილშობილური, სიცოცხლით სავსე და პატიოსანი მთელ ქვეყანაზე საფრანგეთის რევოლუციას თანაუგრძნობდა; დრომოჭმული, მობერებული და წარმავალი მისი მტერი და მგმობელი იყო.

ყველა სახელმწიფოებზე უფრო მწვავედ გერმანია განიცდიდა საფრანგეთის გავლენას. ამ ქვეყნიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა ერთხელ კიდეც გადაუარა გერმანიის ფეოდალიზმს—ნაპოლეონის ომები—და საკმაოდ მილეწ-მოლეწა იგი. მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო ბრძოლა დათავებული. ნაპოლეონ პირველის განმანთავისუფლებელ ომებს, რომელმაც მთელი ევროპის კონტინგენტზე უხვად მიმოფანტა დიდი რევოლუციის იდეები, მეტერნიხისა და ალექსანდრე I-ლის „სამღვთო კავშირი" მოჰყვა და მთელ ევროპას ისევ გადაეფარა შავი ზეწარი.

მაგრამ თავისუფლების იდეა მაინც ცოცხალი იყო და მისი შარავანდედი შეუჩერებლივ იზიდავდა პატიოსან მოაზროვნეთა სულსა და გულს. აი, ამ პატიოსან მოქალაქეთა გუნდს ეკუთვნოდა სახელოვანი ჰეინე, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პირველ ხანაში კერპად დაისახა 18 ბრიუმერის წინა დროის ნაპოლეონ პირველი, როგორც თავისუფლების იდეის მატარებელი სიმბოლო. ნაპოლეონის სახელში ჰეინესათვის თავდაყრილი იყო საფრანგეთის რევოლუციის იდეები, რომელთა განსახორციელებლად იბრძოდა იგი თავის სამშობლოში. ამავე დროს იგი გააფთრებული ებრძოდა თავისი ქვეყნის გაუნათლებლობას, დრომოჭმულ ტრადიციებს, ორპირობას. ტირანულ მართვა-გამგეობას და სხვ.

ჰეინე იყო საშინელი მახვილი, მჭრელი და მოსწრებული ენის პატრონი, მისი სატირიული კალამი მახვილზე უმახვილესი იყო და ვაი იმას, ვის წინააღმდეგაც მიიმართებოდა იგი. ის იყო უდიდესი იდეალისტი, რომელსაც გული უწამლავდა მისი სამშობლოს დამყაყებული ცხოვრება და ყოველივე კეთილშობილურისა და ზნე მაღალის ფილისტერული შეურაცხყოფა. ამიტომ იგი მთელი თავისი დაუშრეტელის ენერგიითა და ნიჭით ებრძოდა მაშინდელი ოფიციალური გერმანიის ცხოვრებას.

რასაკვირველია, არც ძველი გერმანია რჩებოდა მგვალეთ ჰეინეს წინაშე და საშინელი ომი გამოუცხადეს მას, ცოტა ხნის განმავლობაში აუარებელი მტრები გაუჩნდენ საკაცობრიო იდეალებისთვის თავდადებით მებრძოლ მგოსანს, რომელიც უკანასკნელ სულისთქმამდე ვაჟკაცურად იბრძოდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა თავის მოსისინე მტრებს.

ჰეინეს „სურათები გზადაგზა"-ს პირველი ტომი ყუმბარასავით გავარდა ფილისტერულ გერმანიაში და სარკასტიულმა ხარხარმაც ბსკერამდე შეარყია ნემეცური ჭაობი. გაისმა გეელთა სისინი, ქვეწარმავალთა ყაყანი: [illegible]ნება, ცილისწამება, უშვერი ლანძღვა.

ჰეინე ტომით ებრაელი იყო და ეს გარემოებაც [illegible]ნად სწამლავდა მას, ერთის მხრივ იდეალისტ პოეტს სწამდა, რომ ყოველი ადამიანი თანასწორია დაბადებით და რასიული სხვადასხვაობა არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაშინდელი გერმანიის სინამდვილე დაუნდობლად უწამლავდა პოეტს ამ წმინდა გრძნობას. მისი ებრაელობა ხელზე დაიხვიეს მისმა მტრებმა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასცინოდენ. ჰეინეს მრავალი თაყვანისმცემელიც ყავდა ახალგაზრდობიდან და განსაკუთრებით ქალებიდან. აი ამ უკანასკნელთა შესახებ ჰეინეს ერთმა მტერმა დასწერა: მებრალებით, რომ თქვენს პოეტს ტუჩები ნიორის სუნით უყარსო.

დიდი ბრძოლის შემდეგ ბაირონის მსგავსად ჰეინე იძულებული იყო თავის საყვარელ საფრანგეთში გაქცეულიყო, სადაც იმ დროს (1830 წ.) ივლისის რევოლუცია დატრიალდა. პოეტი აღფრთოვანებით გადასახლდა პარიზში, მაგრამ მალე იგრძნო მან თავისი სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული და თბილი გრძნობები. მართალია, თავისუფალ საფრანგეთში სცხოვრობდა, მაგრამ სულით და გულით მაინც თავის ჩამორჩენილ და გაუნათლებელ სამშობლოსაკენ მოისწრაფოდა. აქ უნდოდა ბრძოლა, აქ უნდოდა სიკვდილი. მაგრამ გერმანიის მესვეურებს ჭირივით სძულდათ დიდი პოეტი და უკან დაბრუნებაზე უარს ეუბნებოდენ. სამაგიეროდ ჰეინე არც იქედან ასვენებდა მშობლიურ ფილისტერებს და ცეცხლითა და ენტუზიაზმით სავსე კორესპონდენციებს იწერებოდა. მთელი გერმანია და მისი ცხოვრება ულმობელ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მან საფრანგეთის რევოლუციის სინათლეზე, რისთვისაც მთელი „ახალგაზრდა გერმანიისათვის" სათაყვანო ბელადი იყო იგი. „ახალგაზრდა გერმანია"—ნიჭიერ და რევოლუციონურად განწყობილ მწერალთა გუნდს ერქვა, ამ გუნდში შედიოდენ ლაუბე, გუცკოვი, ვინმარგი და სხვ.

ჰეინეს თავისი გენიალური ნიჭი მარტო პოლიტიკური ბრძოლისათვის არ შეუწირავს; ამავე დროს ის იყო წმინდა პოეზიის უდიდესი ქურუმი, მისი „სიმღერათა წიგნი" უკვდავი ქმნილებაა მსოფლიო პოეზიის პანთეონში.

ჰეინე დიდი მეცნიერი და მოაზროვნეც იყო, კარლ მარქსი დიდად აფასებდა მას და ამბობდა, რომ ბევრი რამ ვისწავლე მისგანო.

დიდი მგოსანი უაღრესად რთული პიროვნება იყო, რისი დაწვრილებით გადმოშლა დღეს ჩვენთვის შეუძლებელია. ქართველი მკითხველი ჰეინეს სახელს მაინცა და მაინც ვერ იცნობს: გარდა პატარ-პატარა ლექსებისა ჩვენ მისი არა მოგვეპოვება რა. მართალია, ჭოლა ლომთათიძემ—ჩვენმა სასახელო ბელეტრისტმა—უკვე თარგმნა მისი ზოგიერთი ლექსები და ცალკე კრებულადაც კი გამოსცა, მაგრამ აწ განსვენებული ჩვენი მწერალი რამდენად კარგი ბელეტრისტი იყო, იმდენად ცუდი მთარგმნელი გამოდგა და ვერც ჰეინეს მშვენიერება გვაგრძნობინა. კარგი კი იქნებოდა, რომ ვინმე ჩვენს პოეტს ხელახლა ეკისრა ეს საქმე.

—ვ—ე.

ალ. ოღანეზაშვილი.

აღმოსავლური ჰანგები.

ყოველ ერს საკუთარ ენასთან სიმღერა-გალობა აქვს შექმნილი. ანბანის ასოებისაებრ, მუსიკის ხმებშიაცაა განსხვავება. ევროპაში მიღებულია თორმეტ ნაწილიანი ტემპერაციული ოქტავა; ამ ხმებზე ეწყობა ფორტეპიანო და სხვა მათი საკრავები. აღმოსავლეთში კი სხვადასხვა ანგარიშზეა ტონების მოწყობა, რასაც ნათლად გვიჩვენებს ჩვენებური სამუსიკო საკრავების ფარდების ინტერვალი: პინდური ოქტავა 22 ნაწილი; ძველიბერძნული 21 ნაწ., ქართული 19 ნაწ., საარსული 17 ნაწ., ჩინეთის, იაპონიის, მონღოლეთის, ყირგიზთა, თათარისტანის და შუა აზიელ ერების ოქტავა შესდგება ხუთ ნაწილისაგან. მათ შორის ხუთი ტონია (c, d, e, g, a); ერთი მეორის მსგავსი, როგორც ანბანის ხმოვანი ასოები (ა, ე, ი, ო, უ); დანარჩენი ტონების განსხვავება უხმო ასოებს უდრის. ჰამების სიმრავლითაც სჭარბობს აღმოსავლური მუსიკა.



ალ. ოღანეზაშვილი

აღმოსავლეთის ხალხი უძველეს დროიდან სარგებლობდნენ ერთი მეორის ტერმინოლოგიით და მუსიკალურ ფრაზებით; არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს მათი დასკვნა ლინგვისტთა და მუსიკის სპეციალისტთა მიერ. აღმოსავლეთში თვალსაჩინო ადგილი უკავია სპარსულ პოეზიას და მუსიკას, თავისებურ ფორმების სიმდიდრით, რომლითაც მრავალჯერ უსარგებლნიათ მეზობელ ერებს; მის გამოთაც ყოველ ჩვენთაგანს გაუმნელდება მშობლიურ მუსიკის ისტორიის ან თეორიის აღწერა თუ არ იცის საერთო აღმოსავლური ჰანგები.

უძველეს სპარსეთში ხელოვნება სახელმწიფო საქმედ იყო მიღებული და მისი საიდუმლოების შეთვისება მხოლოდ მზის ქურუმთ შეეძლოთ მეუფეს სხივთა საქებ-სადიდებლად. ასე იყო ირანის დაცემამდე, რომელიც მოხდა მეშვიდე საუკუნეში. შემდეგში ხელოვნებას ეცვლება მიზანი და გადადის იმ მიმართულებაზე, თუ როგორ დაიხსნას მხარე მონობიდან. უკვდავი **ფირდუსი,** ჰქმნის თავის შაჰნამეს იმ შავ-ბნელ დროში, როცა მშობლიური ენა სასტიკად იდევნებოდა სპარსეთში.

სპარსულ მინიატურაში—მხეცებზე ნადირობა, ლეგენდებში დევებთან ბრძოლა, ცეკვაში—ტანჯვა-წამების გამოსახვა, მუსიკაში—ავსულების ქაჯების დამხობა,—ყოველი ეს ირანის განთავისუფლებას და მშობლიურ კულტურის აღდგენას ნიშნავს.

დღემდე სპარსეთში დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებენ სასულიერო პირნი, წინააღმდეგ მშობლიურ პოეზიისა. აკრძალულია **ჰაფიზის, საადის, ჯალალედინრუმის, ომარ ხეიამის** და სხვა ამგვარ მოშაირეთა ნაწარმოების წაკითხვა, მუსიკის დაკვრა ან მისი მოსმენა, სურათების ხატვა, ან მისი ხილვა, ცეკვა და სხვა რელიგიის საწინააღმდეგო საგანის!..

სპარსეთის ხელოვნება ძვირფას განძს წარმოადგენს, მაგრამ ჯერ კი არ არის გამოყენებული, როგორც მასალა, კომპოზიტორთა მხატვართა, დრამატურგთა, პოეტთა და ჩვენი დროის სხვა ხელოვანთა მიერ.

საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე ადგილი უკავიათ ჩვენ მგოსნებს, მათ მუთრიბს და ამუღ-საზანდარსაც უწოდებდნენ; მსახიობნი იგივე მემუსიკენი იყვნენ, ამ წოდების ქვეშ იგულისხმებოდა მომღერალი, დამკვრელი, მოცეკვავე და იგინივე იყვნენ აქტორებიც; თეატრი კი—ქალაქის დიდროვნი მოედნები, სადაც ასურათებდნენ თავისუფლებისთვის მებრძოლთა რომელიმე გმირის მოქმედებას.

ჩვენში მემუსიკეთა რიცხვი იმდენად დიდი იკო, რომ სხვა ხელოსანთა შორის ჰამქარიც ჰქონდათ შედგენილი საზანდარბაშის მეთაურობით. ამ პროფკავშირის წყალობით ისე იყვნენ დახელოვნებული, რომ თვით სპარსელებიც კი მოჰყვანდათ განცვიფრებაში, დაკვრით, მღერით და ცეკვით; მაგალითად: ნადირ შაჰმა საქართველოდან სპარსეთში გაიყოლია მემუსიკეთა ერთი დასი (რიცხვით 22 სული), რომლებიც უკრივდნენ: ჭიანურს, სანთურს, ქანონს, თამბურს, სალამურს, დაირას, ნალარას და სხვა საკრავებს.

საქართველოში ხელოვანთ დიდის პატივით და ნდობით ეპყრობოდნენ. აღამაჰმადხანთან ბრძოლის დროს, ერთ გუნდს, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ ტფილისის მოქალაქეთა და ხელოსანთაგან, სარდლად ანუ გუნდის მეთაურად აურჩევიათ საზანდარი, ვინმე **დავით მაჩაბელი,** რომელიც ბრძოლის დროს დაირის დაკვრით და მღერით წინ მიუძღოდა ჯარს, ხსენებულ მაჰმადხანს, ტფილისში შემოსვლის დროს ცნობილი საზანდარი **„საათნოვა"** ჩონგურის დაკვრით და ლექსის თქმით დაუხვდა, მაგრამ განჯრახვა შეუტყეს და ხანთან მიახლოებამდე მოჰკლეს. ქართველ ერსაც, როგორადაც ძველ აღმოსავლეთის ხალხს, აქვს ძვირფასი საგანძური ქართულ მუსიკის. ძველი ქართული ჰანგები, მელოდიები ხალხში შენახული და გაბნეული ძვირფას მასალას წარმოადგენს ქართული მუსიკის ასაღორძინებლად. ძველად ქართულს ოჯახში დიდი პატივი და ადგილი ჰქონდა აღმოსავლურ საკრავებს, მაგალითად არ იყო ოჯახი, მით უმეტეს წარჩინებულთა, სადაც არ სცოდნოდეთ დაკვრა თარის, სანთურის, ჭიანურის, ჩონგურის, დომპლიპიტოსი და სხვა. ახლა ჩვენს დროს სამწუხაროდ ნაკლები ყურადღება ექცევა და ამ რიგად დავიწყებას ეძლევა ამ საკრავთა დაკვრა-შესწავლა. მართალია ჩვენ უარს არა ვყოფთ ევროპიელთა მუსიკას, მის კულტურას, მაგრამ არც მშობლიური უნდა დავივიწყოთ. მით უმეტეს, რომ თვით იგივე ევროპიელნი არიან დაინტერესებულნი აღმოსავლეთის მუსიკით, საკრავებით და სწავლობენ კიდეც.

ამიტომ ჩვენის აზრით დიდად საჭიროა, რომ ქართველოს კონსერვატორიაში ადგილი ჰქონდეს მოსავლურ მუსიკას. ამ საქმეში უნდა დავასწროთ ევროპიელთ, რომელთაც მუსიკის ასაღორძინებლად უკვე გადაუწყვეტიათ მიჰმართონ აღმოსავლურ ჰანგებს.

ოვანეს თუმანიანი.

(გარდაცვალებიდან 3 წლის შესრულების გამო).

მარტის 23-ს 1926 წელს შესრულდა სამი წელი, რაც გარდაიცვალა სომეხთა გამოჩენილი პოეტი ოვანეს თუმანიანი.

ოვ. თუმანიანი დაიბადა 1869 წელს ლორის სოფელში და გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1923 წ. ქ. მოსკოვში.

ლექსების წერა თუმანიანმა დაიწყო ბავშობიდან. აქვს ბევრი პოემები, ლეგენდები, არაკები მოთხრობები ლექსები და სხვა.

თუმანიანი თავის მასალას იღებდა ყოველთვის სოფლის ყოფა ცხოვრებიდან. მას არ ავიწყდებოდა ბავშები და მათთვისაც სწერდა ბევრ ლექსებს და მოთხრობებს როგორიცაა „გულადი ნაზარა", „გიქორა", „ერთი წვეთი თაფლი" და სხვა.

მის ნაწერებში სუყველაზე რჩეულია პოემა „ანუში", რომელიც ახლა გადაკეთებულია ოპერად კომპოზიტორ ტიგრანიანის მიერ. აქვს ბევრი თარგმანი ლერმონტოვიდგან, პუშკინიდგან, გიეოთესგან, ბაირონიდგან, კოლცოვიდგან და სხვებისგან.

მის ხელმძღვანელობით გამოდიოდა სასწავლებლისთვის სახელმძღვანელო „ლუსაბერი" და „სომეხთა მწერლები".

ოვ. თუმანიანის მაღალი ბუნება ვერ ურიგდებოდა სომეხ-ქართველთა უთანხმოებას და ყოველ ღონეს ხმარობდა ამ ორ მოძმე ხალხთა კულტურულად დაახლოვებისათვის. მისი ინიციატივით მისსავე ბინაზე არა ერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს ქართველი და სომეხი მწერლები და გაუმართავთ მსჯელობა საერთო საკითხებზე.

ი. გრიშაშვილის მიერ თარგმნილია ქართულად ოვ. თუმანიანის რჩეული ნაწერები.

ა. დავითიანი.



ოვანეს თუმანიანი,

ალ. ოღანეზაშვილი

(აღმოსავლური მუსიკოს-მასწავლებელი)

ალექსანდრე ოღანეზაშვილი 7 წლის იყო, როდესაც უკვე უკრავდა „**დიმპლიპიტოს**". მან ეს დაკვრა შეისწავლა მამისგან, რომელიც დიმპლიპიტოს ცნობილი დამკვრელი იყო ტფილისში.

როდესაც ოღანეზაშვილი გახდა 13 წლის, შეისწავლა ჭიანურის დაკვრა და ისე კარგად, რომ იგი ამ ჟამად ამ ინსტრუმენტის ერთ საუკეთესო დამკვრელად ითვლება მთელს კავკასიაში და სპარსეთშიც, სადაც იგი რამოდენიმეჯერ იყო მიწვეული. გარდა ამისა, უკრავს აგრეთვე: თარზედ, სანთურს, პიანინოს და ვიოლინს, თუმცა უმთავრესად ჭიანურზედ დამკვრელი არის. ოღანეზაშვილს შესწავლილი აქვს აღმოსავლეთის მუსიკის თეორია და ითვლება აღმოსავლეთის მუსიკის საუკეთესო მცოდნედ.

1911 წელს მან დასწერა ოპერა თურქულ ენაზედ „**ფარჰატ შირინი**" 5—მოქმედებად, რომელიც მრავალჯერ დაიდგა ქ. ბაქოში. 1914 წელს. ქ. ბაქოში დაარსა **აღმოსავლეთის მუსიკის კურსები**. სადაც თვითვე ასწავლიდა. მხოლოდ 1919 წელს მისივე მეცადინეობით აქვე დაარსდა აღმოსავლეთის მუსიკის პედაგოგიური კურსები. 1920 წელს მისივე ინიციატივით გაიხსნა აღმოსავლ. მუსიკის სახალხო კონსერვატორია. ალ. ოღანეზაშვილი 1921 წელს გადმოვიდა ბაქოდან ტფილისში, სადაც ამ დროიდან იმყოფება და ყაზანელ თათართა შრომის სკოლაში ასწავლის სიმღერა-გალობას. 1924 წლიდან სომეხ ხელოვანთა სახლში „ჰაიარტუნ-ში" არსებულ სამუსიკო სტუდიასთან ოღანეზაშვილმა დაარსა აღმოსავლეთის მუსიკის კლასი, სადაც თვითვე ასწავლის.

მან შეადგინა და გამოსცა აღმოსავლეთის საკრავების **თვითმასწავლებელი**. დასწერა წიგნი **„სპარსულ მუსიკის თეორია"**, ამასთანავე მან პირველმა გადასწერა და დაბეჭდა თურქულ ენაზედ, „საიათნავა"-ს ლექსები, რომელიც ქართულის ასოებით იყო ნაწერი.

ალ. ოღანეზაშვილი, როგორც საუკეთესო მცოდნე აღმოსავლეთის მუსიკისა, ამ საგანზედ წერილებს ათავსებდა ხშირად, როგორც აზერბეიჯანის პერიოდულ თურქულ გამოცემებში, აგრეთვე ტფილისის ქართულს, რუსულს, თურქულს, სომხურს ჟურნალ-გაზეთებში. წარსულ თვეში ალ. ოღანეზაშვილი მიწვეული იქმნა სახელმწ. კონსერვატორიასთან არებულს აკადემიურ გუნდში, სადაც იგი ასწავლის აღმოსავლეთის ხალხთა სიმღერა-მუსიკას.

ალ. ოღანეზაშვილი ხშირად მიუწვევიათ როგორც ცნობილი დამკვრელი კავკასიის ყველა ქალაქებში, იმიერ კასპიის ქალაქებში. სპარსეთში, თეირანს, სადაც დიდის აღტაცებით ხვდებოდნენ ყოველ მის გამოსვლას კონცერტებზედ.

ვ. ბ.

ბიბლიოგრაფია

კ. კაპანელი: სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანო ტროპიზმი. 1925 წ., გვ 266, ფასი 2 მ. 80 კ.

ყოველგვარი მეცნიერული წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე გამოიცემა, უსათუოდ მისალმების ღირსია. უნდა მივესალმოთ როგორც კომპილიაციას, ისე ორიგინალურს, რომელშიც გაშლილი იქნება დამოუკიდებელი ქართული აზროვნება: ან ორიგინალური იდეა, ან და არსებული იდეის ქართულის მიდგომით დასაბუთება. კაპანელის წიგნი საკმაო ორიგინალობის მატარებელი ნაწარმოებია ჩვენს ნიადაგზე და როგორც ასეთი უსათუოდ საყურადღებო მოვლენაა.

წიგნი შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: ავტორის საზოგადო თეორეტიულ-ფილოსოფიური მოსაზრებანი და ამ თეორიის მიხედვით ქართული წარსულისა და აწმყოს ზოგადი მიმოხილვა მამოძრავებელი სტიბულების აღმოჩენის მიზნით.

კაპანელის შეხედულობით ყოველივე იდეა აღმოცენებულია განსაზღვრულ გეოგრაფიულ-სოციალურ-ისტორიულ პირობებში და მანამდე სცოცხლობს იგი, სანამ გარემო ხელს უწყობს მას. ავტორის აზრით ადამიანის ცხოვრება წარმავალი და წუთიერია, ჩვენი არსებობა ხანმოკლე „წვალების აორთქლებაა, იდეა-წვის ასხივოსნება“, მოჩვენებითი ჩვენი არსებობა „აკინძული ბიოგენეტიური წვალებით, იშლება სამარადჟამოდ და მთელი ჩვენი ფორმულებსა და ნორმებში ჩამოყალიბებულ ყოფილან, მთელი ჩვენი კულტურულ-ცივილიზაციურ პრეტენზიებიდან, რჩება მხოლოდ ერთი მუჭაღა მტვერი, რომელიც გაიფანტება მეტეოროლოგიურ ცვლილებებში და რომელიც გახდება გეოლოგიურ ფენების მასალა“. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს და ადამიანის იდეა მასთან ერთად დაიღუპებოდეს, ეს იდეა მაინც ახდენს ერთგვარ გავლენას გარემოზე და ამნაირად მდგომარეობის ანარეკლი იდეოლოგია თავის მხრივ მდგომარეობაზედაც ახდენს გავლენას და ქმნის ახალ ყოფას. „ადამიანი ჯერ ეგუება მდგომარეობას და მერე ცდილობს მდგომარეობის გადაკეთებას, გარდაქმნას და მთელი კულტურა კაცობრიობისა სწორედ ასეთი ხასიათის მდგომარეობისა და სოციალური ორგანიზაციის ურთიერთობაში გამოისახება. ჩვენ ამ შემოქმედებითი ხასიათის ურთიერთობას ვეძახით ორგანოტროპიზმს—ე. ი. მდგომარეობის გავლენას სხეულზე და სხეულის გადახრას მდგომარეობისაკენ“, ასე განმარტავს ავტორი თავისი წიგნის დედააზრს—ორგანოტროპიზმს რო უწოდებს.

ავტორი მრავალი მხრივ უდგება ამ საკითხს, წიგნის პირველ ნაწილში თვრამეტი თავია და თითქმის ყველგან ახალი ხაზია ამ დებულების ნათელსაყოფად: იგი ისეა გატაკებული, რომ ძლიან ხშირად დიდ მანძილზე შეორდება მისი თხზულების სათაურს—ესთეტიურ კრიტიკის საფუძვლებს—და ამნაირად ნაშრომს არა აქვს მკაცრად ჩამოყალიბებული ხასიათი: ზოგი ნაწილი ზედმეტად გეჩვენება და ნაწილთა შორისაც მექანიური კავშირია. ვფიქრობთ, რომ წიგნი ბევრს მოიგებდა, რომ იგი დაწურული ყოფილიყო და ესთეტიკის საფუძვლებიც უფრო უკედ ყოფილიყოგაშუქებული. ახლანდელის სახით კი მთავარი ადგილი ორგანოტროპიზმის თეორიის დასახელებას უკავია, ესთეტიკა კი ძლიან მკრთალად ჩანს.

წიგნის მეორე ნაწილის—ქართული კულტურის—მთავარი დებულებები ასეთია: „საქართველოს წარსული ეპიზოდებისაგან შედგება: გრძელი რიგი საუკუნეებისა ისტორიული კოშმარების შავი ზეწარით არის შემოსილი და მხოლოდ აქა-იქ კულტურული სახეობათა ეპიზოდები ანათებენ“. „ქართული სული ისტორიამ განაპირების სისტემაში გაატარა და მით შეიქმნა ჩვენში კულტი გადაჭარბებული ინდივიდუალიზმისა და პერსონალიზმისა—კულტი, რომელშიაც სოციალური გრძნობის ჩანასახიც კი არ არის“. „უჩემოთ ვინიმღერეთობა“, აი ჩვენი ისტორიული ტრაგედიის გამოსახულება. კიდევ შეიძლებოდა კაპანელის წიგნიდან ასეთი აზრების ამოკრეფა, მაგრამ, ამ პატარა შენიშვნაში ეს შეუძლებელია.

უნდა ვსთქვათ, რომ რამდენად წიგნის პირველი ნაწილი მაუდგომელი აზროვნების ნაყოფია, იმდენად მეორე ნაწილი ცალ მხრივ სუბექტივიზმით არის სავსე და ბევრი შეუსაბამო აზრია შიგ გამოთქმული. ყველა ის საფეხურები, რომელიც საქართველოს გაუვლია თავის ისტორიულ გზაზე—გადასახლება, ფეოდალიზმის კუთხური პარტიკულიარიზმი და სხვა,—ყველა ერს განუცდია და ყველა მათგანის ცხოვრებაში ყოფილა იმ დამრღვეველ ძალთა ბატონობა, რომელსაც ასეთ მინუსად უთვლის კაპანელი ქართველ ერს. თუ ცალ-ცალკე ფაქტების ამოკრეფით რაიმე თეორიის აშენება შეიძლება, კაპანელის საწინააღმდეგოდ ბევრს შეუძლია უამრავი ფაქტების მოყვანა.

ამ ნაწილში კიდევ არის აგრეთვე ზოგიერთი მიუღებელი ადგილებიც. მაგ., ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს საქართველოს უნივერსიტეტის—ჩვენი ახლად ფეხადგმულის კულტურული აკვნის—წინააღმდეგ შეუფერებლად გალაშქრება. არის მომენტები, როცა „უჩემოთ ვინიმღერეთობაში“ შეიძლები თვითონ ჩვენი ავტორის გამტყუვნება.

საერთოდ წიგნის შესახებ უნდა ვსთქვათ შემდეგი: ორგანოტროპიზმის თეორია ძალიან ენათესავება მარქსიზმს, შეიძლება ისიც ითქვას, რომ იგი მარქსიზმის ანარეკლია. მდგომარეობა ქმნის შეგნებას, განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში შეგნება მოქმედებს მდგომარეობაზე.—ეს მარქსიზმის დედააზრია. ამას ავტორიც გრძნობს: „ჩვენი საუკუნე გარკვევით და კათეგორიულად ამბობს: აზროვნება უნდა ეწყობოდეს მარქსიზმის მიხედვით“, სწერს იგი. მაგრამ კაპანელი მაინც მარქსისტი არ არის, მატერიალისტურ დიალექტიკას დაშორებულია: მისი თეორია თუმც გარეგნულად ვითომ რეალისტურ მსოფლ მხედველობას ჰგავს, მაგრამ მისი სული და გული მისტიკა და იდეალიზმია. ამიტომ არის, რომ მისი დასაბუთებანი უფრო გულის მიერია, ვინემ თავის მიერი. კაპანელში უფრო მეტი პოეტისაგან არის, ვინემ მეცნიერისაგან. პოეტი კი, მოგეხსენებათ, ჩვენს წუთისოფელს უფრო ემოციონალურად ითვისებენ, ვინემ ინტელექტუალურად.

წიგნი ლამაზის ენით არის დაწერილი, სტილს ადგილ-ადგილ საკმეველის სუნი ასდის. კაპანელს მრავალი ორიგინალური ტერმინი მოეპოვება, წმინდა ქართული და ლამაზი. უკეთესი იქნებოდა, რომ ავტორს ნაკლებად ეხმარა უცხო სიტყვები.

ვ. ხ—ძე.

(სოციალური ესთეტიკის საფუძვლები)

კონსტანტინე კაპანელის წიგნი „სოციალურ ესთეტიკის საფუძვლები“ დიდ სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურისათვის; მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი პოეტურადაა დაწერილი და ვერ ატარებს მეცნიერულ სისტემატიურ სახეს. მაგრამ წიგნში [illegible] არის საკმარისად გარკვეული ესთეტიური გრძ[illegible] რაობა. ავტორი მიდის მეცნიერების და ხელო[illegible] გაიგივეობამდე. როდესაც ამბობს: „ხელოვნება დ[illegible] ნიერება ორივე ხელოვნებაა“. ამასთანავე წიგნი უკი[illegible] რელატიურ თვალსაზრის იცავს, რაც ორიგინალურ[illegible] მე ახალს არ წარმოადგენს, გარდა თვით ამ თეორი[illegible] სახელწოდებისა „ორგანოტროპიზმი“. „ორგანოტროპიზმი, როგორც იდეოლოგიის და აზროვნების სისტემა, პირვე-

ლად ჩვენ შემოგვაქვს ლიტერატურაში, არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში სიტყვა „ორგანოტროპიზმი“ ჯერ არვის უხმარია; ჩვენ საქართველოში ამ სიტყვით ვიძლევით მთელ სისტემას აზროვნებისას“-ო. (140 გვ.)

გარდა ორგანოტროპიზმის თეორიისა „სოციალურ ესთეტიკის საფუძვლებში“ არის კიდევ მეორე მართლაც ორიგინალური „უჩემოდ ვინ იმღერეთობის თეორია“. ამრიგად სოციალურ ესთეტიკის საფუძვლებში წამოყენებულია ორი მთავარე თეორია 1) „ორგანოტროპიზმი“, რომელსაც უპირისპირებს არსებულ მსოფლ მხედველობებს და 2) უჩემოდ ვინ იმღერეთობის თეორია, რომელიც ეხება ქართველ ხალხს და ლამობს მით მის შეფასებას. უნდა ითქვას, ეს მართლაც ორიგინალური ახალი თეორია, რომლის მგზავსი ჯერ არვის აზრადაც არ მოსვლია. სახელწოდებას ამ თეორიისა კაპანელი არჩილ მეფის ლექსის სტრიქონიდან იღებს და ამ უბრალო ჰიპერბოლურ ერთ თქმას რაღაც თეორიის ხასიათს აძლევს. ამ თეორიის თვალსაზრით: „ჩვენს ხასიათში არის, რაღაც ისტორიულად შეძენილი თავხედობა, ერთგვარი პრანჭიობა—„ნახალობა“. ქართველი ხშირად თავის თავს ძალას ატანს; ქართველს ყველაფერი ეჩქარება და ვერაფრის დამთავრებას იგი ვერ ახერხებს, ქართველი ყოველთვის პათოსში არის. წამბაძველობა ნახალური და აჩქარებული. ჩვენს ეროვნულ სულს უფრო ეგუება, ვიდრე სისტემა და ანალიზი საკუთარი ორიგინალური“. (247 გვ.).

„ქართველი თავის ბუნებით მერყევი და უპრინციპოა“ (250 გვ.) „ჰორი, ინტრიგები, აფექტები და მგრძნობელობის მსუბუქი აყოლა, უმიზეზო ისტერიული პათოსი, ერთმანეთის კუნთებისა და ბარძაყების შეყურება ჩვენი ეროვნული ისტორიული თვისებებია. თეატრი, ბანკი, რკინის გზა, სასწავლებელი, რედაქცია, ყოველი საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება საქართველოში ჰორებითაა სავსე და ინტრიგებში იხვრჩება“. (147 გვ.).

„ქართული კულტურის შინაგან წყობაში ჩვენ ვერ ვხედავთ სიმართლეს ვერც წარსულში და ვერც ეხლა: ხოლო ერი, რომლის კულტურის შინაგან წყობაში სიმართლე არ არის, უსათუოდ დაიღუპება“ (260 გვ.)

ყველა, ამას შემდეგ ავტორი (236 გვ.) სწერს: „ქართული სული საქართველოს პროვინციებიდან ელის, იმ დიადი ენერგიის შენაკადებას, რომელსაც ვერ ღირსებია საუკუნეთა განმავლობაში გაერთიანება ერთ მდინარეში, რომლის ტალღები შეურთებენ ქართულ განცდას, ქართულ შემოქმედებს კაცობრიობის მაღალი ზრახვების ოკეანისებურ ღელვას. ქართული პროვინციებიდან ქართული შემოქმედებითი ხასიათის ენერგიის ამოწურვა და საკაცობრიო მსოფლიო მასშტაბით გაშლა სრულიად საქართველოს კულტურის ცენტრალიზაციის საქმეა“.

მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ქართული კულტურის ეს ცენტრალიზაცია, ანუ მისი ასეთი დიდი განვითარება კაპანელის ლოგიკით მას შემდეგ, თუ მის „შინაგან წყობაში სიმართლე არ არის და აუცილებლად უნდა დაიღუპოს“?. აშკარაა, აქ რაღაც გვარი წყვეტია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წყვეტის საშუალებით კონსტანტინე კაპანელი უდიდეს გამჭრიახობას იჩენს ქართული კულტურის ცენტრალიზაციის საკითხში, რითაც ის [illegible] მართლაც დასაფასებელია. თუმცა ამით კაპანელი შეუბრალებლად ღალატობს „უჩემოდ ვინ იმღერეთობის“ [illegible]იას, რომელსაც ქართველ ხალხთან და ქართულ [illegible]ურასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

„უჩემოდ ვინ იმღერეთობის“ თეორიას უშუალო [illegible]შირი აქვს ორგანოტროპიზმთან, რომელიც გეოგრაფიულ მდგომარეობას სთვლის „ხალხის სულის და ტემპერამენტის თერძათ“. საიდანაც აშკარად გამომდინარეობს სხვადასხვა გეოგრაფიულ მდგომარეობის ხალხის განკერძოება, მიუკარებლობა შუღლი და მტრობა ერთმანეთისადმი. ამრიგად უჩემოდ ვინ იმღერეთობა არის შედეგი ორგანოტროპიზმის თეორიის თვალსაზრისა და არა ქართველი ხალხის და მისი კულტურის ისტორიული რაობის ასახვისა.

261 გვ. კაპანელი გვაუწყებს: „ქართულ ლიტერატურაში სრულებით გარკვეული არ არის სიტყვისა და ცნების შორის შეფარდება. ქართველი მწერალი ხშირად სიტყვას ხმარობს მოდის მიხედვით“, და ეხება სხვადასხვა სიტყვებს და მწერლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ თავისუფალი არც თვით კაპანელია. ის აგრეთვე მოისუსტებს სხვისი აზრების თარგმნაში მაგ. „მარქსი ამბობსო სწერს: მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო“. მარქსი არსად არ ამბობს მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო, არამედ ის ამბობს: „მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებასო“; განსაზღვრავს სულ სხვა ცნების სიტყვაა ფილოსოფიურად და ჰქნის კი სულ სხვა.

პოლ. ცინცაძე.

კ. გ. ვოგლი.

„სტატისტიკა“

(სახელმძღვანელო ლექციებისა და თვითგანვითარებისთვის).

12 დიაგრამით ტექსტში თარგმანი იასონ გაბილაიასი (მეოთხე გამოცემიდან) ქუთაისი 1922 წ. გვ. IV + 336.

„მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკას თანამედროვე საზოგადოებისთვის და როგორ ღარიბია ჩვენი ლიტერატურა სტატისტიკურ შრომებით“ ამბობს მთარგმნელი წინასიტყვაობაში. „ეს კურსი (სახელმძღვანელო) მით არის საყურადღებო, სხვათა შორის, რომ იგი შეიცავს სტატისტიკის როგორც ისტორიას, ისე აგრეთვე თეორიასა და პრაქტიკას“ აღნიშნავს შემდეგ გაბილაია. (ამ წიგნის გარჩევის დროს ყველა ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ). ვობლით **„სტატისტიკა არის მეცნიერება რომელიც იკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების მასიურ მოვლენებს, მათში კანონშეზომლობის აღმოჩენის მიზნით“**. მეორეს მხრით ვობლი ლაპარაკობს სტატისტიკურ მეთოდის გამოყენებაზე ს. დ. ს. არასოციალ (მაგ. კლიმატიურ) მოვლენებზე დასაკვირვებლად. ყველა ეს მაირის „სტატისტიკის ფორმალ გაგების“ და „სტატისტიკის მატერიალ გაგების“ შესატყვისია. პირადად, ჩვენ არ ვეთანხმებით სტატისტიკის ამნაირ განსაზღვრას და **სტატისტიკას დამხმარე მეცნიერების როლს ვაწერთ** (სტატისტიკას არა აქვს დამოუკიდებელი საგანი). აქვე ვიძლევით მცირედ ბიბლიოგრაფიას ორივე თვალსაზრისის დამახასიათებელს:

I. თვალსაზრისი (სტატისტიკა მეცნიერებაა, რომელსაც საგნად სოციალ მოვლენათა მასიური მხარე აქვს მიჩნეული):

1. Ю. Янсон „Теория статистики“.

2. Г. Майр „Закономерность в общественной жизн“.

3. მისივე „statistik und geselshaftslehre“.

II. თვალსაზრისი (სტატისტიკა ს. დ. ს. მეცნიერებათათვის დამხმარე მეთოდია):

1. Rümelin „Reden und Aufsutge“ B. I.

2. Кауфман „Теория и методы статистики“.

ვუბრუნდებით ვობლის ნაშრომს, ეს წიგნი ორ განყოფილებისგან შესდგება: I **თეორეტიული** და II **მოსახლობის სტატისტიკა**. I განყოფილება ორ ნაწილადაა მოცემული: 1. **სტატისტიკის ისტორია** და 2. **სტატისტიკის თეორია**.

სტატისტიკის ისტორია საკმაოდ ვრცლად და შინაარსიანადაა მოცემული: ჯერ განხილულია სტატისტიკის ჩანასახები ძველ დროში; შემდეგ განხილულია მიმართულებანი მეცნიერულ სტატისტიკაში ქრონოლოგიურის წესით: აღწერითი სკოლა, პოლიტიკური არითმეტიკოსე-

ბი, ბიუსმილხი (ჰეშმარიტი მამამთავარი მეცნიერულ სტატისტიკის), მათემატიკური მიმართულება, კეტლეტიზმი და სხ. ამავე ნაწილში მოცემულია ადმინისტრატიულ სტატისტიკის განვითარების ისტორია; ისტორია სტატ. კონგრესების, ყრილობების და დაწესებულებების.

სტატისტიკის თეორია დალაგებულია შემდეგნაირად: ჯერ განხილულია პირველად ოპერაციის (აღნუსხვის) მოხდენის წესები, შემდეგ დაგროება-დაჯგუფების წესები და, ბოლოს განხილულია სტატისტიკურ მასალის მეცნიერულად დამუშავების ხერხები, აღნუსხვის წესები ილიუსტრაცია ქმნილნი არიან მრავალ მაგალითის მოყვანით. სტატისტიკურ მასალის დაჯგუფების და მეცნიერულ დამუშავების წესები ნამეტურ მოკლეთაა (რომ არ ვსთქვათ შეკუმშულად) მოთხრობილი. სტატისტიკისთვის ფუძეთ დებულ თეორიებზე ნაკლებადაა ნალაპარაკევი (მაგ. ეგებისობის თეორია).

მოსახლობის სტატისტიკაში მოცემული ციფრითი მასალა ჩვენთვის დაძველებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან რიცხვები ჩვენ საუკუნის პირველ ათეულზე შორს არა სცდებიან. ამიტომ გაუთვალისწინებელი რჩება თუნდ მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული ცვლილებანი: ჯერ მამა-კაცთა დიდი მოკვდაობა, შემდეგ გახშირებული ქორწინებიანობა, ემიგრაციის შენელება და მრ. სხვა.

ახლა წიგნის **გამოყენების** შესახებ: სტატისტიკის შემსწავლელთათვის (წიგნს აწერია „სახელმძღვანელო ლექციებისა და თვითგანვითარებისთვის") ამ წიგნის თეორეტიული ნაწილი არაა საკმარი, ამიტომ მათ უხდებათ უცხო ენაზე ლიტერატურით ხელმძღვანელობა, სტატისტიკის ისტორია კი დიდად გამოსაყენებელია. ენა სადაა შრიფტი მკაფიოა. შეცდომა ცოტაა.

ვა — ცი.

ქრონიკა

— ჩვენი კავშირის ც. გ. პრეზიდიუმმა დაადგინა ფართო კამპანია ჩაატაროს პროფუცოდინარობის სალიკვიდაციოდ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. გამომუშავებულია განსაკუთრებული გეგმა. მაზრებს სათანადო ინსტრუქციები დაეგზავნა.

— ც. გ. გამოსცა და მაზრებს დაუგზავნა ჩ. კავშირის წესდება, ადგილკომების, შემფასებელ-საკონფლიქტო და სარევიზიო კომისიების დებულებები.

— ც. გ. პრეზიდიუმმა დაადგინა: სასწრაფო წესით შეუდგეს ადგილკომებთან საწარმოო თათბირების მოწყობას. ამ მიზნით უნდა შეიქნეს ცენტრალური სათათბირო — კავშირის, ადმინისტრაციის და ყველანაირ ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლებიდან, რომლებიც შეიმუშავებს საწარმოო თათბირების პრაქტიკულ გეგმას.

პირველ რიგში საწარმოო თათბირები მოწყობილ იქნება უფრო მსხვილ ადგილკომებთან.

— ც. გ. პრეზიდიუმმა შუამდგომლობით მიმართა ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომ მან დაუთმოს უფასოდ ბაღი პლეხანოვის პრ. № 65 განათლების მუშაკთა საზაფხულო კლუბის მოსაწყობად.

— ჩვენმა კავშირმა სახალხო განათლების კომისარიატთან დასდო კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის თანახმად განათლების მუშაკთა შვილები და მათ კმაყოფაზე მყოფნი სასწავლებლებში მიიღებიან პირველ რიგში ფიზიკურად მომუშავეთა შვილების თანაბრად.

— პედაგოგიურ ინსტიტუტ დამთავრებული მასწავლებლები სამსახურში მიღების დროს სხვა თანასწორ პირობებთან ერთად სარგებლობენ კავშირის წევრის უფლებებით.

— ც. გ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომები დანიშნულია ხუთშაბათობით. სხდომას ესწრებიან ტფილისში მცხოვრები ც. გ. ყველა წევრები და ორი ადგილკომის მდივანი მორიგეობით.

— ც. გ. პრეზიდიუმის დადგენილებით პრეზიდიუმის მორიგ სხდომებზე მორიგეობით მოსმენილ იქნება ადგილკომების მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ.

— ც. გ. პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა კავშირის ც. გ. ხარჯთ-აღრიცხვა ა/წ. აპრილიდან 1927 წ. იანვრამდე და იმავე თვეების მთლიანი (რესპუბლიკის მასშტაბით) ხარჯთ-აღრიცხვა.

ახალი წიგნი. სოციალურ აღზრდის პედაგოგიურ სექციაში წარდგენილია განსახილველად სეით იაშვილის: „ბოტანიკა ცდებში, დამუშავებული ლაბორატორულ-კვლევითი მეთოდით და სასოფლო სამეურნეო განხრით". წიგნი გაზრახულია შრომის სკოლების მე-5-ე ჯგუფისათვის.

სკოლების ქსელის გაფართოება. ტფილისის განათლების განყოფილების მიერ შემუშავებულია სკოლების ქსელის გაფართოების პერსპექტიული გეგმა.

ქართული ბეჭდვის 300 წლის თავი. დაიწყო მზადება ქართულ ბეჭდვის 300 წლის არსებობის დღესასწაულისათვის. ახლო მომავალში ისტორიკოსი კარიჭაშვილი წაიკითხავს ლექციას ქართულ ბეჭდვის ისტორიაზე. განზრახულია მთელ რიგ ლექციების წაკითხვა ამ თემაზე. განზრახულია აგრეთვე წიგნების გამოფენის მოწყობა.

საექსკურსიო ბიურო. ტფილისში მოეწყო საქართველოს ცენტრალური საექსკურსიო ბიურო რომელშიაც შედიან საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, რკინის გზელთა პროფკავშირის, ტფილისის პოლიტგანის, ფიზკულტურის საბჭოს, გეოგრაფიულ საზოგადოების და სკოლის გარეშე მუშაკთა ცენტრალურ სახლის წარმომადგენელნი. საგაზაფხულო სეზონის დაწყების გამო საექსკურსიო ბიუროს მუშაობა გამოცოცხლდა. ჯერ-ჯერობით განზრახულია შემდეგი ე. წ. მორეული ექსკურსიები: მოსკოვში, ლენინგრადში და ამიერ-კავკასიაში. საქართველოს საზღვრებში განზრახულია ექსკურსიების მოწყობა: ბათომში ბორჯომში, ბაკურიანში, ტყიბულში, ჰიათურაში, მუხრანში და სხვ. ცენტრალური საექსკურსიო ბიურო ყოველივე ზომებს მიმართავს, რათა წელს ექსკურსიები უფრო მიზანშეწონილად იქნეს ჩატარებული.

— სერგო დანელიას წიგნი „ატომისტური ფილ[illegible] სოფია ძველ საბერძნეთში" სამეცნიერო საბჭოს პედ[illegible] გიურ სექციის მიერ მოწონებულ იქნა სასკოლო ბიბ[illegible] თეკისათვის.

კითხვა პასუხი.

კითხვა: ლიხაურის თემი დაშორებულია ოზურგეთზე 51/2 ვერსით. ოზურგეთიდან მას ყოფს მდ. ბჟუჟა-ჯის წყალი, რომლის ხშირი ადიდება მთელი კვირაობით აშორებს თემის მცხოვრებლებს ქ. ოზურგეთს.

კავშირში ირიცხება 28 კაცი (1 უმუშევარი). სულ ყველა დამხმარე კასის წევრია. გადახდილი ექნება კავშირს არა ნაკლები 100 მან. ჩვენ მოვითხოვთ ლიხაურის ადგილ-კომთან გაიხსნას დამხმარე სალარო და მოგვეცეს ოზურგეთის სამაზრო გამგეობასთან არსებულ სალაროდან ჩვენდამი კუთვნილი თანხა, რადგანაც ხშირად 2-3 მანეთისთვის გვიხდება ოზურგეთში ჩასვლა და ხელცარიელი დაბრუნება. ჩვენს განცხადებაზე სამაზრო გამგეობამ გვიპასუხა: რომელ ადგილკომშიაც ირიცხება 100 კაცზე ნაკლები, მათ დამხმარე სალაროს ვერ გაუხსნითო. **გვეკუთვნის თუ არა დამხმარე სალარო;** (მართალია თუ არა გამგეობა თავის პასუხში) და ვინ ვისთვისაა: კავშირის წევრები წესდებისათვის, **თუ წესდება კავშირის წევრებისათვის.**

ლიხაურის თემის განათლების მუშაკთა კავშირის
პმგ. მდივანი: **გ. ურუშაძე.**

პასუხი. ლიხაურის თემის ადგილკომის პმგ მდივანს. თანახმად საქართველოს პროფსაბჭოთა მე 5-ე ყრილობის დადგენილებისა ურთიერთ დამხმარე სალარო უნდა აერთიანებდეს არანაკლებ 50 წევრისა, და თუ 50 კაცზე ნაკლებია, მაშინ სალაროს წევრებმა უნდა გამოიტანონ სათანადო დადგენილება და მიმართონ პროფკავშირთა ორგანოს სანქციის მისაღებად.

კითხვა: ვარ განათლების მუშაკთა კავშირის წევრი. საწევრო წიგნაკის № 17989. ჩემი ქმარი ეწევა სოფლის შეურნეობას, ქონებრივად ღარიბნი ვართ: გვყავს სარჩენი 5 შვილები, წლოვანებით 3-10 წ.წ. ორი მათგანი არის დაზღვეული და 3 კი სენაკის დამზღვევმა სალაროში არ დააზღვია, **ვინაიდან მამა ყავთ.** გთხოვთ განმარტებას: რამდენად კანონიერია დამზღვევი სალაროს მოქმედება, რომ არ აკუთნა შვილები დედას?

მასწავლებელი ქალი.

პასუხი. იმ შემთხვევაში, თუ ბავშები იმყოფებიან თქვენ კმაყოფაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მათი დაზღვევა მიუხედავად იმისა, ყავთ მამა მათ, თუ არა. თქვენ თუ ცხოვრობთ სენაკში და თქვენი ქმარი კი სოფელში, მაშინ თქვენ უნდა წარუდგინოთ სიღარიბის მოწმობა დამზღვევ სალაროს და ის ვალდებულია დააზღვიოს.

კითხვა: მე ვმსახურებ დ. ჩხარის (შორაპ. მაზრა) 7 წლედის შრომის სკოლაში დარაჯად 1920 წლიდან. მაქვს მოსავლელი **თერთმეტი ოთახი** თავის კარიდორებით და აივნებით. ჯამაგირს ვღებულობ მხოლოდ **რვა მანეთს.** ვარ უმწეო ღარიბი 61 წლის ქვრივი, არ გამაჩნია რაიმე ქონება არც უძრავი და არც მოძრავი, ვცხოვრობ მხოლოდ ჩემი ჯამაგირით; მყავს სულით ავადმყოფი ქალიშვილი, რომელსაც ჩემს მეტი პატრონი არ ყავს. გთხოვთ განმიმარტოთ: რამდენი უნდა მეძლეოდეს ჯამაგირი რვა მანეთი, თუ მეტი?

ჩხარის 7 წლედის დარაჯი
ქვრივი **ივლიტა აბულაძისა.**

პასუხი: თქვენ უნდა მიიღოთ ჯამაგირი 3-5 ხარისხამდე. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მუშაობთ 8 საათზე მეტს. ზედმეტი მუშაობისათვის უნდა გეძლეოდეთ დამატებითი ჯილდო. ჯამაგირი უნდა გეძლეოდეთ რვა მანეთზე მეტი. ჯამაგირის რაოდენობის **გამოსარკვევად მიმართეთ ადგილობრივ კავშირის განყოფილებას.**

წიგნის მთავარ მაღაზიებში იყიდება

1. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი . . . . . 40 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწილთა თეორია, შეფარდება და პროპორცია . 50 კ.
3. აზიისა და კავკასიის სახელწოდების წარმოშობის საკითხისათვის . . . . . 30 კ.
4. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი . . . . . 35 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება თვით ავტორისაგანაც შემდეგი მისამართით:
ტფილისი, ავლაბრის ფოსტის განყოფილება, ი. ჯიშკარიანი.

ფასი 35 კაპ.

ბ 2034უ
1926



მთავლიტი 355. ტფილისი, სტამბა „კრასნი ვოინ“ გორკის ქუჩა, № 1